საქართველოს რესპუბლიკა

პარასკევი, 23 ივლისი, 2004 წელი. №169 (4898) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

◎ პარლამენტის თავმჯდომარე

ნინო ბურჯანაძე უდიდეს მიღწევად აფასებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პარიზის კლუბში ქვეყნის ვალების რესტრუქტურიზაციას უდიდეს მიღწევად აფასებს და აცხადებს, რომ ეს საკითხი იოლად არ გადაწყვეტილა.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია საშუალებას მისცემს ქვეყანას, ის თანხები დაზოგოს, რომელიც ვალების დაფარვას უნდა მოხმარებოდა.

„პარიზის კლუბმა“ საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ გადაწყვეტილება გუშინ მიიღო. მოლაპარაკებები სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩინეთის, ირანის, ყაზახეთის, ავსტრიის, რუსეთის, თურქეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნიდერლანდების წარმომადგენლებთან შედგა. რესტრუქტურიზაცია 2003-2006 წ. წ გადასახდელ თანხებს შეეხო, რომელთა საერთო ოდენობა დაახლოებით 196 683 452 აშშ დოლარს შეადგენს.

ინტერ-პრესი.

◎ რეპორტაჟი

„ფეროს“ „ოქროს მდინარე“

ახალი ღუმელის პირველი ნადნობი



სამშაბათს ჩვენმა გაზეთმა ვრცელი წერილი მიუძღვნა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას. ისე მოხდა, რომ დღეს ამ თემას კვლავ ვუბრუნდებით, ვინაიდან ის, რაც ოთხშაბათს საწარმოში მოხდა, ფრიად მნიშვნელოვანია და ჩვენმა მკითხველმა უთუოდ უნდა შეიტყოს.

მანამდე ორიოდე სიტყვა იმაზე, რამაც „ფეროს“ „გამოცოცხლება“ გამოიწვია:

„ფერო“ მთლიანად კერძო საკუთრებაა. 2003 წლის სექტემბრიდან მისი აქციების 51 პროცენტს ფლობს ავსტრიული სამრეწველო ჯგუფი „დეცე-ემი“. მისი წარმომადგენლის განცხადებით, „ფეროთი“ დაინტერესება გამოიწვია საქართველოში ეკონომიკური განვითარების რეალურმა პერსპექტივამ, ჭიათურისა და ტყიბულის მაღაროთა სიახლოვემ. განხორციელდა 3 მილიონი დოლარის ინვესტიცია. შედეგმა არ დააყოვნა: ქარხნის მმართველი ჯგუფის (გენერალური დირექტორი ნიკა ჩიქოვანი) მიერ შემუშავებულმა ახალმა მენეჯმენტმა 6 თვის მანძილზე წარმოების მოცულობა 3 ათასიდან 8 ათას ტონამდე გაზრდა, მუშა-მოსამსახურეთა ანაზღაურებამ 42 პროცენტით მოიმატა (ბოლო თეთრამდე გაისტუმრეს ძველი სახელფასო დავალიანება). ახლა ფეროშენადნობთა საერთაშორისო ბაზარზე ზესტაფონელთა ნახელავს 6 პროცენტი უჭირავს. ექსპორტი ხორციელდება ამერიკის (56,6 პროცენტი) და ევროპის (19 პროცენტი) ბაზრებზე.

როგორია პერსპექტივა? ნიკა ჩიქოვანის თქმით, პროდუქციას პირდაპირ ხელიდან სტაცებენ! ხარისხის თაობაზე კი შესანიშნავ განმარტებას იძლევა 2003 წელს ლონდონში მიღებული სერტიფიკატი და უმაღლესი ჯილდო – „ოქროს გვირგვინი“ და აგერ, ახლახან, ჟენევაში გენერალური დირექტორისათვის გადაცემული ხარისხის საერთაშორისო ნიშანი.

მაშასადამე, პერსპექტივა არის.

იხ. მე-2 გვ.

ნომერში წაიკითხავთ:

ქართული სტატისტიკის წარსული, აწმყო, მომავალი

საზოგადოებრივი პროგრესი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენების ხარისხსა და ინტენსიურობაზე.

მე-4 გვ.

რა ღირს დღეს ჩვენი ცხოვრება?

ბოლო ხანს დოლართან მიმართებაში ლარი თითქოს გამყარდა, მაგრამ ჩვენს ყოველდღიურობასთან შეფარდებით საგრძნობლად გაუფასურდა. რატომ? სწორედ ამაზე მოგვითხრობს ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი.

მე-5 გვ.

უიარაღო ძარცვა დღისით, მზისით

წინა ხელისუფლების წაყრუების შედეგად წლების მანძილზე დაზარალებულ ადამიანებს სამართლიანობისთვის მებრძოლი ახალი ხელისუფლების იმედი აქვს.

მე-6 გვ.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2004 წლის 16 ივლისი ქ. თბილისი

ა. ვაშაკიძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის რექტორად დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს **არჩილ ვაშაკიძე** საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის რექტორად.

მიხეილ სააკაშვილი.

◎ მზად არიან!

ვინ იწყებს ომს ცხინვალის რეგიონში?

ამ ბოლო ხანს რუსულმა მასმედიამ აიკლო მკითხველიც და მაყურებელიც: ნახეთ, ქართველები ომს იწყებენ, სამხრეთ ოსეთთან ტანკები მიყარესო...

თურმე ქართველებს ოსების ამოჟლეტა სურთ. და მათ ქომაგებად მხოლოდ რუსები გვევლინებიან. აბა, როგორ? ისინი რუსეთის მოქალაქეები არიან, – უმწეოები, დაჩაგრულები...

არისო ბრძანება 58-ე არმიისადმი, – თითიც არ გაანძრიოს, თუ რეგიონში ომი ატყდება, მაგრამ გენერალი ნაბდზოროვი (აფსუს, რა სახელს აფუჭებს – სვიატოსლავ!) კბილებს აკრაჭუნებს – ერთი ცხვირი შემოყონ, რა... მოვახრჩობთ მაგ „ნაგლებს“...

ელანდებათ ის, რაც ესიზმრებათ. ან ჩვენ გვაბრალებენ იმას, რაც თავად სწყურიათ, თანაც, კარგა ხანია სწყურიათ. აი, რას წერდა ჯერ კიდევ 2002 წლის 3 აგვისტოს „მოსკოვსი კომსომოლეცში“ ცნობილი მიმომხილველი **იულია კალინინა:**

მინდა შევჩერდე რუსეთისა და საქართველოს შორის ურთიერთობის გამწვავებაზე. არა იმდენად ურთიერთობის გამწვავებაზე, რამდენადაც ჩვენი სამხედრო ხელმძღვანელობის მყისიერ მზადყოფნაზე, – იომოს საქართველოსთან, ჩაატაროს სპეცოპერაცია პანკისის ხეობაში, თუნდაც სხვა რეგიონში. ეს ხელმძღვანელობა დაუფიქრებლად გაიძახის: – მზად ვარ! და კუნთებს ათამაშებს კიდეც ყველას დასანახად.

სამწუხაროდ, სამხედრო ხელმძღვანელობა მზადაა საომრად, აი, არმია კი არ არის მზად, არმია! გაიხედგამოიხედეთ, რა ხდება აქ, რუსეთში, მშვიდობიან ვითარებაში. დალახვროს ეშმაკმა, ყოველ ღვთისნიერ დღეს ჯარისკაცები იარაღით გარბიან ნაწილებიდან, კონტრაქტორები კი დასტა-დასტა ხოცავენ ერთმანეთს. ხან იარაღის საწყობები იწვება, ხან ბომბები ფეთქდება, ხან ვერტმფრენები ცვივა, ხან გემები იძირება... სად უნდა იომოთ, ხალხო, სად უნდა დაამყაროთ წესრიგი?

იხ. მე-2 გვ.

◎ მხარე

ხალხის ნება ითხოვს

ზუგდიდში სახალხო დიპლომატიის ეგიდით ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: „ნდობა და თანამშრომლობა“. ორგანიზატორები იყვნენ „ფრიდრიხ ებერტის“ ფონდი, აფხაზეთის ქალთა ასოციაცია „საბინები“ და „დემოკრატიისა და კეთილდღეობის“ კავშირი.

„მრგვალი მაგიდის“ მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრები, საქართველოში გაეროსა და ეუთოს მისიის წარმომადგენლები, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მეთაურები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, დევნილები და სხვა.

მოისმინეს ინფორმაცია კონფლიქტის ზონაში ვითარების, უმთავრესი პრობლემებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ. ენგურს გაღმა-გამოღმა სივრცეში ნდობის აღდგენისათვის სოციალურ-ეკონომიკური, სულიერკულტურული, ზნეობრივ-ტრადიციული თანამშრომლობის აღორძინების განზრახულობათა თაობაზე საკითხის განხილვისას გაიმართა დისკუსია, წინადადებათა და მოსაზრებათა თავისუფალი გაზიარება. მრგვალი მაგიდის მუშაობამ გვიჩვენა, რომ მისი მთავარი მიზანია საქართველოსა და მსოფლიოში არსებული თანამედროვე რეალობების, ახალი ხელისუფლების არაორდინარული სამშვიდობო კურსის, საბაზრო ეკონომიკისა და კერძო ინიციატივის საფუძველზე კონფლიქტის მოწესრიგებისათვის მყარი იმპულსის მინიჭება, რომელიც ქართველთა და აფხაზთა ისტორიული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ფესვებზეა დამყარებული.

შეხვედრის მონაწილეებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს იმ კონკრეტული მექანიზმების წინ წამოწევა, რომლებითაც შესაძლებელი იქნება კონფლიქტის ზონაში არსებული უმძიმესი კრიმინოგენური ვითარებისა და ახალგაზრდობის დაუძინებელი მტრის – ნარკომანიის დაძლევა, რომელსაც ახორციელებენ ე.წ. ინტერნაციონალური ბანდიტური შეიარაღებული ფორმირებები, მართვადი და უმართავი „გავლენის ჯგუფები“. როგორც საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, ამ ურთულეს პრობლემათა დასაძლევად ერთობლივი ბრძოლა ხელს შეუწყობს ადამიანთა შორის და მოსახლეობაში ნდობის აღდგენისა და თანამშრომლობის პირობების შექმნას. რა თქმა უნდა, ამის საფუძველს იძლევა ენგურის ორივე ნაწილზე გაჭირვებასა და სიღატაკეში მყოფი ადამიანების რეალური მისწრაფება თანამშრომლობისაკენ, მზადყოფნა დიალოგისათვის და საერთო ენის გამონახვის დიდი სურვილი.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ხალხის ნებას უფრო აქტიურად დაუჭერენ მხარს კონფლიქტის მოწესრიგებაში ჩართული მხარეები, საერთაშორისო ორგანიზაციები, დონორი სახელმწიფოები, რაც მთავარია, ქვეყნის ხელისუფლება და სხვა კეთილის მსურველი მხარეები.

ოდიკ ქუხილავა,
„სრ“ საკ. კორ.

◎ სტიქია

წვიმამ ამჯერად თბილისს შეუტია



თბილისში გუშინ მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ, რომელიც, ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ცნობით, თბილისისა და თიანეთის საზღვარზე ცივი და თბილი ჰაერის მასების გადაადგილებამ განაპირობა, რამდენიმე ქუჩა დატბორა. აღმაშენებლის გამზირზე, მტკვრის ორივე სანაპიროს გარკვეულ მონაკვეთებზე და ცოტნე დადიანის ქუჩაზე ავტომანქანების მოძრაობა დროებით შეჩერდა, რადგან სანიაღვრე ჭები ნაგვით იყო გადავსებული, რის გამოც წყლის გადინება ვერ მოხერხდა.

ძლიერი ღვარცოფის შედეგად უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა ნაძალადევის რაიონში.ქავთარაძის ბაღთან, დობროლიუბოვის ქუჩის კუთხეში სანიაღვრე ჭა ჩაიქცა და წყალი საცხოვრებელი სახლებში შეიჭრა.

ასევე მძიმე მდგომარეობა იყო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში. აღმაშენებლის №46-ში, ჭოროხის ქუჩა №10-ში და დიღმის მასივის მე-4 კვარტალში, დიდი რაოდენობით წყალი დაგროვდა და ტრანსპორტის მოძრაობა შეუძლებელი გახდა.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

პრეზიდენტს სრულ მხარდაჭერას უცხადებენ

ახალციხის სომხური ინტელიგენციისა და სომხური ნაციონალური კავშირის წარმომადგენლებმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს და ჟურნალისტებს საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებისადმი, ევროსაბჭოს და გაეროსადმი სომხური უმცირესობის მიმართვის ტექსტი გააცნეს.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები სომხები საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს სრულ მხარდაჭერას უცხადებენ და მას სამხრეთ ოსეთში სტაბილურობის შენარჩუნებისკენ მოუწოდებენ.

სომხური ნაციონალური კავშირის წარმომადგენლებმა მიმართვის გასაგზავნად მოსახლეობის ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს.

თავდაცვის მინისტრი კმაყოფილია

ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში ვიზიტი დადებითად შეაფასა თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ.

მისი თქმით, ლიტვა ნატოს წევრი ქვეყანაა და საქართველოსთვის ამ სახელმწიფოსთან ურთიერთობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. „გარდა ამისა, ლიტვა ნატოში საქართველოს ლობია“, – აღნიშნა მინისტრმა.

ბარამიძის განცხადებით, ვიზიტის დროს სხვა მნიშვნელოვანი მოლაპარაკებებიც გაიმართა, თუმცა მან დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.

ნაბზდოროვ – „ჩერეზ როკსკი ტუნელ“

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსული სამშვიდობო ძალების სარდლად გენერალ ნაბზდოროვის შემდგომ ყოფნას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, 21 ივლისს ქართული მასმედიისთვის მიცემულ ინტერვიუში ცხინვალის რეგიონში რუსული სამშვიდობო ჯარების სარდალმა, გენერალმა ნაბზდოროვმა უარყო რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის არსებობა როკის გვირაბის მონაკვეთზე და საქართველოს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლა ურჩია.

– საქართველოს საგარეო უწყების შეფასებით, ამ განცხადებით ნაბზდოროვმა ეჭვქვეშ დააყენა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი.

„საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია არ არის რუსეთის სამშვიდობო ძალების კომპეტენცია“, – მიაჩნია საქართველოს საგარეო უწყებას და რუსეთის ოფიციალური სტრუქტურებისგან დაუყოვნებლივ ახსნა-განმარტებას მოითხოვს.

მორიგი შეხვედრა ჭუბურხინჯში

ჭუბურხინჯის გუშინდელ მორიგ ოთხმხრივ შეხვედრაზე მხარეებმა ძირითად საკითხად აფხაზური მილიციის მიერ გუშინწინ გალის რაიონის ტერიტორიაზე ჩატარებული სპეცოპერაცია განიხილეს, რომლის დროსაც უმურიში-რეჩხის ტერიტორიაზე ორი შეიარაღებული პირი მოკლეს.

ქართული მხარის წარმომადგენლის ზურაბ ლოგუას განცხადებით, ლიკვიდირებული პირები მართლაც კრიმინალები იყვნენ, თუმცა მათი ვინაობის შესახებ ინფორმაციას ის, ჯერჯერობით, არ ფლობს.

მეორე საკითხად შეხვედრაზე დაახლოებით ორი კვირის წინათ ჭუბურხინჯიდან გამოსახლებული ოთხი ქართული ოჯახის დაბრუნების პრობლემა განიხილეს. აფხაზური მხარე, ჯერჯერობით, ქართული ოჯახის დაბრუნების უსაფრთხოების სრულ გარანტიას ვერ იძლევა.

მოითხოვს პარტიათა დაუყოვნებლივ ლუსტრაციას

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული კონსერვატორების“ თავმჯდომარემ გიორგი ტაბიძემ უშიშროების სამინისტროს, თავდაცვის და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტს საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შესწავლის მოთხოვნით მიმართა.

მას მიაჩნია, რომ ბოლო დროს გააქტიურებული პოლიტიკური ძალების უკან უცხოეთის სპეცსამსახურები დგანან. ამიტომაც იგი ამ პარტიების დაუყოვნებლივ ლუსტრაციას მოითხოვს, თუმცა მათი დაკონკრეტებისგან თავს იკავებს.

ინტერ-პრესი.

◎ განდობა

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

როცა მადლობას ამბობენ, უნდა მოუსმინო!

კაცი, რომელიც საქართველოსთვის ჯვრის მონასტრის შესყიდვას აპირებდა, ახლა ბაზალეთის კომპლექსს აშენებს

ამ დღეებში საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ტელევიზიით საყურადღებო განცხადება გააკეთა: მთავრობა, სამინისტრო და თბილისის მერია მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გრიშაშვილის ქუჩაზე შპს „ცენტრმა“ სასტუმროს მშენებლობა უნდა განაახლოსო. მკითხველს შევახსენებ, რომ ამ ობიექტის მშენებლობის შეფერხებამ ეჭვქვეშ დააყენა ბაზალეთის ტურისტული კომპლექსის მომავალიც. სამწუხაროდ, სასტუმროს მშენებლობის განახლების თაობაზე ინვესტორთა დაბეჯითებით მოთხოვნას ვერც ერთმა ინსტანციამ დღემდე შესაბამისი გადაწყვეტილებით ვერ უპასუხა.

იხ. მე-6 გვ.

ინტერპანორამა

დამოუკიდებელი კომისიის დასკვნა: 11 სექტემბერს ტერაქტები დაზვერვის დაუდევრობის გამო მოხდა

600-გვერდიანი მოხსენების ავტორები – ხუთი დემოკრატიული და ხუთიც რესპუბლიკური პარტიების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სასიკვდილოდ თავგადადებულმა ტერორისტებმა, რომელთაც ნიუ-იორკსა და ვაშინგტონს თავს დაატეხეს გატაცებული თვითმფრინავები, ისარგებლეს ამერიკის სამთავრობო ორგანოებისა და სადაზვერვო სამსახურების მოდუნებული მუშაობით.

ევროკომისიის ახალი თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზო გახდა

მის კანდიდატურას ხმა მისცა ევროპის პარლამენტმა, პორტუგალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბაროზო ამ უმაღლეს აღმასრულებელ პოსტზე შეცვლის რომანო პროდის. ევროკომიის თავმჯდომარის მანდატის ვადა ხუთი წელია.



ახალი ფილტრი ერაყში მყოფ ჯარისკაცებს საკუთარი შარდის სმის საშუალებას აძლევს

მოწყობილობა **Hydropack** წყალს აცილებს მიკრობებისა და შხამიანი ქიმიური ნივთიერებების 99 პროცენტს. ამ მოწყობილობის გამოყენება შეიძლება, აგრეთვე, შარდის გასაწმენდად, თუმცა ჯარისკაცები შარდოვანასგან მაინც იწამლებიან, თუკი სასმელად დიდხანს გამოიყენებენ.

CYAN BLACK

სტიქია

წვიმამ ამჯერად თბილისს შეუტია

(პირველი გვერდიდან)

წვიმამ და ღვარცოფმა ძირითადად ქალაქის ძველი უბნები და ისტორიულ ზონაში მდებარე შენობები დააზიანა, ანჩისხატის ეკლესიასთან მშენებარე სახლის კედელი ჩამოინგრა. ნგრევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

მთავარ პრობლემად თბილისის პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ სანიაღვრე სისტემის გაუმართაობა დაასახელა და აღნიშნა, რომ თბილისში ეს სისტემა თითქმის არ ფუნქციონირებს. თუმცა, მან პირობა დადო, რომ უმოკლეს ვადებში დედაქალაქის ხელმძღვანელობა სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციას მოახერხებს.

კოკისპირულმა წვიმებმა თბილისის ელექტროგამანაწილებელი ქსელიც დააზიანა. დედაქალაქში 35-მდე ფიდერი გამორთული იყო, რის გამოც მოსახლეობას ელექტროენერგია შეზღუდვით მიეწოდებოდა. და გუშინვე დაიწყო აღდგენითი სამუშაოები.

სერიოზულად დაზიანდა ეროვნული (საჯარო) ბიბლიოთეკაც. როგორც „ინტერ-პრესს“ ბიბლიოთეკის დირექტორმა ემზარ ჯგერენაიამ განუცხადა, ბიბლიოთეკის მე-2 და მე-3 კორპუსებში სახურავებიდან წყალი ჩადის, დაზიანებულია აღნიშნული კორპუსების საკატალოგოები, საიდანაც წყალი პირველ სართულზე მოქმედ დიუმას ცენტრამდე აღწევს.

მისი თქმით, წვიმიან ამინდში „ბიბლიოთეკის შენობაში ფაქტობრივად ისევე წვიმს, როგორც გარეთ“, უმძიმეს მდგომარეობაშია ბიბლიოთეკის დარბაზი, რომელიც თავისი სიდიდითა და სილამაზით პირველია საქართველოში.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვს და შეახსენებს მთავრობას, რომ ბიბლიოთეკაში უნიკალური წიგნები ზიანდება.

ბიბლიოთეკის შენობის სახურავის შესაკეთებლად დაახლოებით 100 000 ლარია საჭირო.

ინტერ-პრესი.





მზად არიან!

ვინ იწყებს ომს ცხინვალის რეგიონში?

(პირველი გვერდიდან)

არა, არაფერს ვიტყოდი, თუ ჩეჩნეთში წარმატებას მივაღწევდით. მაგრამ იქ ვერ მივაღწიეთ ვერაფერს, — ყოველდღიური აფეთქებები, ტერაქტები, მთებში კი არა, ბარში ცხვირიდან ძმარს გვადენენ. წამდაუწუმ ვმკითხობთ, — ან გროზნოს დაეცემიან, ან გუდერმესს! კიდევ კარგი, მოსკოვზე არ მოდიან (ჩეჩნები სწორედ ამის შემდეგ წავიდნენ მოსკოვზე. დიახ, „ნორდოსტის“ მოვლენები, კულტსახლის სისხლიანი დღეები შემდეგ იყო).

მერე რა, ჩეჩნეთი, გვერდზე გადავდოთ, საქართველოზე წავიდეთ,— მზად ხომ ვართ!

როდესაც სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა მოსკოვის მოლაპარაკებიდან დაბრუნდა, დაუფარავად თქვა: — ჩვენ თავიდან ავიცილეთ სისხლისღვრა, — მოსკოვში უკვე დაგეგმილი იყო ომი! დიდი ხანია დაგეგმილია, ბატონებო, დიდი ხანია. ვერა ხედავთ იატაკქვეშა საწყობებიდან რა სწრაფად გამოათრიეს საჰაერო რაკეტები, სატანკო ნაღმები? ვერა ხედავთ როკის გვირაბიდან რა უცებ შემორეკეს კაზაკები, აფხაზები?

ფრთხილად, მზად არიან, დაიწყებენ და ჩვენ დაგვაბრალებენ. პროვოკაციის ინსპირირებაში ვერავინ შეედრებათ!

და ბოლოს: იმავე 2002 წლის 5 აგვისტოს, იმავე „მოსკოვსკი კომსომოლეცში“ იმავე იულია კალინინას 25 შეკითხვიდან ასეთსაც უსვამენ: რომელი ერთი სიტყვით დაახასიათებდით რუსეთის სადღეისო მდგომარეობას? მეტად თავაზიანი ქალბატონი პასუხობს: — ეს უწმაწური სიტყვაა და თქვენ იგი კარგად იცით, რომელიცაა!

ვთქვათ შინაურულად: ლაპარაკია „ქინძზე“, „ქინძურ სიტუაციაზე“. ღმერთმანი, ზუსტი მიგნებაა!

19 ივლისს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა „ცხელი თავები“ კაი ბლომად დააგორა როგორც ცენტრში, ასევე ჩრდილო კავკასიაში. თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ბევრმა ჩინოსანმა სავარძელი დაკარგა სწორედაც სხვათა ტერიტორიებზე თავხედური მოქმედებისათვის (რამდენჯერ დაგვიბომბეს პანკისისა და კოდორის ხეობები), საკუთარ მიწა-წყალზე კი, კერძოდ, გროზნოსა და ნაზრანში, გაუგონარი მარცხისათვის. ამ ორ ქალაქში განხორციელებულმა ტერაქტებმა შეიწირა უამრავი უდანაშაულო ადამიანიც და ხელმძღვანელი მუშაკიც, მათ შორის ჩეჩნეთის პრეზიდენტი ახმედ კადიროვი.

არის საქართველოში ერთი უწყინარი ანდაზა: ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო...

არა სჯობია, — ჩვენ თავი დაგვანებონ და საკუთარ თავს მიხედონ?

ბონდო გულიაშვილი.

კონფლიქტის ზონა

კონტრაბანდისტები „ხვრელებს“ ეძებენ

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში უკიდურესად გამწვავებული ვითარების მიუხედავად, კონტრაბანდული ტვირთების მოძრაობის წინააღმდეგ ღონისძიებები კვლავ გრძელდება.

თუმცა, კონტრაბანდისტებმა ტვირთების გადატანის ფორმა შეცვალეს და ამჟამად ხეხილის ბაღების გავლით შეაქვთ ერგნეთის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიიდან ქართულ სოფლებში სხვადასხვა სახის აღურიცხავი ტვირთი.

გვიან ღამით ჩატარებული ღონისძიების დროს შიდა ქართლის გუბერნატორმა და სამხარეო პოლიციის უფროსმა სოფელ დიცში, რომელიც ერგნეთის ბაზრობასთან ახლოს მდებარეობს, მძინარაშვილების საცხოვრებელ სახლში დიდი ოდენობით აღურიცხავი ტვირთი აღმოაჩინეს. ოპერაციის დროს დააკავეს, აგრეთვე, რამდენიმე „მოტოროლერი“, რომელთა მეშვეობითაც შემოვლითი გზებით შემოჰქონდათ აღნიშნული ტვირთი.

შიდა ქართლის გუბერნატორის მიხეილ ქარელის განცხადებით, ოსური მხარე მაქსიმალურად ცდილობს მის კონტროლსდაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გაყიდოს კონტრაბანდული ტვირთები, ქართველი მოვაჭრეები კი შემოვლითი გზებით მაინც ახერხებენ ტვირთების გადმოტანას.

მიხეილ ქარელი ამ მოვაჭრე ქართველებს „ქვეყნის მოღალატეებს“ უწოდებს, იქიდან გამომდინარე, რომ დეფაქტო რესპუბლიკის ბიუჯეტში შესული თითოეული რუბლი ქართველების წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის შესაძენად გამოიყენება.

პოზიცია

თუ კემულარია თვალში არ მოსდის, ხობელებს რას ერჩის?!

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები და საკადრო ცვლილებები პოსტრევოლუციურ საქართველოში დიდ ინტერესს იწვევს. გრძელდება ენებათა ღლევა, რაც, არცთუ იშვიათად, საპირისპირო პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის ცივილიზებულ ფორმებს სცილდება და ურთიერთსახელის გატეხვის მცდელობას უფრო ემსგავსება, ვიდრე ჭეშმარიტების ძიებას და შორსაა ამა თუ იმ თვალსაზრისის საფუძვლიანი დასაბუთებისგან. გარკვეულ ოპოზიციურ წრეებში, მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ შემთხვევად აღიქმება ბატონი კოტე კემულარიას მისამართით გამოთქმული განცხადებები, რომელიც ლეიბორისტთა ლიდერმა გააკეთა. გვესაუბრება „ეროვნული თანხმობის კავშირის“ ხობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ლიტერატურული გაზეთის „მწერლობა — XXI“ მთავარი რედაქტორი, ბატონი კოტეს თანარაიონელი და, სხვათა შორის, მასთან ოპოზიციაში მყოფი ლაშა გვასალია.

— არ შეიძლება, ადამიანმა ყველაფრის უფლება მისცეს თავს. ამას ბოლო უნდა მოეღოს. ბატონი შალვა ნათელაშვილი, პირადი ამბიციების დაუკმაყოფილებლობის გამო, ყველაფერზე მიდის. თავისი განცხადებით, მან თითქოს კოტე კემულარიას მოსცხო ჩირქი, სინამდვილეში კი, ხობის რაიონის მთელ მოსახლეობას მიაყენა შეურაცხყოფა, როცა თქვა: „მან ამომრჩევლებს პრეზერვატივები ჩაუტანა, რის გამოც მთელ ხობში შობადობა შეწყდა“. ასეთი რამ მხოლოდ დაბალი პოლიტიკური კულტურის მქონე პიროვნებას შეეძლო.

— თქვენ, თავის დროზე, ბატონი კოტეს ოპოზიცია, ე. ი. პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყავით...

— ოპოზიციონერობა შეურიგებელ ანტაგონიზმში არ უნდა გადაიზარდოს. ბატონი კოტე ის პიროვნება არ გახლავთ, რომ პოლიტიკური მოსაზრებების გამო ყველაფერი იკადროს.

— რაზე ვერ თანხმდებოდით მაშინ თქვენ და კოტე კემულარია?

— მე მჯეროდა, რომ კოტე კემულარიას ბლოკი „ახალგაზრდა რეფორმატორები“ ე. შევარდნაძის სატელიტი იყო. „საქართველოს აღორძინება“ კი, სადაც გაერთიანებული იყო ჩვენი მოძრაობა „ჭყონდიდელი“ — ნამდვილი ოპოზიცია. ბატონი კოტეს ნათქვამი გამართლდა და ასლან აბაშიძე თავის გუნდთან ერთად შევარდნაძის სატელიტი გამოდგა, ხოლო „ვარდების რევოლუციამ“ დაგვანახა, ვინ ვისი აგენტი და გუნდის წევრი ყოფილა.

— ნათელაშვილი კემულარიას სახელმწიფო ღალატში, რუსების ჯაშუშობაში, მილიონების მიტაცებაში ადანაშაულებს. ამაზე რას იტყოდით?

— წმინდა წყლის ცილისწამებაა. ჩემი აზრით, კემულარიას ყოველთვის შევარდნაძის მოწინააღმდეგედ იცნობდნენ. იგივე ითქმის მის ძმაზეც, რომელიც, ამჟამად, პარლამენტის წევრია. უფრო მეტს გეტყვით, მთელი მისი ოჯახი და ახლო სანათესაო შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების ოპოზიცია იყო.

მაშინ, როდესაც მოქალაქეთა კავშირი და შევარდნაძე ერთად მოიაზრებოდნენ, ჩემს მეგობრებთან ერთად რამდენჯერმე შევხვედრივარ კოტე კემულარიას, მრავალ საკითხზე გვისაუბრია. ახლაც კარგად მახსოვს მისი სიტყვები: „ჩვენ უნდა ვეცადოთ საქართველოსთვის სახელმწიფოებრივად მისაღები საერთაშორისო ფუნქციების მოძებნას და მსოფლიო პოლიტიკური საზოგადოების დარწმუნებას ამ ფუნქციის რეალურობასა და აუცილებლობაში, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის დამოუკიდებლად განვითარების გარანტი იქნება. აუცილებელია, მოხდეს კვლევისა და გამოცდილების სინთეზი, გამომუშავდეს პრაქტიკული მექანიზმები, რათა ხელი შეეწყოს დემოკრატიის დამკვიდრებასა და შეფასებას ქვეყანაში, ჩვენ უნდა განვიწმინდოთ იმპერიული თვისებებისა და შეხედულებებისაგან და ფართოდ გავუღოთ ჭიშკარი ევრო-ამერიკულ ფასეულობებს, რომლებიც წინააღმდეგობაში არ იქნებიან ჩვენს მრავალსაუკუნოვან კულტურასთან...“ ეს თუ რუსეთის აგენტობაა, საზოგადობამ განსაჯოს.

რამდენი პარლამენტს გარეთ დარჩენილი პოლიტიკოსი გამოხტება, ყველას ვერ შეეპასუხები, მაგრამ ერთი რამ ყველამ უნდა გაითვალისწინოს — საკუთარი ამბიციური ზრახვების დეკლარირებისას, ხალხს თავი დაანებოს. თუ „დიდ ლეიბორისტს“ კემულარია თვალში არ მოსდის, ხობს და ხობელებს რას ერჩის?! როცა ხობს უჭირდა და კულტურის დიდი სასახლე დაიწვა, მაშინ კოტე კემულარიამ აღადგინა ეს დიდებული ტაძარი, მანვე გაარემონტა და აღადგინა ხობის ფეხბურთის სტადიონი, კულტურის სასახლეს ელექტროაპარატურა შეუძინა...

მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ბატონ გურამ აბსანძის ციხიდან გამოსვლასა და პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების მიღებაში, რომელიც საფუძვლად დაედო ეროვნული თანხმობის მიღწევას, ბატონი კოტე კემულარიას უდიდესი წვლილიცაა. ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ მოხდა და მე უფლება არა მაქვს, ამ ადამიანის უმადური ვიყო.

კოტე კემულარია, ელდარ შენგელაია, ვასიკო მაღლაფერიძე, გურამ აბსანძე, მურმან ზაქარაია, გიორგი გაჩეჩილაძე — აი, ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ეროვნული თანხმობის მისაღწევად. ამაზე დიდ ეროვნული საქმე ამ ბოლო დროს ჩვენთან არ მომხდარა და ამის დაუნახაობა არ ეგების...

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი.

რეპორტაჟი

„ფეროს“ „ოქროს მდინარე“

ახალი ღუმელის პირველი ნადნობი

(პირველი გვერდიდან)

და ამის გათვალისწინებით წარმოებს ქარხნის გადაიარაღება. ჩემი ამჟამინდელი რეპორტაჟი ერთ-ერთ მათგანს ეხება — 21 ივლისს, 17 საათსა და 30 წუთზე ქარხანას პირველი ნადნობი მისცა მსოფლიო სტანდარტების დონეზე რეკონსტრუირებულმა 28-ე ღუმელმა. მისი აშენება 2 მილიონი დოლარი დაჯდა. სახსრები მთლიანად ავსტრიელმა ინვესტორებმა და აქციონერებმა გაიღეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ახალი ღუმელის გაშვება პირველი შემთხვევაა. ბარემ იმასაც დავძენთ, რომ იგი ქარხნის წარმადობას საშუალოდ 15 პროცენტით გაზრდის. იგი 8 ათასზე მეტ ადამიანს უზრუნველყოფს მუდმივი სამუშაო ადგილით და, შესაბამისად, „არსობის პურით“.

ეს ცნობები ჟურნალისტებს მოგვაწოდეს სს „ფეროშენადნობთა ქარხნის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნოდარ ხარაზიშვილმა, ჯგუფის კოორდინატორმა ტარიელ გიორგაძემ და „ფეროს“ პრესსამსახურის ხელმძღვანელმა მეგი კიკაჩეიშვილმა, სანამ თბილისიდან ზესტაფონში ჩავიდოდით.

იმ დღეს ნიკა ჩიქოვანიც და ქარხნის კოლექტივიც თბილისიდან დიდ სტუმრებს ელოდნენ. მათმა ჩაუსვლელობამ ზეიმს ჩრდილი მიაყენა, თუმცა, საქმისთვის ხელი არ შეუშლია. სახელდახელო პრესკონფერენციის შემდეგ მასპინძლები საამქროებისკენ გაგვიძღვნენ. მაინტერესებს, როგორია შრომის რიტმი, მუშა-მოსამსახურეთა განწყობილება. აკი ნათქვამია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო.

და იმ ერთხელ ნანახმა მეც და ჩემი კოლეგებიც დაგვარწმუნა, რომ ზესტაფონელი ფეროელები დროის შესაბამისად ირჯებიან, რომ მათ გათავისებული აქვთ პასუხისმგებლობა, ქვეყნის ეკონომიკის წინაშე რომ აკისრიათ.

აი, ქარხნის დაკრიალებულ-დასუფთავებული პირველი საამქრო. გვეგებებიან საამქროს უფროსი ბადრი ფერაძე და წარმოების უფროსი ვასილ გველესიანი. აქ 247 კაცი იღვწის. თითოეული მათგანი თვეში საშუალოდ 240-250 ლარს იღებს. 6 ათას ლარამდე პრემიებისთვის არის გამოყოფილი. რგოლებისა და ბრიგადების ხელმძღვანელები თვითონ წყვეტენ, ვინ, რომელმა მუშაკმა რა დაიმსახურა. როგორც ბადრი და ვასილი მეუბნებიან, ჯერ კიდევ შარშან 1992 წლის მაჩვენებელს გაუსწრეს, წლეულს კიდევ უფრო უკეთესი შედეგები აქვთ.

ეს — რასაც უფროსები ამბობენ. ვნახოთ, რას იტყვიან ისინი, ვისი მარჯვენითაც პროდუქცია იქმნება. მით უმეტეს, რომ მათი საქმიანობა არც ისეთი იოლია, როგორც თუნდაც ორი ათეული წლის წინათ ვხატავდით. მართლაც დიდი შეგნებისა და პასუხისმგებლობის ადამიანი უნდა იყო, რომ ამ სისტემატურ სიცხეს გაუძლო! შემკეთებელი ზეინკალი გია არაბიძე, მდნობელები მერაბ ლუტიძე და როინ ტაბატაძე ისე გამოიყურებიან, თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდება — ისინი აკეთებენ იმას, რასაც წლების მანძილზე აკეთებდნენ. განსხვავება იმაშია, რომ ამ ბოლო დროს მათ შრომას მეტი ფასი დაედო.

გია არაბიძე: — წარსულთან შედარებით სამოთხეა. ყოველთვიურად 130 ლარ ხელფასს და 60 ლარ ბავშვების დახმარებას ვიღებ. ახლა ანაზღაურების გადიდებას გვპირდებიან...

21 წელია, ვალიკო ფერაძე ღუმელთან ტრიალებს. 220 ლარი გამომუშავება მაქვსო. მართალია, ხელფასი თავზე არ გადამდის, მაგრამ დღევანდელი პირობებისთვის ურიგოდ არ გვიხდიანო, — ამატებს ელექტრიკოსი ზურაბ შერგელაშვილი.

ეს უკვე ახალი დროის კაცის ფილოსოფიაა. ფეროელები ჩინებულად გრძნობენ, რომ ჯერჯერობით „თავს ზემოთ ძალა არ არის“, რომ ახლო მომავალში მათი სამუშაო პირობებიც საგრძნობლად გაუმჯობესდება და ანაზღაურებაც გაიზრდება.

თითქმის იგივე სურათია მეორე საამქროში. „წუთშესვენებისთვის“ მოწყობილ მოედნებზე წყლის შადრევნებია. ვისაც სურს, გაზიანი წყლითაც გავუმასპინძლდებითო, გვეუბნება საამქროს უფროსი ლევან არევაძე. 240 კაცია ამ საამქროში. გეგმით 33 ტონა პროდუქცია უნდა აწარმოონ დღეღამეში, ერთ-ორი ტონით მეტს კი იძლევიან. პრემიებსაც დამსახურებისამებრ ანაწილებენ.

და აი, მეოთხე საამქროც, რომლის შესასვლელშივე აღმართულა ახალაგებული ღუმელი. გადი-გამოდის ხიდურა ამწე და ბურბუშელით სავსე ტომარასავით მსუბუქად გადააქვს ზემძიმე ციცხვები. საამქროს უფროსი ლერი ბეგაძე გვამცნობს, რომ პირველი ნადნობის მიღების პატივი იური ჭანტურიძეს და მამია კოჩაძეს მიანიჭეს. სწორედ ისინი იყვნენ ახალი ღუმელის პირველი აგურის დამდებნი. ლერი ბეგაძეს ქარხანაში მუშაობის 45 წლის სტაჟი აქვს, აქედან 21 წელი საამქროს უფროსია.

— რაღაც, სულ სხვა მნიშვნელობა შეიძინა ჩვენმა გარჯამ: საკუთარი ქვეყნის სიკეთისათვის ვიღვწით! ამას რიგითი მუშაც გრძნობს და ხელმძღვანელიც, — მეუბნება ლერი. მისი ხელქვეითები თვეში 280-300 ლარზე გამოდიან. არც ის არის უკმაყოფილო — 300 ლარს საამქროს უფროსობისას უხდიან, 390-ს — სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისას. ამას დავუმატოთ 120-130 ლარი პრემია! — ადრე მხოლოდ 4-5 თვეს ვმუშაობდით წელიწადში, ახლა ერთი წუთითაც არ შევფერხებულვართ. ხელფასს სისტემატურად და დადგენილ დროს რომ გვაძლევენ, ესეც გვახალისებს.

— ნედლეული ხომ არ გაკლიათ?

— რას ამბობთ! ამჟამად მარტო ჩვენი საამქროს საწყობში 12 ათასი ტონა მადანია.

— ახალი ღუმელების აშენებას კიდევ აპირებთ?

— რა თქმა უნდა. უკვე მიმდინარეობს მეხუთე ღუმელის აღდგენა, ხოლო კიდევ ორის მწყობრში ჩასაყენებლად ხარჯთაღრიცხვა მზადდება. ასე რომ, მალე ჩვენი პროდუქციის რაოდენობაც გაიზრდება და შემოსავლებიც. დღეღამეში 180 ტონა უნდა გამოვუშვათ, 200-ზე ავდივართ. ახალი ღუმელი კიდევ 25 პროცენტით დაგვაწინაურებს...

ღუმელის ჭრილებიდან ცეცხლის ალი მოჩანს. მდნობელები რკინის გრძელი ჭოკით ცეცხლს წარამარა უჩხიკინებენ. იქ, შიგნით, დროდადრო ტემპერატურა 2500 გრადუსამდე ადის... ღუმელთან ტრიალებენ მდნობელი მალხაზ ხვედელიძე, ბრიგადირი ამირან ხვედელიძე, მამუკა კვანტრიშვილი, გუგული ჭიღლაშვილი, მამია კოჩაძე, არჩილ ბეღელაძე, ცვლის უფროსი ვასილ აბულაძე. — ახლა მე ვარ აქ ყველაფერი, ჩემი წარბის ერთი აწევა წყვეტს საქმეს! — ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად მეუბნება ვასილი.

ნადნობის გამოშვების დრომაც მოაწია, როცა ქარხანას მხარის ვიცე-გუბერნატორი ზურაბ ქაჯაია, ზესტაფონის გამგებელი თემურ ცერცვაძე და პრეზიდენტის მრჩეველი გოგი ბედინეიშვილი ეწვივნენ. აი, ნიკა ჩიქოვანი ხელს ზემოთ სწევს — დათქმულ დროს ღუმელის კარი უნდა გაიღოს და საგანგებო ღარში გავარვარებული ლავა წამოვა. ისმის მძლავრი, მოგუდული ხმა — ეს მდუღარე ლითონი ბობოქრობს. გახსნეს საჰაერო შიბერები. ჩემი ნაცნობი მუშებიდან ერთ-ერთი ლითონის გრძელ ჭოკს გულმოდგინედ უჩხიკინებს ღუმელს. ბოლოს ერთბაშად განათდა — ღარში ჯერ ნელა, მერე კი აჩქარებით წამოვიდა ოქროსფერი მდინარე. ყველა იღიმება, ყველა ტაშს უკრავს. ეს ფეროელთა კიდევ ერთი სერიოზული გამარჯვებაა!

ხიდურა ამწე მზად არის პირთამდე გაპიპინებული უზარმაზარი ციცხვის წასაღებად.

— აი, ამაზეა დამოკიდებული ზესტაფონელთა ბედი, — თქვა ვიღაცამ.

— და არა მარტო ზესტაფონელებისა, — სიტყვა შეუბრუნა მეორემ.

იმავე საღამოს ფეროელთა კულტურის სახლში დიდი ღონისძიება შედგა. ქარხნის წარმატებულ მუშაკთა დიდ ჯგუფს გადასცეს სამადლობელი სიგელები და მაჯის საათები. განსაკუთრებული დამსახურებისთვის ოქროს მედლებით დააჯილდოვეს ვეტერანი დავით მესხიშვილი და ახალგაზრდა მეტალურგი ზურაბ კვინიკაძე. ქარხნის გენერალურმა დირექტორმა ნიკა ჩიქოვანმა 500-500 ლარი გადასცა სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული სამი პოლიციელის ოჯახებს.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი ადგილი იპოვეთ და კმაყოფილი ხართ თუ არა, რაც დღეს ქარხანაში ხდება? — მივუბრუნდი ნიკა ჩიქოვანს.

— ეგ ჩემს მუშებს ჰკითხეთ, — მიპასუხა ღიმილით.

— უკვე ვკითხე, — მეც ღიმილით ვუპასუხე.

ვფიქრობ, ნიკა ჩიქოვანმა მართლა იპოვა თავისი ადგილი.

და ფეროელებმაც „იპოვეს“ ნიკა ჩიქოვანი.

ელგუჯა ლებანიძე,
„სრ“ სპეც. კორ.

ინფორმაცია

სოციუმი

დაიწყო გარდაცვლილ პენსიონერთა ვალის დაფარვა

სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა გარდაცვლილ პენსიონერთა ვალის დაფარვა პრიორიტეტულად აღიარა და მისი გაცემა დაიწყო.

მიმდინარე წელს ფონდმა გარდაცვლილ პენსიონერთა 2003 წლის მარტიდან დეკემბრის ჩათვლით გასაცემი თანხები დაარიცხა. გარდა ამისა, გარდაცვლილ პენსიონერთა ოჯახებს მიმდინარე წლის პირველი ოთხი თვის დავალიანება აუნაზღაურეს 1 347 868 ლარის ოდენობით.

როგორც ფონდში განაცხადეს, უახლოეს მომავალში მიმდინარე წლის აპრილ-ივნისის თვეების თანხებიც დაფინანსდება.

პრივატიზაცია

აუქციონი ერთი კვირით გადაიდო

შპს ბათუმის „ინტურისტი“ შესაძლოა, უძრავ ქონებად გაიყიდოს. ამის შესახებ „ინტერ-პრესს“ ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ განუცხადა.

მისი თქმით, შპს ბათუმის „ინტურისტზე“ აუქციონი დღეს უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა, სამინისტრომ ინვესტორების თხოვნა გაითვალისწინა და აუქციონის გამოცხადება ერთი კვირით გადადო.

ბენდუქიძის თქმით, პოტენციურ მყიდველთა უმრავლესობას „ინტურისტის“ უძრავ ქონებად შესყიდვა სურს, თუმცა, სამინისტროს ჯერჯერობით არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება და სწავლობს, გაიყიდოს „ინტურისტი“ როგორც შპს თუ როგორც უძრავი ქონება. „საბოლოოდ იმ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რომელიც ქვეყნისთვის უფრო მომგებიანი იქნება“, — დასძინა კახა ბენდუქიძემ.

კონფლიქტის ზონა

დააკავეს „ტურისტი“ კაზაკი

გუშინ, ნაშუადღევს, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის ქურთის განყოფილების თანამშრომლებმა კეხვის საგუშაგოსთან კაზაკი მებრძოლი დააკავეს. იგი კაზაკთა სამხედრო რაზმის ატამანის მოადგილეა. კუზნეცოვი ჯავიდან ცხინვალის მიმართულებით მოძრაობდა, როცა იგი სამართალდამცველებმა შეინიშნეს. კაზაკმა გაქცევა სცადა და კეხვის საგუშაგოზე არსებულ რუსულ დანაყოფს შეაფარა თავი, თუმცა ქურთის პოლიციის თანამშრომლებმა მისი დაკავება მაინც მოახერხეს და შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში გადმოიყვანეს.

ვიაჩესლავ კუზნეცოვი აცხადებს, რომ იგი ცხინვალში ექსკურსიაზე ჩამოვიდა, თუმცა, ვერ აკონკრეტებს ექსკურსიაზე რატომ გადაწყვიტა წასვლა ცეცხლსასროლი იარაღით და სამხედრო ფორმით.

ინტერ-პრესი.

„რინგი“ — ღირსებაშელახულთა დამცველი

დღევანდელი მკაცრი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა ქვეყანა ლამისაა გამეფებულმა წალეკოს, პრესის ახალი ორგანოს დაარსება და გამოცემა ნამდვილად დიდი გმირობაა.

სწორედ ამ „გმირობის ჩადენას“ ცდილობს ჩვენი კოლეგა და მეგობარი პოეტი ილია ბარამიძე, რომელმაც გაზეთი „რინგი“ გამოსცა და ამით ჩვენი ღირსებაშელახული თანამემამულეების ინტერესების დაცვა განიზრახა.

თუ რა სახით „ჩაჯდება“ ეს ახალი გამოცემა, ქართული მედიის სპექტრში და რა ადგილს დაიჭერს იგი ჩვენი დღევანდელი საზოგადოების ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, ეს სულ მალე გახდება ნათელი.

საათი ჩართულია, პირველი რაუნდი დაწყებულია. ვნახოთ, რა შედეგს მოუტანს უსამართლოდ დაჩაგრულ ილია ბარამიძის „რინგში“ გამართული ორთაბრძოლება.

⊙ დოკუმენტი

ზვიად გამსახურდიას მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა

1992 წლის აგვისტოში ვ. დომუხოვსკი, თ. კვანტალიანი, ი. დოკვაძე და პ. გელბახიანი ქ. ბაქოში შეუთანხმდნენ მათი ჯგუფის წევრს გელა ხადურს ქ. თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე, აფეთქების გზით მწყობრიდან გამოეყვანათ საქტელერადიოს მაგისტრალური კაბელი, რისთვისაც გ. გელბახიანისაგან ასაფეთქებელი ნივთიერების – „ტროტილის“, ასევე ჭურვების და საბრძოლო იარაღის წამოსაღებად და ყვარელში ჩასატანად მასთან ერთად გაგზავნეს გ. სამუნაშვილი და დ. ტალაშვილი. წინასწარი შეთანხმებით ამ უკანასკნელებს გ. ხადურისთვის უნდა გადაეცათ ასაფეთქებელი ნივთიერების ნაწილი, დანარჩენს კი კახეთის რეგიონში თვითონ გამოიყენებდნენ დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ აღნიშნული გეგმა ვერ განახორციელეს მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო – გედევან გელბახიანმა ვერ უზრუნველყო დ. ტალაშვილის და გ. სამუნაშვილისათვის ასაფეთქებელი ნივთიერების და იარაღის გადაცემა, რადგან ამ საგნების გადამალვაში მონაწილე ალბერტ ბორჩაშვილმა, მასთან შეთანხმების გარეშე, ასაფეთქებელი ნივთიერება და საბრძოლო იარაღები გაატანა გ. როსტომაშვილს და რ. გაიპარაშვილს.

ყვარლის მთებში დაბანაკებულ ორგანიზებულ ჯგუფს, გედევან გელბახიანმა დაგეგმილი ტერორისტული აქტების, დივერსიების და ბანდიტური თავდასხმების უზრუნველსაყოფად დ. ტალაშვილის მეშვეობით გადაუგზავნა მხოლოდ პეტრე გელბახიანის მიერ შენახული „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატური იარაღი, მცირეკალიბრიანი საბრძოლო შაშხანა და ტყვია-წამალი.

ამავე მიზნით, 1992 წლის 21 აგვისტოს, ვ. დომუხოვსკიმ, გ. გოგიტიძემ, ბ. ოქროპირიძემ, გ. სახლთხუციშვილმა, ლ. დარახველიძემ, გ. ხადურმა, მ. იორამიშვილმა, პ. გელბახიანმა, ზ. ოშხერელმა ქ. გროზნოდან ქ. ბაქოს გავლით ყვარლის რაიონში დაბანაკებულ პირებს კონტრაბანდის გზით მიუტანეს „კალაშნიკოვის“ სისტემის 47 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ორი ცალი ხელის ყუმბარმტყორცნი ათი ნაღმით, ოთხი ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა, „ფ-1“ ტიპის 70 ცალი ხელყუმბარა და ავტომატური იარაღის 3200 ცალი ტყვია, რომლის გადაზიდვაში მათ აქტიურად დაეხმარა სიმონ იორამიშვილი. აღნიშნული იარაღიდან ჯგუფის წევრებზე განაწილებული იქნა 21 ავტომატური იარაღი, 2 ყუმბარმტყორცნი, ჭურვები და ტყვია-წამალი, ხოლო 26 ცალი ავტომატი სპეციალურად მოწყობილ სამალავში შეინახეს ი. დოკვაძემ და პ. გელბახიანმა.

შეიარაღებული ორგანიზებული ჯგუფი 1992 წლის აგვისტოდან შეუდგა ყვარლის რაიონში განზრახვის სისრულეში მოყვანას, კერძოდ:

ვიქტორ დომუხოვსკი მოლაპარაკა ჯგუფის წევრებს ყვარლის რაიონში ბანდიტური თავდასხმების განხორციელებაზე და 1992 წლის 23 აგვისტოს, წინასწარი შეთანხმებით, შეიარაღებული ჯგუფის წევრებმა: ბადრი ოქროპირიძემ, მამუკა აფციაურმა, დავით ტალაშვილმა, ალექსანდრე გულიაშვილმა, ზეზვა ფირცხელაიშვილმა და ომარ ღვინიაშვილმა განახორციელეს ქ. ყვარელში მდებარე რესტორან „ხერგილზე“ ბანდიტური თავდასხმა, საიდანაც გაიტაცეს 10.000 მანეთის ღირებულების სახელმწიფოს კუთვნილი ჭურჭელი და სხვადასხვა საკვები პროდუქტები, ხოლო 25 აგვისტოს გივი იორამიშვილის წინადადებით ვიქტორ დომუხოვსკი, ზვიად ოშხერელი, ბადრი ოქროპირიძე, მამუკა აფციაური და ალიკო გულიაშვილი ბანდიტურად თავს დაესხნენ ქ. ყვარელში მცხოვრები დავით მაძღარაშვილის საცხოვრებელ ბინას, საიდანაც გაიტაცეს 30 ათასი მანეთი, 440 ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასი ლითონის თვლებიანი სამკაულები და სხვა ფასეულობები. ამასთან, ვიქტორ დომუხოვსკიმ დავით მაძღარაშვილს მოსთხოვა ქ. ბაქოში მისთვის ჩაეტანა 500.000 მანეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა ფიზიკური მოსპობითა და სახლ-კარის გადაწვით.

ბანდიტური ჯგუფის მიერ დაგეგმილი დივერსიებისა და ტერორისტული აქტების განხორციელების მიზნით, 1992 წლის აგვისტოში, ვიქტორ დომუხოვსკიმ, ირაკლი დოკვაძემ, პეტრე გელბახიანმა, მიხეილ იორამიშვილმა, ბორის მჭედლიძემ და გელა გაჩეჩილაძემ მოილაპარაკეს აეფეთქებინათ ქ. თელავის ნავთობბაზა, მაგრამ ეს განზრახვა ვერ მოიყვანეს სისრულეში, მათგან დამოუკიდებული მიზეზების გამო, ვინაიდან ვერ იშოვეს სატრანსპორტო საშუალება თელავში გასამგზავრებლად.

ზვიად გამსახურდიას წინადადებით, ბანდიტური ჯგუფის მიერ დაგეგმილი ყაჩაღობისა და ძარცვის ორგანიზებულად უზრუნველყოფის მიზნით, ვიქტორ დომუხოვსკიმ, 1992 წლის 26 აგვისტოს, შეიარაღებული ჯგუფის წევრების გელა ხადურის, დავით ლოლაძის, ხვიჩა ჯოხაძის, მამუკა აფციაურის, გელა ტოგონიძის, ნუკრი იორამიშვილისა და ალექსანდრე გულიაშვილის შემადგენლობით, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ბადრი ოქროპირიძეს, ჩამოაყალიბა დანაშაულებრივი სპეცდანიშნულების რაზმი, პირობითი სახელწოდებით „სპინოზა“, რომლის დანიშნულებას წარმოადგენდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, ასევე ცალკეულ პირებზე ყაჩაღური თავდასხმების, ძარცვისა და ტერორისტული აქტების მოწყობა. ზემოაღნიშნული შეიარაღებული სპეცრაზმის მიერ მოპოვებული ქონების 20 პროცენტი უნდა განაწილებულიყო „სპინოზას“ იმ წევრებს შორის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ დანაშაულების ჩადენაში, ხოლო დანარჩენი 80 პროცენტი უნდა გამოეყენებინათ საბრძოლო იარაღისა და მასალის შესაძენად, ნაწილი კი – გადაეგზავნათ ქ. გროზნოში ზ. გამსახურდიასთვის.

ყვარლის რაიონის ტყეში დაბანაკებული ზემოაღნიშნული ბანდიტური ჯგუფის წევრებმა: ირაკლი დოკვაძემ, პეტრე გელბახიანმა, გივი იორამიშვილმა, ბადრი ოქროპირიძემ, ემზარ კობაიძემ, მიხეილ იორამიშვილმა, გელა სახლთხუციშვილმა, ხვიჩა ჯოხაძემ, გელა ხადურმა, მამუკა აფციაურმა, გელა ტოგონიძემ, ლევან დარახველიძემ, დავით ლოლაძემ, ბორის მჭედლიძემ, გელა გაჩეჩილაძემ და ალექსანდრე გულიაშვილმა 1992 წლის 31 აგვისტოს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს და ცეცხლი გაუხსნეს „მხედრიონისა“ და ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებს, რომლებმაც შეძლეს მათი შეტევის მოგერიება და 1-3 სექტემბერს ბანდის მთელი რიგი წევრების დაკავება, რითაც, ფაქტობრივად დაიშალა ყვარლის ტყეში დაბანაკებული შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფი და აღნიშნულით თავიდან იქნა აცილებული ბანდის მიერ დაგეგმილი განსაკუთრებით საშიში დანაშაულების ჩადენა.

ამ ქმედებებით ზ. გამსახურდიამ ჩაიდინა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილით, 67-ე, 69-ე, 78-ე მუხლებით და 79-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

1993 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მიერ აღიძრა № 7493846 სისხლის სამართლის საქმე ზვიად გამსახურდიას, ასევე ბესარიონ გუგუშვილის, ნემო ბურჭულაძის და სხვათა მიმართ, 1960 წლის რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე, 75-ე და 96[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

1993 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველოს უფროსმა ა. ბალუაშვილმა ზვიად გამსახურდია, რომელიც მის მიერვე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში იყო მიცემული სისხლის სამართლის № 7492801 საქმეზე, ისევ მისცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ჯაბა იოსელიანზე განხორციელებული ტერაქტის მცდელობისა და კახეთის ტერიტორიაზე განხორციელებულ დანაშაულებრივ, ზემოთ მითითებულ ეპიზოდებში.

ტ. 43, ს.ფ. 333-341

1993 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის ო. ჯაფარიძის მიერ ზ. გამსახურდია ბრალდებულის სახით ასევე მიცემული იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში 1960 წლის რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე და 78-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში. პასუხისგებაში მიცემის ზემოთ ხსენებულ დადგენილებებში მითითებული კონკრეტული დანაშაულებრივი ეპიზოდების გარდა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის 1993 წლის 25 ოქტომბრის დადგენილებით, ზვიად გამსახურდიას ასევე შეერაცხა სამშობლოს ღალატი, – ესე იგი ქმედება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქემ განზრახ ჩაიდინა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული ხელშეუხებლობის, სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ, მტრის მხარეზე გადასვლა, ჯაშუშობა, სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების გაცემა და დახმარება უცხოეთის სახელმწიფოსათვის საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში, აგრეთვე, შეთქმულება სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, ასევე ბანდიტიზმი.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 161-166, 168.

⊙ გვეხმაურებიან

მადლობა ჩემთვის ცილისმწამებლური ბრალდების მოხსნისათვის

„საქართველოს რესპუბლიკის“ 14 ივლისის ნომრის მე-3 გვერდის პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძვლად მითითებულ იქნა „ბინსოცბანკის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის გ. ლაბარტყავას წერილობითი შეტყობინება ქ. თბილისის ისნის რაიონის ბანკის განყოფილებიდან 2167 ათასი მანეთის გატაცების შესახებ“. ამავე გაზეთის 13 ივლისის ნომერში კი მითითებულია, რომ ამგვარი წერილი და განცხადება ბუნებაში არ არსებობდა და არც საქმის მასალებში მოიპოვება. ამის მიუხედავად, საზოგადოებისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი:

საქართველოში 1991-1992 წლებში დაწყებული სამარცხვინო სამოქალაქო ომის, თბილისში საგანგებო მდგომარეობის, ექსტრაორდინარულ ვითარებაში რესპუბლიკის უწყებები საჭიროების, მინისტრთა კაბინეტის, ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის დავალებით „ბინსოცბანკის“ ისნის განყოფილებიდან სამთავრობო ხარჯებისათვის გაცემულ იქნა 2167 ათასი მანეთი.

საგულისხმოა, რომ „ბინსოცბანკის“ ისნის განყოფილებიდან ამ თანხის გაცემა ხდებოდა იმიტომ, რომ საქართველოს „ბინსოცბანკი“ და მისი ქალაქის საოპერაციო სამმართველო, რომელიც ტერიტორიულად მდებარეობდა თბილისის ცენტრში – პუშკინის ქ. №3-ში, სადაც ომი მიმდინარეობდა, ფაქტობრივად, უსაფრთხოების მიზნით, არ ფუნქციონირებდა, დაკეტილი იყო. ამიტომაც მთავრობის გადაუდებელი ხარჯების ოპერაციები დროებით ტარდებოდა „ბინსოცბანკის“ ისნის განყოფილებაში, სადაც „ბინსოცბანკების“ ხელმძღვანელობის შტაბი იმყოფებოდა.

მშვიდობიან დროს მსგავსი ხასიათის და შინაარსის ხარჯები (ოპერაციები), როგორც წესი ხორციელდებოდა მინისტრთა კაბინეტის და ფინანსთა სამინისტროს სპეცხარჯების ანგარიშიდან, რომელიც „ბინსოცბანკის“ თბილისის ქალაქის სამმართველოში იყო გახსნილი (პუშკინის ქ. №3). ამიტომაც თავის დროზე საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე სრულიად სამართლიანად დავსვი საკითხი „ბინსოცბანკის“ ისნის განყოფილებიდან გაცემული თანხის – 2167 ათასი მანეთის „ბინსოცბანკის“ ქალაქის საოპერაციო სამმართველოში გახსნილი და არსებული მთავრობის სპეცდანიშნულების ანგარიშიდან მოქმედი წესების დაცვით დაფარვის შესახებ. ამ ანგარიშზე 1991 წლის ბოლოსათვის აუთვისებელი სახსრების ნაშთი შეადგენდა 6240 ათას მანეთს (თითქმის სამჯერ მეტს).

ასევე აუცილებლად მიმაჩნია კატეგორიულად განვაცხადო, რომ არც ერთ წერილობით დოკუმენტში ან ზეპირ განცხადებაში ჩემს მიერ არაა მითითებული იმის შესახებ, რომ ამ თანხის გატაცება მოხდა ქვეყნის პრეზიდენტის ან მთავრობის სხვა რომელიმე წევრის მიერ. პირიქით, ობიექტურობიდან და საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩემი დიდი სურვილი იყო ამ ფაქტის კანონზომიერების ფარგლებში მოქცევა. ჩემი ამგვარი მოთხოვნის და პრინციპულობის პასუხად, ბანკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ სამსახურიდან არაკანონიერად გამათავისუფლა.

აი, ასეთია ამ საქმის შესახებ სიმართლე და ჭეშმარიტება.

გულთაზ ლაბარტყავა.

P. S. **გულწრფელი მადლობა მინდა მოვახსენო საპრეზიდენტო კომისიას და პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფს, რომლებმაც სამზეოზე გამოიტანეს ეს ფაქტი, სამართლიანად ბათილად ცნეს იგი და შესაძლებლობა მომეცა ჩემთვის უცნობი ცილისწამებლური ბრალდება სულიერად და მორალურად მომეხსნა.**

გ. ლ.

⊙ სელექცია

ახალი ჯიშები ქვეყნის სიუხვის წყაროა

უცხოელთა დახმარებით და მათთან თანამშრომლობით მცხეთის სასელექციო სადგური მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველო ხორბლის წარმოშობის ქვეყანაა. აქ ისტორიულად შეიქმნა და ჩამოყალიბდა ხორბლის მრავალი ძვირფასი სახეობა, ამიტომ არის, რომ ჯიშთა რაოდენობითა და შემადგენლობით საქართველო ყველა სხვა ქვეყნებს შორის გამოირჩევა. დღემდე მსოფლიოში ცნობილი სახეობებიდან საქართველოში გავრცელებულია 15, მათ შორის, 4 საქართველოს ენდემური სახეობაა, რადგან ისინი არც ერთ სხვა ქვეყანაში არ გვხვდება.

პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდების ყველაზე ეფექტიანი ღონისძიება ახალი ჯიშების გამოყვანა და მათი წარმოებაში დანერგვაა. სწორედ ეს გზაა ის, რითაც ბევრმა ქვეყანამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა 60 პროცენტით და მეტით გაზარდა.

ამ ბოლო წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურში მარცვლოვანი და სამარცვლე-პარკოსანი კულტურების ახალი მაღალმოსავლიანი ჯიშები და ჰიბრიდები გამოიყვანეს, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ მეთესლეობა ისეთი დონითა და რაოდენობით ვერ წარმოებს სახნავი მიწის სიმცირის გამო, რომ ფერმერთა მოთხოვნილებები მაღალხარისხოვან თესლებზე სრულად დაკმაყოფილდეს.

მცხეთის სასელექციო სადგური ერთადერთი უძველესი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა ამიერკავკასიაში. მინდვრის კულტურების გენეტიკური სელექციისა და მეთესლეობის შედეგებით იგი აღიარებულია მსოფლიოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და მეცნიერების მიერ. აქ გამოყვანილი და წარმოებაში დანერგილია 54 ჯიში და ჰიბრიდი, მათ შორის რამდენიმე საზღვარგარეთაც არის გავრცელებული.

სასელექციო სადგურის დღევანდელობაზე, პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება ამ დაწესებულების დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ოთარ ლიპარტელიანი.

– საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის დახმარებით, – ამბობს ბატონი ოთარი, – სადგურმა 1995 წლიდან კავშირი დაამყარა აშშ ორეგონის უნივერსიტეტის პროფესორებთან. მანამდე, როგორც იტყვიან ხოლმე, შიშველი ენთუზიაზმით ვმუშაობდით. ამერიკელი მეცნიერები ჩამოვიდნენ და თან 720 ნომერი ხორბლის კოლექცია, ტრიტიკალეს 250, ქერის 100 და სიმინდის 100 ნომერი ჩამოიტანეს. გარდა ამისა, ამერიკელმა მეგობრებმა იქ დარაიონებული ხორბლის კომერციული 12 ჯიშის თესლიც მოგვცეს. ამ ჯიშებს წლების განმავლობაში ვაკვირდებოდით, ვსწავლობდით თითოეული მათგანის ზრდა-განვითარების პროცესებს, როგორც ადგილზე, ასევე ქვეყნის სხვადასხვა ზონაში. მათგან რამდენიმემ კარგი შედეგი მოგვცა.

– ბატონო ოთარ, განსაკუთრებით მაინც რომელი ჯიში გამოირჩევა, შეფასების კრიტერიუმი ხომ მაღალი მოსავალია?

– ყველას მაინც „კოპერმა“ აჯობა. ამ უკანასკნელს ქვეყნის ხორბლის მომყვან ყველა რაიონში თესავენ. სართიჭალაში, მსოფლიო ბანკის პროექტის ხელმძღვანელის კობა ხუციშვილის ნაკვეთშიც „კოპერის“ თესლი გამოიყენეს, როგორც თქვენი გაზეთი წერდა, იქ ჰექტარზე 60 ცენტნერს ელოდებიან. ურიგო ნამდვილად არ არის. დანარჩენ მასალას ვიყენებთ სელექციურ მუშაობაში.

იხ. მე-4 გვ.

⊙ ინფორმაცია

სასამართლო

სულხან მოლაშვილს პატიმრობა გაუგრძელეს

სააღძრო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი წინასწარ პატიმრობაში 23 ოქტომბრამდე დარჩება. გუშინ სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და პატიმრობის ვადა კიდევ სამი თვით გააგრძელა.

მოსამართლის ბრძანების თანახმად, „თავისუფლებაში ყოფნის დროს მოლაშვილი შესაძლოა გამოძიებას დაემალოს, ხელი შეუშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და მოწმეებზე ზეწოლა მოახდინოს“.

მოლაშვილი პროცესზე არ გამოცხადებულა, რადგან როგორც ადვოკატებმა განმარტეს, მისთვის ცნობილი იყო, რა გადაწყვეტილებასაც გამოიტანდა სასამართლო.

სიმღერა

„ნიკოლ-შოუ“ აფხაზეთშიც „უზერავს“

ცნობილი ქართული ჯგუფის „ნიკოლ-შოუს“ პოპულარული სიმღერა „შებერილები“, რომელიც აფხაზურ ენაზე ითარგმნა, აფხაზეთშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. გარდა ამისა, მალე აფხაზეთში აფხაზურ ენაზე „უცნობის“ სიმღერებსაც მოუსმენენ.

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელის ზურაბ შენგელიას ინფორმაციით, ინსტიტუტის ინიციატივით ქართულიდან აფხაზურად ითარგმნა სიმღერა „შებერილები“, რომელიც აფხაზეთში დარჩენილ მოსახლეობაში იმდენად დიდი პოპულარობით სარგებლობს, რომ მის ვიდეო და აუდიოჩანაწერებს აფხაზურ ოჯახებსა და ავტოტრანსპორტში ხშირად ისმენენ.

შენგელიას ინფორმაციით, უახლოეს დღეებში პოპულარული ქართველი მომღერალი გია გაჩეჩილაძე („უცნობი“) სიმღერებს „ვაგონი მიქრის“ და „ველოდები მზეს“ აფხაზურ ენაზე ჩაწერს. იგი იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში ქართველ მომღერალთა შესრულებით პოპულარული სიმღერების ვიდეოჩანაწერებს სოხუმის ტელევიზია აჩვენებს.

ცხინვალიდან მიღებული ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონში ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს ცნობილი ქართველი რეპ-შემსრულებლის „ლექს-ენის“ სიმღერებიც.

ტარიფები

ლეიბორისტები სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას ითხოვენ

„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ ხელისუფლებას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისკენ მოუწოდებს. როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, გაზის ტარიფი უნდა შემცირდეს, პრესაში ოფიციალურად უკვე გამოქვეყნდა და, შესაბამისად, მისი აღსრულება სავალდებულოა.

„ლეიბორისტები“ იმედოვნებენ, რომ შესაბამისი უწყებები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას შეასრულებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.

ინტერ-პრესი.

⊙ საზღვაო კარიბჭე

აკი სინდისი არ გაიყიდებაო?

პატარა ქალაქის დიდი პარამეტრები

საქართველოში პოლიტიკური ბატალიები თანდათან ცხრება, ასპარეზი იმ ადამიანებს ეთმობა, ვინც საქმის კეთების სურვილითაა ანთებული. ასეა ფოთშიც, რომლის ახალ მთავრობას ნათლად აქვს წარმოდგენილი საპორტო ქალაქის ხვალინდელი დღე, გეოსტრატეგიული ფუნქცია, მისი განვითარების პროგრამები.

ბოლო პერიოდში ჯემალ ინაიშვილის ხელმძღვანელობით ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ პორტი საერთაშორისო სტანდარტებს მიახლოებოდა. ესაა: საბორნე გადასასვლელი, მიწახაპია გემი „ნიკო ნიკოლაძე“, დიდი სასაწყობო მეურნეობები, ახალი ტერმინალები და ა. შ. ამიტომაც დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა ეკონომიკის მინისტრის განცხადებას ნავსადგურის გაყიდვის თაობაზე. და რამდენადაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ სინდისი არ იყიდება, ხოლო ფოთელთა აზრით, პორტი მარტო ფოთის კი არა, ქვეყნის სინდისია, მისი გაყიდვა დაუშვებელია. ამავე მოსაზრებისაა ნავსადგურის ხელმძღვანელობაც.

ყველაფერი შედეგით იზომება, საბიუჯეტო დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს ქალაქი, ბევრ სასიკეთო საქმეს ეყრება საფუძველი, მაგრამ უფრო მეტია გასაკეთებელი. ამის თაობაზე გთავაზობთ ფოთის მერის ვახტანგ ალანიას მოსაზრებებს.

– ბატონო ვახტანგ, დეპუტატ რომან მელიას სიტყვას პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე ფოთის სტატუსთან დაკავშირებით, რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატების საოცარი რეაქცია მოჰყვა. რას იტყოდით იმ შეხვედრაზე და გქონდათ თუ არა საშუალება, დასაბუთებულად გაგექარწყლებინათ გამოთქმული პრეტენზიები?

– სტატუსი არ არის ის მოთხოვნა, რასაც ფოთის დელეგაცია აყენებდა. ჩვენი მოთხოვნა ფოთის განვითარებას ეხებოდა. ფოთს ჩვენ ვუყურებთ, როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საშუალებას – აღმძვრელ ღვედს. ვერც ექსპორტი, ვერც იმპორტი ვერ გაიზრდება, თუ არ განვითარდა მალიხად ფოთი თავისი ინფრასტრუქტურით. მცდარია შეხედულება, თითქოს საკმარისი იყოს ნავსადგურის განვითარება. ამიტომაც ვითხოვთ მეტ შესაძლებლობებს ფოთის განვითარებისთვის. ჩვენ არ გვინდა არც ტრანსფერი, არც სხვა დახმარებები, მოგვცენ შესაძლებლობა, რომ ჩვენივე საშუალებით, ჩვენივე სახსრებით განვვითარდეთ. ეს სულ ცოტა ხანში ქვეყანას სასიკეთოდ დაუბრუნდება. ამისთვის საჭიროა ნება, რომ ფოთს თავისივე სახსრებიდან უფრო მეტი დაუტოვონ განვითარებისთვის. ასე იყო ნიკო ნიკოლაძის დროს. სწორედ, იმ შემოსავლებით შეძლო მან მოკლე დროში ქალაქისთვის ამდენი რამის გაკეთება, რასაც დღეს ვერ მოვიტანეს. რა შუაშია აქ რეგიონის ინტერესები, როცა მოთხოვნა მთლიანად ქვეყნის ინტერესებს ეხება? გულდასაწყვეტი იყო, რომ მე არ მომეცა გამოსვლის საშუალება, რადგან შემეძლო დამემტკიცებინა ჩვენი მოთხოვნის ეკონომიკური პარამეტრის მომგებიანობა. რატომღაც გვავიწყდება, რომ სწორედ ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკას და რატომ არ ისურვეს სხდომის მონაწილეებმა ამის გაცნობიერება, ჩემთვის გაუგებარია.

– თქვენ ყურადღებას ამახვილებთ ქალაქისა და ნავსადგურის ინტეგრირებაზე, ამბობთ, რომ ნავსადგური ცალკე ვერ განვითარდება. თქვენი აზრით, რა ფორმით უნდა შევინარჩუნოთ ნავსადგური?

– ამას მომავალი გვიჩვენებს. მთავარია, ის განვითარდეს. რა აზრი აქვს, ვთქვათ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აღდგენას, თუ მან გამოუშვა, ვთქვათ, ერთი მილიონი ტონა პროდუქცია და ამ პროდუქციას ფოთის ნავსადგური ვერ მიიღებს?

ფოთის დანიშნულება ჯერ კიდევ ნიკო ნიკოლაძემ განსაზღვრა. ეს არის ევროპა-აზიის დამაკავშირებელი კვანძი. დიდმა ნიკომ ევროპისკენ გაჭრა ფანჯარა და ფოთი იქცა ქვეყნის საზღვაო კარიბჭედ. ეს კარიბჭე ჩაკეტილი გვაქვს – გვეშინია, უცხოელმა მიწა არ იყიდოს. თუ იყიდის, სად წაიღებს ის უცხოელი ამ მიწას?

იხ. მე-4 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 169, პარასკევი, 23 ივლისი, 2004 წელი.

25 ივლისი – სტატისტიკის დღე

სახელმწიფო სტატისტიკა საქართველოში: წარსული, აწმყო, მომავალი

თანამედროვე საზოგადოება ფართოდ იყენებს სტატისტიკურ ინფორმაციას თავის ყოველდღიურ საქმიანობაში და არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ის საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ობიექტური აღქმისა და დახასიათების ფრიად მგრძნობიარე ინსტრუმენტს წარმოადგენს. უფრო მეტიც, საზოგადოებრივი პროგრესი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენების ხარისხსა და ინტენსიურობაზე.

საისტორიო წყაროების მიხედვით, სტატისტიკური ცნობების მოპოვება საქართველოში თითქმის ათას ხუთასი წლის წინათ დაიწყო – ცნობილია VII საუკუნის პირველ ნახევარში მეფე სტეფანოზის დროს ჩატარებული მოსახლეობის აღწერა. მონღოლთა ბატონობის დროს 1254-1258 წლებში ბათო ყაენის ბრძანებით აღიწერა საქართველოს მოსახლეობა და მისი ქონება. 1689 წლიდან, ერეკლე პირველის მეფობის ხანაში, საქართველოს სადროშოების სარდლები შვიდ წელიწადში ერთხელ ატარებდნენ თავიანთ სადროშოებში ხალხის აღწერას. ჩვენს დრომდე მოაღწია XVII-XVIII საუკუნეების დავთრებმა, რომლებშიც ინახება აღწერის შედეგად მოპოვებული ცნობები.

თანამედროვე საქართველოში სახელმწიფო სტატისტიკის ისტორია პირველი ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირდება. 1919 წლის 25 ივლისს მიღებული იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს მთავრობის კანონი „ცენტრალური სასტატისტიკო კომიტეტის დაარსების შესახებ“. სწორედ ამ თარიღთან არის დაკავშირებული ახლანდელი სტატისტიკის დღის დაწესებაც. სამწუხაროდ, იმდროინდელ საქართველოში არსებულმა საშინაო და საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ შეაფერხა ოფიციალური სტატისტიკის განვითარება და ჩვენ შედარებით მცირე ინფორმაცია მოგვეპოვება სასტატისტიკო კომიტეტის საქმიანობის შესახებ. 1921 წლის აპრილში დაარსდა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, ხოლო იმავე წლის ივლისში გამოქვეყნდა სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების პირველი დებულება. იმ პერიოდიდანვე სტატისტიკოსთა კადრების მოსამზადებლად ეწყობა მოკლევადიანი სტატისტიკური კურსები, გამოიცა პოპულარული სტატისტიკური კრებულები, წიგნები, იმავე წლის სექტემბერში კი გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს სტატისტიკური მოამბის“ პირველი ნომერი.

საქართველოს სტატისტიკური ორგანო თანდათანობით, ორგანიზაციულად და თეორიულად მასშტაბურად იზრდებოდა და ძლიერდებოდა. სტატისტიკური სამსახურის ისტორია ჩვენი ქვეყნის ისტორიაცაა.

ქვეყნის სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები 1990-იანი წლების დასაწყისიდან – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე დღეებიდანვე, მიზანმიმართულ საქმიანობას ეწეოდნენ ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების ადეკვატური სტატისტიკური სისტემის შესაქმნელად. სახელმწიფო სტატისტიკის რეფორმირების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა საკანონმდებლო ბაზის შექმნა იყო. ამ თვალსაზრისით უდავოდ დადებითი როლი შეასრულა „სტატისტიკის შესახებ“ და „მეწარმეთა შესახებ“ კანონების მიღებამ, რომლებშიც განმარტებულია როგორც სტატისტიკური ორგანოების, ისე პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის მომწოდებელთა უფლება-მოვალეობები. სტატისტიკური საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის განმტკიცების პროცესი, ფაქტობრივად, უწყვეტად მიმდინარეობს – ბოლო წლებში მიიღეს კანონი „მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ“, ცვლილებები და დამატებები შეიტანეს მანამდე მოქმედ კანონებში, მომზადდა და ქვეყნის პარლამენტს განსახილველად გადაეცა კანონი „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერის შესახებ“, რომელიც საფუძვლად დაედება 2004 წლის ნოემბრისთვის დაგეგმილ სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარებას.

ბოლო 10 წელიწადში სტატისტიკის დეპარტამენტმა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით შეძლო თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების სტატისტიკური დახასიათებისთვის აუცილებელი მეთოდოლოგიის დანერგვა. ამ მხრივ აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ სტატისტიკური კვლევების ისეთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებები, როგორებიცაა ეროვნული ანგარიშების სისტემა, რომელიც გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 1993 წლის ვერსიაზეა დაფუძნებული, საგადასახდელო ბალანსის შედგენა, სამეწარმეო საქმიანობის სტატისტიკა, სამომხმარებლო ფასებზე დაკვირვება და სხვ. აღსანიშნავია, აგრეთვე, ის სამუშაოები, რომელთა მიზანს სოციალური სტატისტიკის გაუმჯობესება წარმოადგენს. ბოლო დროს ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოსახლეობის სიღარიბის მონიტორინგი, რომელსაც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი უკვე მესამე წელია ახორციელებს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მონაწილეობით, ჩვენი ქვეყნისათვის შემუშავებული სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის ფარგლებში.

დეპარტამენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესებას. შემუშავებულია მაჩვენებლებისა და არაპირდაპირი შეფასებების ხერხების საკმაოდ მწყობრი სისტემა, რომელთა მიხედვითაც ხერხდება ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების რეალური სურათის წარმოჩენა.

უკანასკნელ წლებში სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გაწეულ საქმიანობაში თავისი მნიშვნელობით გამოირჩეოდა საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელიც 2002 წლის იანვარში ჩატარდა. ეს იყო პირველი აღწერა, რომელიც საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, ჩაატარა. აღწერის ჩასატარებლად მზადებისას გადაილახა არსებითი მეთოდოლოგიურ-პროგრამული ხასიათის სიძნელეები.

2003 წლის გაზაფხულიდან დაიწყო აღწერის საბოლოო მონაცემების გამოქვეყნება. ამჟამად აღწერის შედეგები გამოცემულია ერთი კრებსითი პუბლიკაციისა და სამი სპეციალური ტომის სახით. უახლოეს დროში გამოვა კიდევ ერთი – დასკვნითი ტომი. აღწერის მონაცემები განთავსებულია სტატისტიკის დეპარტამენტის ინტერნეტ-გვერდზეც.

ქვეყანაში ეკონომიკური სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის ასევე მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის აღწერებს შორის პერიოდში საიმედო დემოგრაფიული აღრიცხვის უზრუნველყოფა. ამ მხრივ აღსანიშნავია მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის აღრიცხვის ახალ სისტემაზე გადასვლა, რასაც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი იუსტიციის სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს.

იმ სირთულეებს შორის, რომლებიც უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში აფერხებდა ოფიციალური სტატისტიკის განვითარებას, ალბათ, პირველ რიგში რესურსებით არასაკმარისი უზრუნველყოფა იყო – 2001-2003 წლებში სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამის შესასრულებლად მთლიანობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებული თანხის სამ მეოთხედზე ნაკლები (71 პროცენტი) გამოიყო. განსაკუთრებით რთული მდგომარეობა შეიქმნა 2003 წელს, როდესაც სტატისტიკის დეპარტამენტმა სტატსამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხის მხოლოდ 41 პროცენტი მიიღო. უნდა შევნიშნოთ, რომ თავის დროზე სწორედ არასაკმარისი დაფინანსების გამო სამი წლით გადაიდო მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარება. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას სტატისტიკის მოთხოვნილებები შეძლებისდაგვარად სრულად გათვალისწინდა და სტატსამუშაოთა პროგრამა ჯერჯერობით შეუფერხებლად ფინანსდება.

საქართველოში ბოლო პერიოდში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებების შუქზე სტატისტიკური საქმიანობის გარდაქმნას საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ დეკლარირებული ეროვნული გადარჩენის პროგრამა, რომელიც 2004-2009 წლებში ეკონომიკურ ზრდას, გრძელვადიან სტაბილურობასა და ევროკავშირში ინტეგრირებას ითვალისწინებს. გასატარებელი რეფორმების ძირითადი მიმართულებები სტატისტიკის დეპარტამენტის დამოუკიდებელი და ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფასაც ითვალისწინებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ დებულებების ჯეროვან რეალიზებას – მისი ერთ-ერთი მუხლი სწორედ სტატისტიკის სფეროში მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს, რაც მიზნად ისახავს საქართველოში ეფექტიანი სტატისტიკური სისტემის განვითარებას, მის ადაპტირებას საერთაშორისო სისტემებთან, მეთოდებსა და კლასიფიკაციებთან, სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლას და სხვ.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ქვეყნის ხელისუფლების მხარდაჭერით საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკა და მისი წარმმართველი ორგანო – სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი შეძლებს მის წინაშე მდგარი სირთულეების დაძლევას და ქვეყანაში რეფორმების განხორციელებაში სათანადო წვლილის შეტანას.

თეიმურაზ ბერიძე,
სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

წუთისოფელი

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

ჩანაწერილი ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს

მე და კოლია წულუკიძეს, როგორც უკვე აღვნიშნე, რაზმისთვის ცხენების შეძენა დაგვევალა. ჩვენ შევარჩიეთ თორმეტი კარგი ვაჟკაცი, ერთიც თარჯიმანი ავიყვანეთ, ჩინელი და საუკეთესო ცხენებით მონგოლეთისკენ გავუდექით გზას. თვრამეტ-ცხრამეტი დღე ვიარეთ უდაბურ ადგილებში. საკვები წაღებული გვქონდა, მაგრამ ნაწილს გზადაგზაც ვიძენდით. გავიარეთ შვიდასი თუ რვაასი კილომეტრი და, როგორც იქნა, შევედით მონგოლეთის ტერიტორიაზე. ერთ მალლობთან შევისვენეთ. მივიხედე მარჯვნივ და გორაკის ძირას თვალი მოვკარი ხის გრძელ ღარს, რომლითაც წმინდა წყალი მოჩუხჩუხებდა. მინდოდა, გამეგო, საიდან მოდიოდა ეს წყალი და დავინახე ჭაობი. იქვე ტლაპოში იწვა და უდარდელად იცოხნებოდა მონგოლური ურქო კამეჩების ვეება ჯოგი. ჩვენ გადმოვედით ცხენებიდან, მივედით წყაროსთან და ამ დროს, თითქოს სიზმარში აღმოვჩნდი, მომესმა ძველებური ტკბილი მეგრული სიმღერა „ჰოუ ნანა“.

ვიფიქრე, სმენა ხომ არ მატყუებს-მეთქი და იქეთ გავიხედე, საიდანაც სიმღერა მესმოდა. ვხედავ, ნიგვზის ხის ძირში ზის მშვენიერი მოხუცი კაცი, თოვლივით თეთრი წვერი მკერდზე დაფენია, კომბალი ჩაუბღუჯავს და ღიღინებს. მონგოლური ტანისამოსი აცვია. მისკენ გავემართე და მივესალმე. მოხუცმა ხელი აღმართა, სიხარულისგან ცრემლები გადმოსცვივდა და მომეხვია. იგი წმინდა მეგრულით ლაპარაკობდა. ვინაობა გამოვკითხე და სამეგრელოდან აღმოჩნდა, გვარად ქვანია. 1894 წელს ბათუმში კაცი შემოკვდომოდა. სახალინზე გაეგზავნათ კატორღაში. 1899 წელს ჩინეთის აჯანყებაში მიეღო მონაწილეობა. იქიდან მონგოლეთში გამოქცეულიყო და თავად განთიმიროვთან შეეფარებინა თავი. დიდად გაგვახარა ამ კაცის გაცნობამ. გასაუბრების შემდეგ შემოგვთავაზა, წავალ ბატონთან და ვთხოვ, რომ მიგიღოთ, როგორც ჩემი თანამემამულეები და ძმები, მინდა, თავისი თვალით ნახოს, თუ რა ხალხის შთამომავალი ვარო. ამაზე უარს ნუ მეტყვითო, გვეხვეწებოდა. ჩვენ დავეთანხმეთ; იგი სწრაფად წავიდა და რამდენიმე საათში გახარებული დაბრუნდა. ყველანი წაგვიყვანა. ისევ რამდენიმე საათი და ჩვენ უკვე მონგოლი თავადის სტუმრები ვიყავით. იგი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა, შავი წვერი და ტიპური მონგოლური სახე და თვალები ჰქონდა. აღმოსავლური თავაზიანობით მოგვეგება. იქვე ჰყავდა რუსული ენის მცოდნე თარჯიმანი. მათი ადათის მიხედვით, საპატიო სტუმრებს კვიცს უკლავენ, მაგრამ ჩვენი წეს-ჩვეულებების მცოდნე ყოფილიყო და ბრძანება გასცა, ცხვრები დაეკლათ. გააწყვეს გრძელი მაგიდა. სარდაფიდან ამოატანინა შამპანური ღვინოები და გაიმართა სანაქებო ქეიფი.

ცნობილია, რომ მონგოლები ქოსები, ე. ი. უწვერულვაშონი არიან. თვით განთიმიროვს და იქ მყოფთაგან კიდევ ხუთ კაცს ნამდვილი კავკასიური შავი წვერ-ულვაში ჰქონდათ. მე თარჯიმნის პირით შევეკითხე მასპინძელს, რითი აიხსნებოდა ის გარემოება, რომ მასა და იმ ხუთ კაცს, სხვებისგან განსხვავებით, ლამაზი წვერ-ულვაში ამშვენებდათ. განთიმიროვს გაეცინა და მითხრა – თქვენ ალბათ გაგონილი გექნებათ, რომ მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში ჩვენი იმპერია შიშის ზარს სცემდა მთელ მსოფლიოს და კავკასიაც ჩვენს ხელში იყოო. მაშინ ჩვენს სახელოვან სარდლებს, ჩინგიზ ხანსა და სხვებს იქიდან ტყვედ მოჰყავდათ ლამაზი ქართველი მამაკაცები და ჩვენ მათი შთამომავლობისა ვართო. ცხადია, ამ ნათქვამმა დიდად განგვაცვიფრა. მერე მან შეაქო მწყემსად მომსახურე ქვანია და თქვა – ეს კაცი ჩემთან არის და იქნება, როცა მოკვდება, ჩვენი ადათის მიხედვით დავასაფლავებო.

ლევან (ხონხო) დადიანი, მაიამი-ბიჩი (ფლორიდის შტატი). 1962 წ.

დილით ადგა თავადი განთიმიროვი, გამოაყვანინა მეჯინიბეს სამი საუკეთესო ცხენი და საჩუქრად გადმოგვცა. დიდი მადლობა გადავუხადეთ, დავემშვიდობეთ. ქვანიამ ხუთი-ექვსი საათის სავალზე გამოგვაცილა და გვირჩია, აქ რომ ცხენებში ფული გადაიხადოთ, ეს არავითარი გონიერება არ იქნებაო. აქ მინდორშია გაშვებული ასეულობით ცხენი და ამისთანა ვაჟკაცებს შეგიძლიათ, რამდენიც გნებავთ, გაირეკოთო. ესა თქვა და მიგვითითა ადგილებზე, საიდანაც შეგვეძლო ცხენების გამორეკვა. ჩვენ სიყვარულითა და მადლიერებით გამოვემშვიდობეთ ქვანიას. მან ცხარე ცრემლები ღვარა და გვითხრა – მე არ მეღირსება ჩემი სამშობლოს მიწაში დამარხვა, თქვენ კი გისურვებთ შინ მშვიდობით დაბრუნებასო. ჩვენ ასოცამდე კარგი ცხენი შევაგროვეთ, მაგრამ ხარბინამდე ჩამოვიყვანეთ ოთხმოცი ცხენი; ზოგი გზაში გაგვექცა, ზოგიც ავად გახდა და დავტოვეთ. ვიტგენშტეინს ძალიან გაუხარდა ჩვენი ასეთი სახელოვნად დაბრუნება. როდესაც ყველაფერი მოწესრიგდა და მომზადდა, ვიტგენშტეინმა გასცა ბრძანება და მისი სარდლობით ეს სამასოცკაციანი კავკასიური ცხენოსანთა რაზმი ჩინეთისკენ გავემგზავრეთ. მივედით უკანასკნელ სადგურ გუნჯულნამდე. იქ ერთ კვირამდე შევჩერდით. ვიტგენშტეინმა რაზმის წევრთა წვრთნა გამოჩენილ კავალერისტს, ოფიცერ ზალევსკის მიანდო. იგი მართლაც საუცხოოდ წვრთნიდა რაზმელებს და ყველა კარგად დაეუფლა ცხენზე ჯდომას, ხმალ-ხანჯლისა და იარაღის ხმარებას. ჩემი ოსტატობით მეტად კმაყოფილი იყო ვიტგენშტეინი. მას პირად დაცვაში ჰყავდა ოცდაოთხი კაცისგან შემდგარი ოცეული და მეც რაზმში ვირიცხებოდი.

ერთ დღეს ამხანაგებში ვდგავარ და ვსაუბრობთ. უცებ ვხედავ, ლამაზ ყაბარდოულ ცხენზე შემჯდარი ახოვანი ვაჟკაცი მიახლოვდება, თან ოთხი ჩინელი ჯარისკაცი მოჰყვება. გამისწორდა და გვარი მკითხა. ვუთხარი, ვინც ვიყავი. იგი ცხენიდან გადმოხტა და გადამეხვია. მითხრა, მე ბიდა სექანია ვარო. მეც და თითქმის ყველა ქართველს გაგონილი გვქონდა ბიდა სექანიას ამბავი. დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, მასზე ხალხური ლექსიც იყო გამოთქმული. იგი ჯერ კიდევ ჩემს დაპატიმრებამდე გადაასახლა მეფის მთავრობამ. მითხრა, რომ ყველაფერი ჰქონდა გაგებული ჩემს შესახებ, ამჟამად იმ რაიონში ცხოვრობს და გადაწყვეტილი აქვს დაპატიჟოს თავადი ვიტგენშტეინი თავის შტაბთან და პარტიზანულ რაზმთან ერთად. მთხოვა, გავყოლოდი ვიტგენშტეინთან. გაბედულად სთხოვა თავადს, რომ პატივი ეცათ მისთვის და სწვეოდნენ. ვიტგენშტეინმა თავაზიანი მადლობა მოახსენა მოპატიჟეს და შეპირდა დანიშნულ დროზე გამოცხადებას. ბიდა სექანიამ მე წინასწარ გამიყოლია. ერთ ჩინურ სახლში მას ორი ოთახი ეკავა. ამ სახლის გვერდით მოეწყო უზარმაზარი ფარდული. რამდენიმე საათი დასჭირდა ამ ვეება სეფაში ჩვენებური საუკეთესო სუფრის გაშლას. უხვად იყო კახური და შამპანური ღვინოები, უამრავი ხორაგი – შემწვარ-მოხრაკული თუ მოხარშული ცხვარი, ბატკანი, საქონლის ხორცი და მრავალი სხვა. მთელი ღამე დიდებულ ქეიფში გავატარეთ. თამადა იყო ყოფილი ოფიცერი ბებურ ბებურიშვილი. სუფრას სამასამდე კაცი უსხდა. შეისვა მრავალი საუკეთესო სადღეგრძელო. ყველანი დიდად კმაყოფილნი დავრჩით. ბიდა სექანიამ იშვიათი პატივი გვცა.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 147-151, 153-166, 168.

სელექცია

ახალი ჯიშები ქვეყნის სიუხვის წყაროა

უცხოელთა დახმარებით და მათთან თანამშრომლობით მცხეთის სასელექციო სადგური მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს

(მესამე გვერდიდან)

ასევე დიდი დახმარება გაგვიწიეს სოფლის მეურნეობის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციებმა „იკარდამ“ და „სიმიტმა“. მაშინ, როცა წლების განმავლობაში ბიუჯეტიდან სამეცნიერო პერსონალისთვის მიზერულ ხელფასებსაც ვერ ვიღებდით და ექსპერიმენტებიც ვერ ფინანსდებოდა, ჩვენს ნაკვეთებზე კვლევითი მუშაობა ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. მათ შემოიტანეს ჩვენთან საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლის, ქერის, პარკოსანი და საკვები კულტურების მსოფლიოში ყველაზე საინტერესო ჯიშები და გენეტიკური ნიმუშები. ამ ბოლო მძიმე წლებში გამოყვანილი და დარაიონებულია 10 ახალი ჯიში და ჰიბრიდი, ამიტომ კვლევითი მუშაობის მასშ- [illegible]

სულ 1995 წლიდან დღემდე გამოიცადა 16725 ნომერი და გამოირჩა 3581. უკეთესი გენეტიკური ფორმების ბაზაზე გამოყვანილი და დარაიონებულია ხორბლის 1, ქერის სამი, მუხუდოს და ოსპის თითო ჯიში. მომზადებულია სახელმწიფო ჯიშთა დაცვისა და გამოცდის კომისაზე გადასაცემად ხუთი ახალი ჯიში.

– დარაიონებული ჯიშები სხვებისგან რით გამოირჩევა?

– რა თქმა უნდა, მაღალი მოსავლიანობით, მარცვლის კარგი ხარისხით, ჩაწოლის, დაავადებებისა და მავნებლებისადმი გამძლეობით.

– ბატონო ოთარ, თქვენ საუბარში ხშირად ახსენებთ პარკოსან კულტურებს – მუხუდოსა და ოსპს, მე პირადად ნაკლებად ვიცნობ მათ, ნათესებიც ვნახე, თქვენს ცდებში სხვადასხვა ჯიშებიც დავათვალიე- [illegible]

საინტერესოა ჩვენი ქვეყნის ურწყავი და შემაღლებული ზონებისთვის, ხასიათდებიან ყინვისა და გვალვის მიმართ გამძლეობით, უფრო ყუათიანია, ვიდრე ლობიო, ითესება როგორც გაზაფხულზე, ასევე შემოდგომით, რაც მთავარია, საუკეთესო წინამორბედებია თავთავიანებისა და სხვა კულტურებისთვის, რადგან მათ ფესვებზე ვითარდება ბაქტერიები, რომლებიც ნიადაგს ამდიდრებენ აზოტით. ჩვენს სადგურში 5 ჰექტარზე, ხოლო ოთხ ფერმერთან 6 ჰექტარზე დაითესა, თესლის ღირებულებაც „იკარდამ“ გადაიხადა და ფერმერებს უფასოდ მისცა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი თესლს დაუბრუნებდნენ მცხეთის სასელექციო სადგურს. ეს გახლავთ ერთგვარი პირობა იმისა, რომ ხელი შევუწყოთ ახალი ჯიშების დანერ- [illegible]

შედეგების მისაღწევად თქვენი კოლექტივის მიერ გაწეული შრომა გახდა საფუძველი იმისა, რომ მცხეთის სასელექციო სადგურის სადემონსტრაციო ცდების ბაზაზე დაყრდნობით საერთაშორისო კონფერენცია ჩატარებულიყო. როგორც ჩანს, მარცვლეულის მოსავლიანობის გაზრდის საკითხი მარტო ჩვენ არ გვაწუხებს.

– რა თქმა უნდა, ქებაში ნუ ჩამითვლით, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა. ამერიკელი მეცნიერები რომ ჩამოვიდნენ და თავიანთი თვალით ნახეს ჩვენს სადემონსტრაციო ნაკვეთებზე თავიანთი ჯიშები, გაეცნენ ჩვენი მეცნიერების შრომის შედეგებს, ამის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ სწორედ საქართველოა ის ქვეყანა და მცხეთის სასელექციო სადგური ისეთი დაწესებულება, სადაც შეიძლება ასეთი დიდი ღონისძიების ჩატარება. ხუმრობა ხომ არ არის, მსოფლიოს 23 ქვეყნის 152 წარმომადგენელმა მოიყარა თავი სასელექციო სადგურსა და ტაბახმელაში.

კონფერენციის მონაწილენი იყვნენ მცხეთის სასელექციო სადგურში, დიდი ინტერესით დაათვალიერეს მარცვლეული და სამარცვლე-პარკოსანი კულტურების საგანგებოდ მოწყობილი სადემონსტრაციო ცდები და ნათესები. აქ თავმოყრილი იყო ყველა ის მასალა, რაც მსოფლიოში გენეტიკოსებსა და სელექციონერებს [illegible]

ნაზი იმნაიშვილი.
„სრ“ სპეც. კორ.

საზღვაო კარიბჭე

აკი სინდისი არ გაიყიდებაო?

პატარა ქალაქის დიდი პარამეტრები

(მესამე გვერდიდან)

– რა სიახლეებია ქალაქის სტრატეგიული ფუნქციის გაზრდასთან დაკავშირებით?

– ევრაზიის დერეფნის ფორმირების პროცესებმა, ნავსადგურის ტვირთბრუნვაში სტრუქტურულმა ცვლილებებმა ახალი რეალიების წინაშე დაგვაყენა, რამაც მოითხოვა სამრეწველო წარმოების სფეროების გარდაქმნა და მომსახურების თვისობრივად ახალი დარგის შექმნა და განვითარება. საკონტეინერო გადაზიდვებმა ბიძგი მისცა სრულიად ახალი ტიპის სამეურნეო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ტვირთმფლობელთა მომსახურების მიზნით 47 სააგენტო და საექსპედიტორო ორგანიზაცია შეიქმნა, რომლებშიც 450-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

ფოთის ნავსადგური ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითადი შემავსებელია და იგი ასრულებს თავის ვალდებულებებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხები ქალაქის საჭიროებისთვის საკმარისი არ არის.

მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ 1993-1995 წლებში „ტრასეკას“ პროექტის ფორმირების საწყის ეტაპზე შემუშავდა ყოველ ტონა გადამუშავებულ ტვირთზე მოსაკრებლის შემოღების წესი. სამწუხაროდ, ეს მოსაკრებელი ვერ ამოქმედდა ნავსადგურის იმდროინდელი ხელმძღვანელობის წინააღმდეგობის, ხოლო მოგვიანებით, საკანონმდებლო ბაზის უქონლობის გამო. ქალაქში მოძალებული პრობლემები ადგილობრივ ბიუჯეტთან ნავსადგურის ვალდებულების პარამეტრების გადასინჯვას მოითხოვს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ნავსადგურის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა უნდა მიესადაგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვნად გვესახება, უნდა გადაწყდეს ნავსადგურის მენეჯმენტის საკითხი იმგვარად, რომ საკუთრივ ქალაქ ფოთისა და ნავსადგურის ინტერესები ჰარმონიულად იყოს შეთავსებული.

– ბატონო ვახტანგ, ფოთი, როგორც სანავსადგურო ქალაქი, გეგმაზომიერად არ ვითარდება. გამოსავალს რაში ხედავთ?

– სამწუხაროდ, ფოთმა ვერ შეიძინა ტიპური ქალაქის იერსახე, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურისა და ადგილმდებარეობის გამო ქალაქი ზღვას ზურგით მოექცა, რაც საპორტო ქალაქისთვის არაადეკვატურია. ფაქტია ისიც, რომ უკანასკნელ ათწლეულში ქალაქის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო ფოთის განვითარების პრიორიტეტების გამოყოფა და პრობლემების დაძლევის პერსპექტიული პროგრამების შემუშავება, რის გამოც ამ პრობლემის გადაწყვეტა სხვადასხვა დონისა და რანგის ჩინოსანთა პიროვნული, ჯგუფური ან კლანური შეხედულებებისა და ნება-სურვილის დონეზე დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი შესაძლებლობაა ხელიდან გაშვებული, მდგომარეობა გამოუვალი არ არის. გამოსავალი, როგორც ვთქვი, ნავსადგურისა და ქალაქის ინტეგრირებაში უნდა ვეძიოთ. დღეს მთავარი მხოლოდ ფოთის პრობლემების გადაწყვეტის მრავალწლიანი პროგრამის შედგენა კი არა, მისი რეალიზაციის ისეთი მექანიზმის შემუშავებაა, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროგრამის უცილობელ განხორციელებას. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გვჭირდება კანონი ფოთის შესახებ. დღეს ამის რეალური შანსი გვეძლევა. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია.

ზურაბ აბრალავა,
„სრ“ საკ. კორ.

რა ღირს ჩვენი ცხოვრება?

[illegible]

რეალობა

ფასები იზრდება, შემოსავლები – არა

წამდაუწუმ, თვალსა და ხელს შუა, იზრდება ფასები სამომხმარებლო ბაზარზე. გაძვირდა ბენზინი, რამაც თავისი უარყოფითი გავლენა იქონია თითქმის ყველა სახეობის პროდუქციაზე. ჩვენი მოქალაქეები მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდნენ, წარმოუდგენლად ძნელია მიხედო საკუთარ ჯანმრთელობას, როდესაც სისხლის ლაბორატორიული გამოკვლევა 20 ლარს აღემატება, ხოლო პენსია ქვეყანაში 21 ლარია.

გაუჭირდათ თამბაქოს მწეველებსაც. მათ, ვინც „კენტს“ და „MM“-ს ყიდულობდა, ახლა უფილტრო სიგარეტზე გადასვლა მოუწევთ. ყველაზე მეტად ფასების მატება მაინც სურსათს დაეტყო, შუა ზაფხულში ბაზარში ხილს ვერ გაეკარები, ძნელი სათქმელია, რა გველოდება ზამთარში!

დღეს, როდესაც სოციალური სტრატიფიკაციის მიხედვით, ქვეყანაში მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტია უმდიდრესი, მდიდარია თითქმის 10 პროცენტი, სიღარიბის ზღვარზეა 55 პროცენტი, სიღარიბის ზღვარს მიღმა 20 პროცენტი, ხოლო დანარჩენი 10 პროცენტი თანდათან უახლოვდება სიღარიბის ზღვარს, ადვილი წარმოსადგენია, რა სუსტი მსყიდველობითი უნარი აქვს თითოეულ მოქალაქეს. ასეთ პირობებში შეუძლებელია ვიფიქროთ საშუალო ფენის ჩამოყალიბებაზე, არადა, ქვეყნის ხერხემალი სწორედ საშუალო ფენა გახლავთ.

საქმეს ისიც ართულებს, რომ სამომხმარებლო კალათაში წონადი ადგილი ბენზინს უჭირავს, რომლის ფასი, როგორც ვთქვით, სულ უფრო და უფრო იზრდება. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს ძირითადად განპირობებულია მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების ზრდით და კონტრაბანდის შემცირებით, მაგრამ ეს რა შეღავათს აძლევს მოსახლეობას?

განვითარებულ ქვეყნებს ძნელია ფეხი აუწყოს საქართველომ, რომელიც მოქცეულია საშუალო განვითარების მქონე ქვეყნების ჯგუფში. ცნობილია, რომ მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) შემოსავლების განაწილებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის მიხედვით, საქართველოში საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაა, იგი სუსტად განვითარებულ, ჩამორჩენილ ქვეყნებს უტოლდება.

ამჟამად საქართველოში, წელიწადში ერთ სულზე მშპ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით 2500 ამერიკულ დოლარს შეადგენს, ხოლო თვით ამერიკაში – 27590 დოლარს. აშშ-ს როგორ შევედრებით, მაგრამ იქნებ ის უმარტივესი ეკონომიკური მოთხოვნა მაინც დავაკმაყოფილოთ, თითოეულმა დღეში ორი ამერიკული დოლარის ტოლფასი ლარი გავხარჯოთ (ვინც ამაზე ნაკლებს მოიხმარს, ღატაკად ითვლება). სამწუხაროდ, ჩვენში უმეტესობას ამის რეალური საშუალება არა აქვს.

ბოლო ხანს დოლართან მიმართებაში ლარი თითქოს საგრძნობლად გამყარდა, მაგრამ ჩვენს ყოფასთან შეფარდებით, კერძოდ, სამომხმარებლო ბაზართან, სურსათთან, პირველადი მოხმარების საგნებთან მიმართებაში გაუფასურდა. ეს მეტად დამაფიქრებელია.

ბაზარი

ყველაფერი ძვირია, რა იქნება ხვალ?

ზაფხული ძალაშია. ამინდის ჭირვეულობამ მოსავლის აღებას, მართალია, ხელი შეუშალა, მაგრამ აგრარული ბაზრები მაინც გაივსო ნაირნაირი ბოსტნეულითა და ხილით. საამურად აფერადებულა ირგვლივ დახლები, მაგრამ, სამწუხაროდ, მყიდველი ადვილად ვერ გაიკრავს ხელს ჯიბეზე, რადგან ფასები ძალიან მაღალია. თანაც, თითქმის ყველა პროდუქტზე ფასების ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა. ასეა დღეს, მაგრამ რა იქნება ხვალ, არავინ იცის. როგორც კი ერგნეთის ბაზარი აღიგავა პირისაგან მიწისა და ჩაიკეტა გზები, საიდანაც უკონტროლოდ შემოდიოდა აღურიცხავი საქონელი, ფასები მაშინვე გაიზარდა. უნდა ითქვას, რომ ხალხი ამას ელოდა, მაგრამ მაინც მოუმზადებელი შეხვდა. ან კი როგორი თადარიგი უნდა დაეჭირა 21-ლარიან პენსიონერს?

ეკონომიკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კვების პროდუქტებზე ფასების ზრდა არც ხელისუფლებისთვის გახლდათ მოულოდნელობა, ამიტომ მის შესაჩერებლად აუცილებელი იყო ეკონომიკის ლიბერალიზაციის დაჩქარება, სათანადო ცვლილებების შეტანა საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობაში. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ამიტომ ბაზრიდან სასურველ ფონს არც აწი უნდა ველოდოთ. ეს კი უპირველესად, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მრავალრიცხოვან ფენას დააწვება ტვირთად.

საბურთალოს აგრარულ ბაზარში ხალვათობაა, იქ ქუჩებში მოვაჭრე ხალხი შეიყვანეს, მაგრამ საქმეს ამან ვერ უშველა, დახლები კვლავ ცარიელია. მიუხედავად უკეთესი პირობებისა, მყიდველიც ცოტაა და გამყიდველიც.

ცენტრალურ სუპერმარკეტში კი, „დეზერტირების ბაზარს“ რომ ეძახიან, შესვლაც ჭირს და იქიდან გამოსვლაც, თითქოს მთელი მილეთის ხალხს აქ მოუყრია თავი.

კიტრისა და ლობიოს გამყიდველ ახალგაზრდა ქალს გამოველაპარაკე. ოზურგეთელი ლალი შუბითიძე აღმოჩნდა.

– გარევაჭრობას ვეწეოდი, – თქვა მან, – როცა ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ვაჭრობა აიკრძალა, აქ შეგვიყვანეს. რა თქმა უნდა, აქ უკეთესი პირობებია, არ მაწვიმს და მზე არ მწვავს, მაგრამ იქ უფრო კარგად ვვაჭრობდი. პრეზიდენტის ბრძანებით გადასახადებისგან გაგვათავისუფლეს. ოზურგეთში 3 შვილი და მეუღლე მყავს. აქ ქირით ვარ, უთენია ვდგები და ვყიდულობ სხვადასხვა პროდუქტს, დღეში ხან 10 ლარი მრჩება, ხან – 12, იშვიათად – 15. აბა, რა ვქნა, შვილებს ჭამა ხომ უნდა? მეუღლეც არ მუშაობს. იმედი რომ არ მქონდეს, ამდენს ნამდვილად ვერ გავუძლებდი, ვიცი, 2-3 თვეში ყველა პრობლემა არ მოგვარდება. ჩვენც ვითმენთ, მაგრამ მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი? რაიონში რომ სამუშაო იყოს, აქ ნამდვილად არ ჩამოვიდოდი.

– მე სამ დღეში ერთხელ დავდივარ თიანეთში, – მითხრა დალი წერეთელმა, – იქიდან ჩამომაქვს პროდუქტი და აქ ვყიდი. მეც გარევაჭრობიდან შემომიყვანეს, მაგრამ ლაბორატორიისა და ნაგვის გატანის ფულს მაინც ვიხდით. დღეში 2-3 ლარი მრჩება, პურის ფულს ვშოულობ, აბა რა ვქნა. პედაგოგი ქალი ვარ, სკოლაში შემამცირეს, არც მეუღლე მუშაობს. ვიცით, ქალაქელებსაც რომ გიჭირთ, მაგრამ ჩვენც რა ვქნათ?

მოკლედ შენი პრობლემებით დღეს ვერავის გააკვირვებ, ყველას თავისებურად უჭირს და ულხინს.

ბაზრის გენერალურ დირექტორთან **თემურ პაპუაშვილთანაც** შევიარე.

– ბაზარში პრობლემებს რა გამოლევს, – თქვა მან, – არც შემოწმება გვაკლია. გული დაგწყდება ადამიანს, უმიზეზოდ რომ გაგლანძღავენ. ამას წინათ გაზეთში დაუწერიათ, დილის 8 საათზე 40 პროცენტი ლაბორატორიულად შეუმოწმებელი ხორცი იყიდებოდაო. 40 პროცენტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ თითოოროლა კი იქნებოდა, რადგან ბაზარი დილის 6 საათზე იღება, ვეტექიმები კი გვიან მოდიან. ბაზრის ვეტლაბორატორია ბაზრის ადმინისტრაციას არ ექვემდებარება, ამიტომაც ჭირს პროდუქციის დროულად შემოწმება.

ახლა ამბობენ, რომ ბაზრის ლაბორატორიები ბაზარსვე დაექვემდებარება, ვნახოთ, მე მგონი, საქმისთვის ასე აჯობებს. რაც შეეხება სიახლეებს, გეტყვით: თევზეულის ყველა პავილიონში დაწყებული გვაქვს დახლ-მაცივრების დამონტაჟება, რომელიც მალე დამთავრდება.

ქათმის ხორცის პავილიონშიც დამონტაჟდა მაცივრები, მთლიანად მოასფალტდა ბაზრის პირველი სართული, სადაც ძირითადად მწვანილი და ბოსტნეული იყიდება. კვირაში ერთხელ სამუშაო უბნები მთლიანად ირეცხება გამდინარე წყლით. ყოველი თვის პირველი ორშაბათი კი სანიტარიული დღეა. ვმუშაობთ, მაგრამ ზოგჯერ საყვედურებსაც ვიღებთ. რას ვიზამთ, ვაჭრობა ადვილი საქმე არ არის, მით უმეტეს, დღეს, როცა ყველა ვაჭრობს, რითაც და როგორც შეუძლია...

ასე რომ, პრობლემებს ვებრძვით,. პრობლემები კი მაინც არ გვტოვებს... გთავაზობთ ცალკეული პროდუქტების ფასებს:

	2004 წლის ივლისი	2003 წლის ივლისი
ხორცი (საქონლის)	5.00-5.50	4.50-5.00
ხორცი (ღორის)	3.50-5.00	4.00-6.00
ყველი (იმერული)	3.50-4.00	2.80-3.00
ქათამი	10.00-14.00	7.00-8.00
კვერცხი	0.18-0.20	0.18-0.20
ფქვილი (სიმინდის)	0.75-0.80	0.65-0.70
მწვანე ლობიო	0.80-1.00	0.40-0.50
კარტოფილი	0.35-0.40	0.50-0.70
ჭარხალი	0.80-1.00	0.80-1.00
კომბოსტო	0.60-0.70	0.40-0.30
სტაფილო	0.80-1.00	1.00-1.50
ვაშლი	0.50-2.50	1.00-1.50
ბალი	3.00-4.00	1.00-2.00
ალუბალი	1.00-2.00	0.80-1.00
ქლიავი	1.50-2.00	0.30-0.40

სასწრაფო დახმარება

რაც ყველასთვის ხელმისაწვდომია



დღევანდელი ხელისუფლების მოსვლას ხალხი დიდი იმედებით შეხვდა, რადგან მისი მთავარი ლოზუნგები სოციალური პრობლემების გადაჭრას ეხებოდა. ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა ჯერ კიდევ საკრებულოში ყოფნის დროს ქალაქის სასწრაფო დახმარება – 03-ის მომსახურება ხელმისაწვდომი გახდა, ბევრისთვის კი უფასო.

ალბათ ამიტომაც ამ სამსახურს, სხვა სასწრაფო დახმარებებისგან განსხვავებით, ყველაზე მეტი მოქალაქე მიმართავს. უფრო კონკრეტულად ამაზე მთავარი დისპეტჩერი ნაირა გაბაზაშვილი გვესაუბრება.

– უფასო ბარათების შემოღებით, რა თქმა უნდა, მოქალაქეთა გამოძახებების რიცხვმა მოიმატა, იგი დღეღამეში 200-250-ს აღწევს, – ამბობს ქალბატონი ნაირა, – მოგეხსენებათ, ეს ბარათები პოლიკლინიკის დაწესებულებებში თბილისში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს ურიგდება, რისი საშუალებითაც მათ წელიწადში სამჯერ უფასოდ ვემსახურებით. მათგან განსხვავებით თექვსმეტ წლამდე ბავშვებისათვის და ოთხმოცდაათ წელს ზემოთ გადაცილებული მოხუცებისათვის, ნებისმიერი რაოდენობის გამოძახება უფასოა.

ასევე, უფასოა ქუჩის გამოძახებები, ტრავმის ან მძიმე დაავადების შემთხვევები, რომლებიც ჰოსპიტალიზაციას საჭიროებს.

ის დრო წარსულს ჩაბარდა, როცა ავადმყოფი, უფულობის გამო სასწრაფოში დახმარების გამოძახებას ვერ ახერხებდა.

– ამდენ გამოძახებებს, როგორ აუდიხართ?

– ზოგჯერ ისეთ რეჟიმში გვიწევს მუშაობა, რომ სატელეფონო ზარებზე პასუხსაც ვერ ვასწრებთ, თუმცა, მაქსიმალურად ვცდილობთ ჩვენი მოვალეობის შესრულებას.

ქალაქის თორმეტ რაიონში გვაქვს ფილიალები, სადაც ოცდაათი ბრიგადა მუშაობს და ყოველდღიურად, ამდენი გამოძახებების ფონზე წარმოიდგინეთ, რა რეჟიმში გვიწევს მუშაობა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სამსახური ხშირად შეუძლებელს აკეთებს.

ახლა ზაფხულის პერიოდში ქალაქიდან უამრავი ადამიანია გასული და ჩვენც „წყნარ“ რეჟიმში ვმუშაობთ.

ვფიქრობთ, ამდენი გაჭირვებული ხალხისთვის უფასო სამედიცინო დახმარება მართლაც, დიდი საჩუქარია და მიუხედავად ამისა, ღმერთმა ქნას, ჩვენს მოქალაქეებს ისეთი ჯანმრთელობა ჰქონოდეთ, რომ მსგავსი დაწესებულებებისთვის სულ „საზაფხულო“ სეზონი ყოფილიყოს.

პური

გვინდა, იაფად გავყიდოთ, მაგრამ...

დოლიძის ქუჩაზე არსებულ პურის საცხობში ვარ.

ანზორ ლობჟანიძეს 3 წელია ეს საცხობი დაუქირავებია. თბილისელი კაცია, ჭარმაგი. ზუგდიდელი ცოლ-ქმარი ჰყავს პურის მცხობლებად.

– დღეში რამდენ პურს აცხობთ?

– 150-200 ცალამდე.

– აქვე ჰყიდით?

– ძირითადად მაღაზიებს ვაბარებ, ნაწილს კი აქვე ვყიდით.

– ნახელავს გიქებენ თუ არა?

– ყოველ შემთხვევაში, პრეტენზია არავის გამოუთქვამს. ცომი 650 გრამია, მხოლოდ ე.წ. ბერძნულ პურს ვაცხობთ.

– ამბობენ, რაღაც მინერალებს ურევენ პურშიო, მართალია?

– ჩვენ არაფერს ვურევთ. შეგიძლიათ ლაბორატორიულადაც გასინჯოთ.

– ფქვილს სად ყიდულობთ?

– გამოფენის ტერიტორიის ქვემოთ, დიდუბეში საბითუმო ვაჭრობაა და იქ. ადრე 50-კილოგრამიანი ტომარა ფქვილი 35-36 ლარი ღირდა, ახლა – 42-43 ლარია.

– გადასახადებს იხდით?

– ფიქსირებულს კი, თვეში 50 ლარს, გარდა ამისა, გაზის, დენის გადასახადს.

– რაც გრჩებათ, გყოფნით?

– ყოფნაზე არ ვმუშაობთ, რაც გვაქვს, უნდა ვიმყოფინოთ. ამბობდნენ, მცირე ბიზნესს გადასახადებიდან გავათავისუფლებთო, ჯერჯერობით პირობა არ სრულდება. ფქვილი თუ გაძვირდება, იძულებული ვიქნებით, პურიც გავაძვიროთ. მთავრობამ იმდენი გააკეთოს, დაიცვას ბაზარი, რომ ფქვილი არ გაძვირდეს, ჩვენგან ხელის შეშლა კი ნამდვილად არ იქნება.

დარწმუნებული იყავით, ყველა მეწარმეს სურს, თავისი საქონელი იაფად გაყიდოს, რაც კლიენტებს მოგვიმრავლებს.

ამბობენ, წლეულს, ხორბლის ცუდი მოსავალი არ არისო, ვნახოთ, რა იქნება.



სულიერება

წიგნები არის, თან... არც არის

ხანშიშესულ, სიმპათიურ ქალბატონს ვაჩერებ, ნაღდად ბებია იქნება, ვფიქრობ ჩემთვის, ალბათ, სამსახურიდან მოიჩქარის.

ქეთევან მამფორია აღმოჩნდა, საბავშვო ბაღის აღმზრდელი, სამი შვილიშვილის ბებია.

– ქალბატონო ქეთევან, მაინტერესებს, შვილიშვილებისთვის წიგნებს ხშირად ყიდულობთ?

– წიგნების შეძენა ახალგაზრდობიდან ძალიან მიყვარდა. სახლში საკმაოდ კარგი ბიბლიოთეკა მაქვს. კიდევ კარგი, ჩემი შვილების (ოთხი შვილი ჰყოლია) ნახმარი წიგნები შემომრჩა, ერთ მკინძავს წავუღე სტამბაში, ნაცნობი იყო და იაფად გამილამაზა. იმათ ვაძლევ ხოლმე ჩემს შვილიშვილებს. ჩემს ახალგაზრდობაში, ქალბატონო, კარგი წიგნის გამოცემა მოვლენა იყო, დავეძებდით, ნაცნობებში ვკითხულობდით, სად შეიძლებოდა, გვეშოვნა ჩვენთვის საინტერესო წიგნი.

– როგორც მე ვიცი, წიგნები ახლაც დიდი გემოვნებით გამოდის, განსაკუთრებით კი საბავშვო ზღაპრები...

– კი გამოდის, როგორ არა, მაგრამ... მაღალი ფასების გამო ჩემსავით ალბათ, ბევრი ვერ ყიდულობს, ერთი შვილიშვილი უკვე სტუდენტია, სამედიცინოზე სწავლობს. სულ ქსეროქსზე გადაღებული წიგნები აქვს, თან ხელიდან ხელში გადადის, სახელმძღვანელო მაინც ხელმისაწვდომ ფასში უნდა იყიდებოდეს, – თქვა ქალბატონმა ქეთევანმა და დამემშვიდობა.

გთავაზობთ ბავშვებისთვის გამიზნული ზოგიერთი წიგნის ფასს:

მითოლოგიური ლექსიკონი ყმაწვილთათვის, 2 ტომი – 62 ლარი;

გასართობი სურათებიანი ლექსიკონი, ინგლისურ-ქართული – 15 ლარი;

საბავშვო ენციკლოპედია – 16 ლარი (ბაკურ სულაკაურის გამოცემული);

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ – 30 ლარი, ბოლო გამოცემა;

ვისწავლოთ თვლა – 3 ლარი (2-3 წლიანებისთვის);

ნოდარ დუმბაძე, ლექსები – 10 ლარი;

ყველა დროის საუკეთესო ზღაპრები – 3-დან 15-20 ლარამდე.

ოჯახი

ქართველები ყველაზე მაგარი „ფოკუზნიკები“ ვართ!

დღეს სამსახურის შოვნა სანატრელი რომ გახდა და თავის სარჩენად ინტელიგენცია ნებისმიერ მძიმე სამუშაოს შესრულებაზეც რომ მზად არის, უკვე არავის უკვირს. პირიქით, ოღონდ სამუშაო იყოს და ყველანაირ პირობაზე თანახმანი არიან...

მაგრამ რა ქნან იმათ, ვისაც ფიზიკური შრომა არ შეუძლია, სახელმწიფოსგან კი მხოლოდ მიზერულ დახმარებას იღებს?

ნოდარ ჩაჩიძე, რომელიც დაბადებიდან პირველი ჯგუფის ინვალიდია, პენსიას ოც ლარს იღებს, იგი საბურთალოს ერთოთახიან ბინაში, მეუღ- [illegible] თად ცხოვრობს. ოჯახში მხოლოდ ქალბატონი ნანა მუშაობს, რომელიც პედაგოგია და ხელფასი ოცდაჩვიდმეტი ლარი აქვს. მათი ოჯახის ბიუჯეტი გადასახადებზეც არ კმარა, საშუალოდ თვეში დენის გადასახადს თორმეტ ლარს იხდიან, გაზისას – ათ ლარს, პურში კი სულ ცოტა ოცდათხუთმეტ ლარამდე სჭირდებათ, დანარჩენ პროდუქტებსა და პირველადი მოხმარების საგნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

როგორც ბატონი ნოდარი ამბობს, ქართველები მსოფლიოში ყველაზე მაგარი „ფოკუზნიკები“ ვართ, არ არის ფული, არ არის საჭმელი, მაგ- [illegible]

ადრე, ჩემნაირი კატეგორიის ინვალიდებს ძალიან ბევრი შეღავათი გვქონდა, სახელმწიფო იმდენად დიდ დახმარებას გვიწევდა, რომ შეგვეძლო ჩვენი დანაზოგით სხვებსაც დავხმარებოდით, ახლა კი პირიქით ხდება.

ჩემთვის სრულიად გასაგებია, რომ ქვეყანას ძალიან უჭირს და ბევრი პრობლემის წინაშე დგას. მაგრამ, ვფიქრობ, ჩემნაირი ადამიანები ისეთ უმრავლესობას არ წარმოვადგენთ, რომელთა მიმართ გაწეული შეღავათები და დახმარება სახელმწიფოს ეკონომიკას მნიშვნელოვნად დაეტყობა.

უბრალოდ, ცოტა მეტი ყურადღე- [illegible]

აფთიაქი

უფულობას დამამშვიდებელიც ვერ შველის



საზოგადოებრივ ტრანსპორტსა თუ ქუჩაში ყოველდღიურად ვხვდებით წამლის ფულის სათხოვნელად ხელგამოწვდილ ადამიანებს. არავინ იცის, სინამდვილეში მათ ეს ფული რისთვის სჭირდებათ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ დღეს ძალიან ბევრს მართლაც უჭირს წამლის ფული. ყველაზე ხშირად რა პრეპარატი სჭირდებათ და რისი ყიდვა შეუძლიათ ჩვენს მოქალაქეებს? – ამ კითხვით მივმართეთ კოსტავას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი აფთიაქის თანამშრომელს – გიორგი მარკოზაშვილს.

– მოთხოვნილება ყველანაირ პრე- [illegible] მყიდველი ხშირად არჩევს ძვირადღირებული წამლის იაფფასიან შემცვლელს. ჩვენი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს ბუნებრივიცაა. დღეში ხუთას ლარამდე ვვაჭრობთ და ძირითადად ისეთი პრეპარატები იყიდება, რომელთა ფასი 0,07-7,70 ლარამდეა. ხალხს ძალიან უჭირს, ბევრი ფასის გაგების შემდეგ უკან ხელცარიელი გაბრუნებულა. მადლობა ღმერთს, ფასებმა წინა წლებთან შედარებით უმნიშვნელოდ მოიმატა.

ყოველდღიური მოთხოვნილების პრეპარატების ფასი კი დღეს ასე გამოიყურება!

ტკივილდამაყუჩებელი: ანალგინი – 0,30, ციტრამონი – 0,07, კეტანოვი – 1,62, კეტონალი – 0,22, წნევის (ჰიპერტენზიული): ენაპი – 5,00, ენალაპრილი – 3,00, რაუნატინი – 0,15, საგულე, დამამშვიდებელი: ვალიდოლი – 0,15, ვალერიანი – 0,35, კორვალოლი – 0,35, რომანა-სოცი – 2,10. სახსრები (რევმატიული ანალგეტიკები): ვოლტარენის ჯგუფი სამა – 0,60.

ანტიბიოტიკები: ამპიცილინი – 0,50,

ანტიმიკოზერი: ერითრომიცინი – 1,25, ლეფრიაქსონი – 4,00, აზიმაკი – 7,70.

გვერდი მოამზადეს: ლალი ქინქლაძემ, ნაზი იმნაიშვილმა, ლელა მანაველიშვილმა, ქეთევან გაბიაშვილმა.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 169, პარასკევი, 23 ივლისი, 2004 წელი.

◉ თაღლითობა

უიარაღო ძარცვა დღისით, მზისით

წინა ხელისუფლების წაყრუების შედეგად დაზარალებულთ, ახლა მხოლოდ პრეზიდენტის იმედიღა აქვთ

„უმორჩილესად გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და თქვენი გაზეთის მეშვეობით იქნებ ხმა მიაწვდინოთ ჩვენს პრეზიდენტს. სათავეში მოსვლისთანავე მან დაუნდობელი ბრძოლა დაიწყო კორუფციის, ძარცვა-გლეჯის და ქვეყნად დამკვიდრებული იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლნიც თავის დროზე, წინა ხელისუფლების წაყრუების შედეგად, ჩვენ თავად გავხდით.

ფული, რომლის დაბრუნებასაც ჩვენ წლების მანძილზე უნაყოფოდ ვცდილობთ, ბიუჯეტის გასაღები სულაც არ არის (რაც ალბათ მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე ქვეყნისათვის). იგი უშუალოდ იმ პიროვნებების გადასახდელია, რომლებმაც დღისით-მზისით უნამუსოდ გაგვძარცვეს. ყაჩაღური გზით წართმეული თანხის დაბრუნების მოთხოვნა კი, მით უფრო დღეს, სამარცხვინოდ სულაც არ მიგვაჩნია.

იმედი გვაქვს, სამართლიანობისათვის მებრძოლი ახალი ხელისუფლება გულთან ახლოს მიიტანს ჩვენს გასაჭირს და სათანადო დახმარებასაც გაგვიწევს“.

ასეთი ოპტიმისტური ტონით ამთავრებენ ჩვენი მისამართით გამოგზავნილ წერილს ავტორები გიორგი ექვთიმიშვილი, თამარ ფხაკაძე, ნელი ჩაჩანიძე, თენგიზ ნადირაძე და სხვები, რომლებიც ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჩვენში ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლებული ერთ-ერთი კერძო სავაჭრო-სამრეწველო კომპანია „აჩის“ მიერ დაზარალებული მეანაბრეები არიან.

დედაქალაქში თავისი საქმიანობით საკმაოდ სახელგატეხილმა ამ კომპანიამ, 1993 წლის 14 ივლისს გაიარა რეგისტრაცია ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში და იმავე წლის ოქტომბრიდან დაიწყო ხალხის „კეთილდღეობისთვის“ ზრუნვა ისე, რომ თავისი მისიის შესასრულებლად კანონის დარღვევასაც კი არ მოერიდა (მას ეროვნული ბანკიდან არც ლიცენზია ჰქონდა და იქ არც სავალუტო ანგარიში გახსნილი). თუმცა, ამას სულაც არ შეუშლია მისთვის ხელი თანხების მოზიდვის თვალსაზრისით. ფულს კი იღებდნენ, როგორც დოლარებში, ისე რუსულ რუბლებში და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ეროვნულ კუპონებზე ამბობდნენ უარს. ნდობის მოსაპოვებლად კი კლიენტებს პროცენტებსაც უხდიდნენ.

კომპანიის „გულმოწყალე“ თავკაცებს არც კრედიტების აღების მსურველები გამორჩენიათ მხედველობის არედან, რომელთაგან თანხის სანაცვლოდ ბინებს, ოქროს და სხვა ძვირფას ნივთებს იღებდნენ. სამწუხაროდ, ეს ორმხრივი სიამოვნება დიდხანს არ გაგრძელებულა. მეხი კი მოწმენდილ ცაზე სწორედ მაშინ გავარდა, როცა ამას არავინ არ მოელოდა. 1994 წლის 12 ივლისს ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო ცნობა კომპანიის პრეზიდენტის გიორგი მინდიაშვილის და ამავე კომპანიის გენერალური დირექტორის ეკატერინე შარაშენიძის „აორთქლების“ შესახებ, რომლებმაც მეანაბრეთა თანხები და ძვირფასეულობაც თან წაიღეს. ეს ხელს გაყოლებული „ხელის ჭუჭყი“ კი, სამართალდამცავი ორგანოების მოკვლევის შემდეგ, საკმაოდ სოლიდური გამოდგა. საბოლოო ანგარიშით 3.446.909 დოლარი, 39.561.277 რუსული რუბლი და 474.881.500 კუპონი შეადგინა (ამდენი კუპონის თრევით, ვინ იცის, საწყლებს შეიძლება წელიც კი მოსწყდათ, მაგრამ პრინციპის გამო, უკან ხომ აღარ დააბრუნებდნენ).

წინასწარ მოფიქრებული ამ ნაბიჯით, მათ ხალხს მატერიალურ ზარალთან ერთად, მორალური ტრავმაც მიაყენეს და განათლებითა და ცენზით მათზე მაღლა მდგომ მრავალ ადამიანს პირიდან უკანასკნელი ლუკმაც კი გამოაცალეს. დაზარალებულთა დასაშოშმინებლად მათ მიმართ საზოგადოებრივი ქონების დატაცების გამო სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრა 93-ე მუხლის მესამე ნაწილით, მაგრამ ეტყობა ამა ქვეყნის იმდროინდელ გავლენიან პირთა წყალობით, ისე როგორც სხვა ანალოგიური სახის დამნაშავეთათვის, მათთვისაც პასუხი არავის მოუთხოვია. არც სახელმწიფოს მეთაურის №252 ბრძანებულებას მოჰყოლია რაიმე შედეგი, რომლითაც ის გენერალურ პროკურორ ჯ. ბაბილაშვილს და შინაგან საქმეთა მინისტრ შ. კვირაიას სთხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას კომპანიებისა და ბანკების ხელოვნურად გაკოტრების საქმეში ეჭვმიტანილ და მიმალულ პირთა დასაკავებლად და დატაცებული თანხებისა და უძრავ-მოძრავი ქონების მოსაძიებლად. ბრძანებულების ერთ-ერთი პუნქტი კი ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: „შედეგები მომახსენეთ ყოველი თვის 15 რიცხვში“. მასზე კონტროლი კი მინისტრთა კაბინეტს დაავალა, მაგრამ...

დაზარალებულებს ახლა, ამ ბოლო იმედად მხოლოდ პრეზიდენტი და ხელისუფლება ეგულებათ. მათ ღრმად სწამთ, რომ ამ საკმაოდ გახმაურებული საქმის მოთავეებს და ორგანიზატორებს, კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ხელისუფლება, მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც სათანადოდ მოჰკითხავს და სამართლიანობაც ერთხელ და სამუდამოდ იზეიმებს.

სახელმწიფოს მეთაურის ზემოაღნიშნული ბრძანებულებით, გაკოტრებული ბანკების და კომპანიების ბაზაზე უნდა შექმნილიყო სააქციო საზოგადოებები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში ფართო შეღავათებით ისარგებლებდნენ. ამასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა თავად მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 ნოემბრის დადგენილება, რომელიც დაზარალებულთა სასარგებლოდ მეტყველებს, „იურიდიული პირი მოიზიდავდა ანაბარს და იყენებდა მას, როგორც საკრედიტო რესურსს, რაც წმინდა საბანკო საქმიანობაა...“ აქედან ნათლად ჩანს, რომ ჩვენ ვიყავით „აჩის“ მეანაბრეები, რადგან სასამართლოს იგი გაკოტრებულად არ უცვნია. მის ბაზაზე შეიქმნა „აჩი-2“. მიუხედავად ამ რეორგანიზაციისა, ჩვენ ისევ ვრჩებით მის მეანაბრეებად. რაც შეეხება „აჩი-2“-ის აქციონერობას, ამის სურვილი ჩვენ არ გამოგვიხატავს“, — გვწერენ დაზარალებული მეანაბრეები.

ამრიგად, მკითხველისათვის უკვე ნათელია ის ფაქტი, რომ „აჩის“ ბაზაზე შეიქმნა სააქციო-საზოგადოება „აჩი-2“, რომელმაც 1995 წლის 31 აგვისტოს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში გაიარა რეგისტრაცია. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სს „აჩი-2“ წარმოადგენს კომპანია „აჩის“ სამართალმემკვიდრეს და რომ იგი შექმნილია კომპანია „აჩის“ მეანაბრეთა ვალების დასაფარავად. ამავე ჩანაწერს ვკითხულობთ, აგრეთვე, განმეორებით განვლილ რეგისტრაციაში, რომელიც იმავე სასამართლოში უკვე ერთი წლის შემდეგ „მოხდა“ სს „აჩი-2“-ის ცვლილებებთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ჩანაწერს, საზოგადოება „აჩი-2“-ის მესვეურები აპროტესტებენ არა მაშინვე, 1996 წელს, არამედ 2000 წელს. მათი მტკიცებით, ეს მინაწერი მასში თითქოს მოსამართლის ინიციატივით გაჩნდა. ეს ამ შემთხვევაში თავისთავად არალოგიკურია, რადგან „აჩი-2“-ის წესდებაში ნათლადაა გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული, თუ რის საფუძველზე შეიქმნა იგი და რა იყო მისი ძირითადი მიზანი. ამით ისინი ცდილობდნენ იმ ვალდებულებების აცილებას, რომელიც თავის დროზე „აჩი-2“-ს ჰქონდა ნაკისრი.

ამავე პერიოდში ზოგიერთი მეანაბრე სასამართლოს მეშვეობით ცდილობდა ჩაძებული კუთვნილი თანხის ინდივიდუალურად უკან დაბრუნებას, რამაც ერთ შემთხვევაში კურიოზული სიტუაციაც კი წარმოშვა. ამასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას ორი ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავებული ვერდიქტი გამოაქვს. პირველად საკითხს დადებითად წყვეტს ვინმე დავით წიკლაურის სასარგებლოდ, მეორედ კი სრულიად საწინააღმდეგო გადაწყვეტილება გამოაქვს კახა და გენადი ჩიქვინიძეების მიმართ. ორივე ამ შემთხვევაში კი მომხსენებელი ერთი და იგივე პიროვნება მ. წიქვაძე გახლდათ. ბუნებრივია, აქ თავისთავად ჩნდება კითხვა, თუ რომელია მათ შორის მართებული?

განცხადების ავტორები თავის მხრივ ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამენ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თ. საბიაშვილის მიმართ, რომელსაც საქმის გარჩევისას, ჯერ ხანდაზმულობის ვადის გასვლა მოუმიზეზებია, შემდეგ კი მათთვის ბიუჯეტის სასარგებლოდ შთამბეჭდავი თანხის გადახდა მოუთხოვია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით კი მათზე ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდებოდა. ამავე კოდექსით მათ არც ბაჟის გადახდა ევალებოდათ. არა მგონია, რომ ეს მოსამართლეს არ სცოდნოდა. ეტყობა, მან ამით მათი თავიდან მოშორება სცადა, რითაც ნებსით თუ უნებლიეთ თავი კანონზე მაღლა დააყენა.

ნათქვამია, იმედი ყველაზე ბოლოს კვდება, და, აქედან გამომდინარე, დაზარალებულებს ახლა, ამ ბოლო იმედად მხოლოდ პრეზიდენტი და ხელისუფლება ეგულებათ. მათ ღრმად სწამთ, რომ ამ საკმაოდ გახმაურებული საქმის მოთავეებს და ორგანიზატორებს, კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ხელისუფლება, მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც სათანადოდ მოჰკითხავს და სამართლიანობაც ერთხელ და სამუდამოდ იზეიმებს.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

სს „ქაბარჯინას“ აქციონერთა საყურადღებოდ: 2004 წლის 12 აგვისტოს 15 საათზე გაიმართება ორგანიზაციის აქციონერთა საერთო კრება (მის: ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. 24, ოთახი 65).

დღის წესრიგი:

1. განვლილი წლის საფინანსო-სამეურნეო შედეგები;
2. საწესდებო კაპიტალის გაზრდა ადეკვატურობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
3. ახალი სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
4. დამოუკიდებელი აუდიტორის არჩევა;
5. სხვადასხვა.

სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“

2003 წლის ფინანსური მაჩვენებლები (ათ. ლარებში)

I. შემოსავლები:
მათ შორის:

1. მთლიანი შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან;	— 6003.7 ლარი.

II. ხარჯები:
მათ შორის:

1. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასები შესაბამისი დანარიცხებით;	— 659.7 ლარი.
2. ძირითად ფონდებზე დარიცხული ამორტიზაციის ანარიცხები;	— 3166.7 ლარი.
3. თვითღირებულებაში შემავალი საბიუჯეტო გადასახადები;	— 676.0 ლარი.
4. ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები;	— 524.2 ლარი.
5. ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციის ხარჯები;	— 77.9 ლარი.
6. სხვადასხვა დანახარჯები;	— 985.2 ლარი.

შენიშვნა: 1. სახელმწიფო ბიუჯეტში, გარდა თვითღირებულებაში შემავალი გადასახადებისა 676.0 ათ. ლარი, კორპორაციის მიერ გადახდილია დღგ, საშემოსავლოს და მოგების გადასახადები თანხით 1591,4 ათ.ლარი, ჯამში 2267,4 ათ. ლარი. სულ შვილობილი კომპანიების ჩათვლით 2003 წელს ბიუჯეტში შეტანილია 2693.5 ათ. ლარი.
2. მსოფლიო ბანკისა და აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტო USAID-ის დაფინანსებით კორპორაციის მორიგი აუდიტი საერთაშორისო აუდიტორის მონაწილეობით დაგეგმილია მ/წლის აგვისტოდან.

ა. წ. 30 აგვისტოს 14 საათზე გაიმართება სს „მშენტრანსის“ რუსთავის № 3 ფილიალის აქციონერთა საერთო კრება. ქ. რუსთავი, ჯავახიშვილის ქ. № 1.

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
2. დირექციის დანიშვნა;
3. სს-ის აუდიტის არჩევა;
4. სს-ის რეგისტრატორის არჩევა;
5. სს-ის სახელის შერჩევა;
6. სხვადასხვა.

სს-ის აღრიცხვის თარიღად დადგინდეს ა. წ. 23 ივლისი.

ადმინისტრაცია.

◉ განდობა

როცა მადლობას ამბობენ, უნდა მოუსმინო!

კაცი, რომელიც საქართველოსთვის ჯვრის მონასტრის შესყიდვას აპირებდა, ახლა ბაზალეთის კომპლექსს აშენებს

(პირველი გვერდიდან)

— როგორ ფიქრობთ, ამჯერად მაინც თუ იზეიმებს გონიერება? — ვკითხე შპს „ცენტრის“ გენერალურ დირექტორს **ილია მოსიაშვილს.**

— მგონი, ყველამ შეიგნო, რომ მშენებლობის შეფერხებით უდიდესი დანაშაული მოხდა. ახლა ინვესტორი საჯარიმო სანქციების სახით 12 მილიონს მოითხოვს. ვინ გადაიხდის ამ თანხას? აღარაფერს ვამბობ იმ ზარალზე, რაც უკვე მზა კომპლექსის აუმოქმედებლობამ მოგვაყენა. აღარაფერს ვამბობ იმაზეც, რომ ათასგვარი სიბინძურე მომატყუეპეს. ახლა გიამბობთ ერთ ამბავს, რომელზეც აქამდე კრინტიც არ დამიძრავს. მერე თქვენ თვითონ დაასკვენით, ილია მოსიაშვილი საქართველოს მტერია თუ პატრიოტი.

გეხსომებათ, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ისრაელში საქართველოდან ამოსულმა ებრაელებმა როგორ მოიწადინეს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესყიდვა და ქართველი ხალხისთვის დაბრუნება. ეს იყო ჩვენი 26-საუკუნოვანი მეგობრობისთვის მადლიერებით ნაკარნახევი გადაწყვეტილება. საჭირო იყო 800 ათასი დოლარი. ამ ფულის ნაწილი საქართველოშიც უნდა შეგროვილიყო. ყველა ებრაელი მხურვალედ გამოეხმაურა ამ დიდ საქმეს და იცით, ვინ აიღო თავის თავზე ეს მისია?

როდესაც ჩემი დაბნეული მზერა დაიჭირა, ბატონმა ილიამ თავად განაგრძო:

— მე, ბატონო, მე გახლდით ორგანიზატორიც და შემსრულებელიც. გახსოვთ, მწერალმა გურამ ბათიაშვილმა მშვენიერი პიესაც დაწერა. იმ პიესამ ბევრს მოჰგვარა თვალზე ცრემლი. მაშინ არც გურამმა იცოდა, მე თუ რამეში ვიყავი გარეული...

— ისრაელთა მხრიდან ვინ ითავა ეს საქმე?

— ბესო იაკობაშვილმა, მიხეილ კრიხელმა, მისმა მეუღლემ და სხვებმა. ჩემთან კავშირზე გამოდიოდა მიხეილ კრიხელი. იცით, იმ პერიოდში ეს რა რისკთან იყო დაკავშირებული და ამ რისკზე მაინც წავედი... ხმამაღლა, აშკარად ვერაფერს განაცხადებდი. მარტო თანხა კი არა, მემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთიც გვესაჭიროებოდა.

— საიდან დაიწყო ეს ყველაფერი?

— ვიცოდი, რომ ჩემი თანამემამულეები ამას აპირებდნენ და შემწეობას ჩემგანაც ელოდნენ. ტურისტად ბულგარეთში წავედი. სწორედ იქ შევხვდი ისრაელელ „დესპანებს“, დავბრუნდი საქართველოში და ფულის შეგროვებას შევუდექით. 300 ათასი მოგროვდა. მიუხედავად სიფრთხილისა, ცნობამ მაინც გაჟონა და ერთ დღეს უშიშროების კომიტეტში დამიბარეს. იქაურმა თანამშრომელმა კალე ხვიტაიამ მკაცრად დამკითხა, მაგრამ როცა ყველაფერი დაწვრილებით მოისმინა, თვითონვე დამპირდა იმ ფულის საზღვარგარეთ გატანაში დახმარებას. მართლაც, ერთ დღეს მე და ის მოსკოვს გავემგზავრეთ. მისი ხელშეწყობით ეს უზარმაზარი თანხა რუმინეთში ჩავიტანე და ჩემს მეგობარ თანამოაზრეებს გადავეცი. მაგრამ მემკვიდრეობის დამადასტურებელი ცნობის მოპოვება ვერ მოხერხდა. იმ ფულმა ბევრი იტრიალა, ზოგი დაიკარგა, ზოგიც შემომწირველებს დაუბრუნდა. ასე ჩაიშალა ეს საქმე.

შემდეგ ბატონი ილია აღშფოთებით მელაპარაკა რუსთაველის ფრესკის დაზიანების ვანდალური აქტის გამო და იმედი გამოთქვა, რომ დამნაშავეებს უთუოდ მიაგნებენ.

— ქართველი ებრაელები მეგობარი ხალხის ეროვნულ სიწმინდეთა მიმართ გულგრილნი არასოდეს ყოფილან. ალბათ გახსოვთ ბაზალეთის კომპლექსის კოლონადა — ხელიხელგადაჭდობილი ისრაელი და საქართველო. ის მრავალი საუკუნის მანძილზე ერთ ბედქვეშ მყოფი ორი ხალხის ერთიანობის სიმბოლოა. ამით მინდოდა ჩვენი მადლიერების კიდევ ერთხელ გამოხატვა. ახლა მიპასუხეთ, განა მე ის კაცი ვარ, საქართველოსთვის ბოროტებას რომ მოიწადინებს? არამც და არამც! სწორედ ამიტომ მინდა, რომ კომპლექსის მშენებლობა მალე დასრულდეს. გრიშაშვილის ქუჩაზე უკანონოდ შეჩერებული ობიექტი რომ არა, ამ ზაფხულს კომპლექსი ტურისტებს უკვე მიიღებდა. ამით ისარგებლებდა არა მარტო ინვესტორი, არამედ ქვეყნის ბიუჯეტიც.

— ეკონომიკის მინისტრის ნათქვამიდან ჩანს, რომ ყინული დაიძვრება და სამართლიანობა აღდგება. მარშრუტი ბაზალეთი — თბილისი — ისრაელი აუცილებლად განხორციელდება.

— მეც ამის იმედი მაქვს. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურებს ჩვენი ხალხების მეგობრობას, ებრაელთა წრფელ მადლიერებას.

ესაუბრა
ელგუჯა ლეგანიძე.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ინფორმაცია განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად, 2004 წლის აპრილ-ივლისის თვეებში ჩაატარა 5 ტენდერი.

1. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 15.04.04-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 11 ზონაში მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესყიდვას.

გამარჯვებულად გამოცხადდნენ შემდეგი ორგანიზაციები:

[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]

2. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 22.04.04-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კმ-ზე რიკოთის საუღელტეხილო გვირაბის მოვლა-შენახვის სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ბმგ“.

3. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 29.04.04 ნომერში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ. 266 და კმ.კმ 293-299 მონაკვეთების პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა სს „არქეოპოლისი“.

4. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 30.04.04-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 87-ე კმ-ზე სატრანსპორტო კვანძზე სწორკუთხა მილის რეკონსტრუქციისა და 87-88 კმ-ის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გაიმარჯვა შპს „იბოლიამ“.

5. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 16.05.04-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა საავტომობილო გზებზე განლაგებული ოთხი ხიდის გამოცდის შესყიდვას, გაიმარჯვა შპს „საქგზამეცნიერებამ“.

სატენდერო კომისია.

◉ თითქმის დაუჯერებელი

რიასინ-ჩუბაისის აბლაბუდა

უშუქობით გაწამებული ქართველი კაცის ცხოვრება ივანოვოში

ერთი შეხედვით ყოფითი პრობლემა გეგონებათ ეს პატარა (ვისთვის პატარა) ამბავი, რომელიც ჩვენმა თანამემამულემ ბატონმა გიორგი ანდრიაძემ მიამბო. ყოფითი, რადგან უშუქობა, ბიუროკრატთა განუკითხაობა თუ ძალოვანთა თავხედობა, ბევრჯერ ზღვარს გადასულიც კი, ჩვენთვის ყოველდღიური სატკივარია. ჩვენთვისაც და ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებისთვისაც, ჩვენი დაჩაგრული თანამემამულე ხომ რუსეთის მოქალაქეა და უკვე ათ წელზე მეტია, რაც ივანოვოში ცხოვრობს.

ივანოვოს ულამაზესმა ქალბატონებმა რომ „გაუკეთეს პრივატიზაცია“, ეს საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ ბიუროკრატები და ძალოვნები რომ გაპარპაშდებოდნენ და კანონს თექური ნაბადივით გათელავდნენ რუსეთში, „დემოკრატიის“ ამ დიდ ქვეყანაში, ეს ცოტა დაუჯერებელიც შეიძლება გვეჩვენოს.

მაგრამ ყველაფერს თავიდან მივყვეთ, მოკლედ, კონკრეტული ფაქტებით.

ცნობილი ელექტრიკოსი, ამჟამად პენსიონერი, ბატონი გიორგი ანდრიაძე, როგორც ვთქვით, ივანოვოში ათი წელია ცხოვრობს. მას ორი ბინა ჰქონდა (ერთში წლობით არ უცხოვრია), პატივისცემაც არ დაკლებიათ მისგან მეზობლებსა და ნაცნობებს ამ მშვენიერ ქალაქში, არც თვითონ გრძნობდა თავს „დაჩაგრულად“, სანამ...

ისე უწყინარი ხუმრობით დაიწყო ყველაფერი: თავის ძველ მეგობარს, მილიციელ სტასიკ კონკინს „ლაყე კვერცხი“ უწოდა. კონკინი აღშფოთდა, უშვილო კაცმა დიდ შეურაცხყოფად მიიღო მეგობრის ქილიკი და უკვე, როგორც უმეტესი „დერჟიმორდა“ რუსი, პოლიტიკური სარჩულის ძებნასა და ინტრიგების ხლართვას შეუდგა. „ხომ არ დაგავიწყდა, ჩვენ რუსები რომ ვართ და... აქაურობას მოგანატრებო“. კონფლიქტი გაიწელა, გაიბერა... ბატონმა გიორგიმ გაცლა ამჯობინა. ძველ ბინაში გადავიდა და გულის გადასაყოლებლად სამშობლოსკენ აიღო გეზი. რამდენიმე თვის შემდეგ, შარშან ნოემბერში, კვლავ ივანოვოს ესტუმრა. ახალ ბინაში (ჩკალოვის ქუჩა № 12), სადაც თითქმის რვა წელი არ ეცხოვრა, ყველაფერი მოსაწესრიგებელი იყო ზამთრისათვის. მე თქვენ გეტყვით, ჩვენნაირი ზამთარი იცის რუსეთში! ჯერ ბუნებრივი გაზი შეიყვანა ბინაში, წყალგაყვანილობა მოაწესრიგა და ბოლოს, ელექტრომომარაგების განყოფილებას მიაკითხა. ჰოი საოცრებავ, შენობის შესასვლელთან მისი ყოფილი „ძმაკაცი“ სტასიკ კონკინი არ შეეფეთა?! უმძრახად მყოფ მეგობარს უკან აედევნა. სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, გაიფიქრა ბატონმა გიორგიმ და შარიან კონკინს გვერდი აუარა. მიაკითხა სათანადო განყოფილებას, სადაც თავისი მისვლის მიზანი გააცნო; — მის ბინაში დენი იყო ჩასართველი და მრიცხველიც შესამოწმებელი.

აუხსნეს, რომ ახალი მრიცხველი ჰქონდა შესაძენი. ჩვენმა თანამემამულემ იქვე, მესამე სართულზე შეიძინა ახალი მრიცხველი, რის შემდეგაც შეპირდნენ, რომ მეორე დღეს ესტუმრებოდნენ ხელოსნები და ყველა პრობლემას მოხსნიდნენ.

მოგეხსენებათ, შარშან დეკემბერში რუსეთის სათათბიროს (დუმის) არჩევნები იყო. შინ მისულს საფოსტო ყუთში ბარათი დახვდა და იცით ვისგან? თავად ანატოლი ჩუბაისისგან. ალბათ, ჩვენ არ გაგვიკვირდება, როდესაც საარჩევნო ციებ-ცხელება გაგვახსენდება. გასადეპუტატებელნი ხომ ათასგვარი დაპირებითა და ხრიკებით ცდილობენ ამომრჩეველთა გულის მოგებასა და მათ „ხმებზე“ ნადირობას. არც რუსეთია გამონაკლისი.

მაშინ რას მიხვდებოდა გიორგი ანდრიაძე, რომ მაწანწალა ძაღლის თავი, რომლის გამოც პენსიონერ კაცს სიცოცხლე გაუმწარდა, სწორედ ბატონი ჩუბაისის წერილში იყო ჩამარხული.

ანატოლი ჩუბაისი კი ჩვენს თანამემამულეს, როგორც ძველ ნაცნობს, ისე მიმართავდა წერილით: — ბატონო გიორგი, თქვენ მოგმართავთ „რაოესის“ თავმჯდომარე. — შემდეგ იგი თავის გეგმებს გულღიად უმხელდა, რომ საქართველოსა და სომხეთის ენერგეტიკული სიმძლავრეები მის ხელში იყო, აპირებდა ყაზახეთისა და უკრაინის ენერგოსიმძლავრეების ხელში ჩაგდებას. ბოლოს წერილი იმით სრულდებოდა, რომ ბატონი ჩუბაისის არჩევნებში მხარდაჭერას ითხოვდა.

გაუკვირდა ბატონ გიორგის, — სად მე და სად ხელმწიფის ტოლი კაცი, ანდაც საიდან უნდა მიცნობდესო და გასარკვევად ივანოვოს ელექტროქსელში დარეკა. აღმოჩნდა, რომ ანატოლი ჩუბაისი მოსკოვს ბრძანებულა, ხოლო წერილი მის „მარჯვენა ხელს“, ივანოვოს ენერგობოსის, ვინმე რიასინისა ყოფილა. წერილი მას გაუგზავნია ჩვენი თანამემამულისათვის, სადაც თხოვნასთან ერთად მახვილ თვალს არ გამოეპარებოდა ფარული მუქარაც.

და დაიწყო... რუსი, ისიც ბიუროკრატი, რის რუსია, თუ საქმე ბოლომდე არ მიიყვანა. მეორე დღისით ხელოსნები არ გამოცხადდნენ, სამაგიეროდ, ბატონ გიორგის ვინმე კოტოვი ეწვია. მისი აუდიენცია იმით დასრულდა, რომ ბატონ გიორგის 7 ათასი რუბლი მოსთხოვა შუქის ჩართვაში. აქაც ბრძანება იგრძნობოდა მის ირონიულ სახეზე. სიმართლის გასარკვევად კვლავ სამმართველოს ეწვია, სადაც კოტოვი და... „ლაყე კვერცხი“ დახვდნენ. „ფული მოიტანე?“ — გაიღიმა კოტოვმა. საიდან უნდა ეშოვა პენსიონერ კაცს ამხელა თანხა? „ივანოვოელ ჩუბაისს“ 25 ნოემბერს წერილობით მიმართა ბატონმა გიორგიმ, საქმის ვითარება აუხსნა და დახმარება სთხოვა. ენერგობოსმა კი დახმარება რუსული „ხლებდასოლით“ აღმოუჩინა — მილიციელები გააგზავნა და ასაკოვან, დამსახურებულ კაცს ელექტროსადენები საერთოდ გადაუჭრა.

პირველ დეკემბერს ბატონმა გიორგიმ კვლავ წერილობით მიმართა „რიასინ-ჩუბაისს“. ერთი კვირის შემდეგ პასუხიც მიიღო — თქვენ შეცდომაში შეიყვანეთ „რაო-ეესის“ ხელმძღვანელები. არ ხართ პატიოსანი გადამხდელი, მთელი რვა წლის მანძილზე საკუთარ ბინაში ცხოვრობდით და შემმოწმებლებს კარს არ უღებდით, რათა მრიცხველი შეემოწმებინათო...

სხვა გზა აღარ ჰქონდა დაჩაგრულს და წერილი ოლქის პროკურორს გაუგზავნა. ოლქის პროკურორმა რაიონის პროკურორს გადასცა საქმე და...

და დაიწყო უსაფუძვლო ბრალდებების სერიალი. პროკურატურიდან პროკურატურაში სირბილი, დამცირება, მუქარა, ბიუროკრატთა თავხედობა... ბოლოს, ხელშეკრულება მაინც არ გაუგზავნეს, შუქი მაინც არ ჩაურთეს... დავა დღესაც გრძელდება.

იცის ბატონმა გიორგიმ, დამცირებულმა და შეურაცხყოფილმა რომ ჩვენ აქედან ვერ დავეხმარებით. იცის, რომ ივანოვოშიც ვერ იპოვის სამართალს, მაგრამ გულისტკივილით გვაფრთხილებს: — იქნება ერთ დღესაც ბატონ ჩუბაისს მოუაროს ხუშტურებმა და ის ენერგოსისტემა, რომელიც შეიძინა და რომლის შეძენასაც ფიქრობს, ერთი ხელის დაკვრით გაანადგუროს. იქნებ ისეთ ბედში ჩაყაროს ქართველი, სომეხი, უკრაინელი და ყაზახი ელექტრომომხმარებელიც, როგორ ბედშიც ბატონი გიორგი ჩააგდეს მან და მისმა ხელქვეითებმა. ისე, გამორიცხული არ არის: კოჭის გორების პროცესი რომ დასრულდება, დათვი მაშინ გამოაგდება ალბათ.

იქნებ ყურად იღოთო ჩემი რჩევა, — გვაფრთხილებს ბატონი გიორგი.

ანზორ პატეიშვილი,
ჟურნალისტი, ქ. ივანოვო.

პარასკევი
23 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" 10.10 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობანი"** 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"სოლედადი"** 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი "პეპსი-კოკა-კოლას ვერსია" 15.20 სერიალი **"რვაფეხა-6"** 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.20 დოკ. სერიალი "თავისუფლებისთვის დაბადებულნი" (შიმპანზე) 17.00 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" 17.25 მუს. არჩევნები 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი **"ხუმრობა იქით იყოს"** 18.45 დოკ. სერიალი "ჩემი სახლი" 19.05 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი **"სოლედადი"** 22.00 "ღამის მატარებელი" 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 კონცერტი - ნატალი კოლი 01.30 მხ. ფილმი **"ბრაზიანი პოლიციელი"** (12)

19.00 მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.30 სერიალი **"ეშმაკუნა"**(U) 21.00 დოკ. ფილმი "წყვილები და დუეტები" 21.30 აფხაზეთის ტვ. 22.00 მხ. ფილმი **"ყველაფრის ფასად"** (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეღიპუცები" 09.40 სერიალი **"შურისძიება"** 11.00 სერიალი **"საპარის საიდუმლო"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი **"პუქონელი ქორი"** (U) 15.25 სერიალი **"სასწრაფო"** 16.30 სერიალი **"ალფი"** 17.05 სერიალი **"მაშველები"** 18.20 "ტელეღიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი **"შურისძიება"** 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 სერიალი **"სოპრანოს კლანი"**. 00.00 მხ. ფილმი **"შეუსრულებელი მისია"**. მთ. რ-ში: ტომ კრუზი, ჯონ ვოიტი (18). 02.20 მხ. ფილმი **"გაქცევა შოუშენკიდან"** მთ. რ.-ში: ტიმ რობინსონი, მორგან ფრიმენი (18).

18.00 მინისერიალი **"მგლების შვილი"** 1-ლი ს. 19.35 დოკ. ფილმი 20.40 კონცერტი 21.50 მხ. ფილმი **"მეომარი"** (18)

ლეგიონერი

ირანში ქართველი ფეხბურთელიც თამაშობს

ვამბობთ ირანს – ვგულისხმობთ საქართველოს ბედკრულ ისტორიას. წარსული წარსულად, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და ჩვენც თანამედროვე რეალიებს უნდა გავუსწოროთ თვალი: 24 წლის მარცხენა მცველი ჯაბა მუჯირი უკვე ერთი წელიწადია ისპაჰანის „სებაჰანში" თამაშობს და სამშობლოში ხანმოკლე შვებულებით ირანის თასის მფლობელის რანგში ჩამოვიდა.

სადარბაზო ბარათი

დაიბადა 1980 წელს თბილისში.

განათლება: თბილისის მე-2 ექსპერიმენტული სკოლა, „მილტონ ჰაი სქუული" (აშშ), თბილისის მე-5 ღამის სკოლა, თსუ-ს საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი.

პირველი მწვრთნელი – გია ცუცქირიძე („კოდაკო", 1992 წელი), შემდეგ – კოტე დოლიძე („ვაკე-91").

კარიერა: თსუ, „ვიტ ჯორჯია", „სებაჰანი", საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები.

ჰყავს მეუღლე და ერთი ვაჟი.

ჩვენი დიალოგი, ბუნებრივია, ამ ერთი შეხედვით უცნაურ კონტრაქტზე საუბრით დაიწყო.

– ჩვენი კლუბი ირანულ ელიტაში არასდროს შედიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 2002 წელს ფარად კაზიმის თავკაცობით (იგი მაშინვე აღიარეს წლის საუკეთესო მწვრთნელად) ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო შარშან ეროვნულ თასს დაეუფლა, უკვე ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. საგულისხმო ფაქტსაც მოგახსენებთ – ჩვენი გუნდის 3 მოთამაშე ირანის ნაკრების წევრია.

– დებიუტზე რას გვეტყვი – ხომ არ გაგიჭირდა იქაურობასთან შეგუება?

– სეზონი ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში მიღებული მუხლის სერიოზული ტრავმით დავიწყე, თუმცა IX ტურიდან, როცა ბოლომდე ჯერ კიდევ არ ვიყავი გამოჯანმრთელებული, ძირითადი შემადგენლობის ბინადარი გავხდი. ასე რომ, მთლიანობაში კმაყოფილი ვარ.

– ამას, ალბათ, სათანადო ფინანსური საფუძველიც ექნება – იქნებ, მატერიალურ ანაზღაურებაზე და თქვენი კლუბის შესაძლებლობებზეც გვითხრათ ორიოდე სიტყვა.

– მართალი ბრძანდებით – იმის მიუხედავად, რომ ანაზღაურება არც ისე შთამბეჭდავია, ჩვენთან შედარებით მაინც სოლიდურად გამოიყურება და, თანაც, პერსპექტივაც არსებობს, რომ, როცა კარგად გაგიცნობენ, კიდევ უფრო გაგიუმჯობესებენ. სამაგალითოდ მოგახსენებთ, რომ „სებაჰანის" მესამე მეკარეს მხოლოდ ხელფასის სახით წელიწადში 30 000 დოლარს უხდიან. ასეთი კეთილდღეობა საქმის სწორი ორგანიზაციით გახლავთ მიღწეული – ჩვენი კლუბის უზარმაზარი ოთხსართულიანი ოფისის ბუღალტერიაში მხოლოდ დამხმარე მუშაკის სტატუსით ერთბაშად 8 (!) თანამშრომელია დაკავებული. დამეთანხმებით, მრავლისმეტყველი შტრიხია. სხვათა შორის, კლუბ „სებაჰანში" სპორტის 17 სახეობაა დანერგილი.

– უშუალოდ თქვენზე როგორ გამოვიდნენ ირანელები?

– „ოქროს სეზონის" შემდეგ მოხდა ისე, რომ მარცხენა მცველის პოზიციაზე ისპაჰანელებს დეფიციტი შეექმნათ. მათმა წარმომადგენლებმა ჩემი თამაში კასეტაზე ნახეს და ყოველგვარი სინჯების გარეშე მიმიწვიეს კიდეც.

– იქაური ფეხბურთის დონეს როგორ შეაფასებ?

– პირდაპირ გეტყვით – მართალია, ჩამოუვარდება საშუალო ევროპულ მასშტაბებს, მაგრამ ჩვენთან შედარებით გაცილებით დაძაბული შეხვედრებია, აუტსაიდერთა მონაწილეობითაც კი. იგივე შეიძლება ითქვას II ლიგაზეც.

– ლეგიონერები თუ გყავთ?

– როგორც თითქმის ყველგან, ირანშიც მრავლად თამაშობენ ბრაზილიელები, ნიგერიელები და სხვა ქვეყნების შვილები. რაც შეეხება „სებაჰანს", იქ 5 უცხოელი ვართ. ერთ-ერთ მათგანის – სლოვაკი მეკარის მხრის ტრავმამ ძალიან იმოქმედა ჩვენს შარშანდელ შედეგზე – I წრის შემდეგ XIII ადგილზე ვიყავით. მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ სლოვაკის მწყობრში დაბრუნების შემდეგ შევძელით – II წრეში ყველაზე მეტი ქულა დავაგროვეთ, მაგრამ ეს საბოლოოდ მხოლოდ მეხუთე ადგილის დასაკავებლად აღმოჩნდა საკმარისი. რადგან ლეგიონერები ვახსენეთ, გაუწყებთ, რომ ახლახან თეირანის „საბაბატერში" გადმოვიდა ჩემი ძველი პარტნიორი „ვიტ ჯორჯიადან", მეკარე სერგო ჭურაძე.

– საქართველოს ახალი ჩემპიონი, ალბათ, ღირსია, რომ თბილი სიტყვებით თქვენც მოიხსენიოთ...

– რასაკვირველია – 18 წლის ყმაწვილი დიდ ფეხბურთს სწორედ „ვიტ ჯორჯიაში" ვეზიარე, სადაც 5 სეზონის განმავლობაში ხდებოდა ჩემი ფორმირება. მიმაჩნია, რომ ჩვენნაირი სრულფასოვანი „სათადარიგოთა სკამი" არავის ჰყავდა და ჩემპიონობის შანსი წინა წლებშიც გვქონდა, მაგრამ... საბედნიეროდ, მოსახდენი წლეულს მაინც მოხდა და ჩემმა ძველმა გუნდმა რაც ეკუთვნოდა, მოიპოვა კიდეც.

– დაბოლოს: თემა, რომელსაც გულგრილად ვერ ავუვლით გვერდს – ქართველები ირანში.

– ამთავითვე გიპასუხებთ – ფერეიდანში ჩასასვლელად რამდენიმე დღე ჯერ ვერ გამოვძებნე. მართალია, იქამდე 2 საათის სავალი გზაა, მაგრამ მაშინვე უკან ხომ არ გამოვბრუნდებოდი? სამაგიეროდ, დიდხანს შემიძლია გესაუბროთ ისპაჰანელ თანამემამულეებზე. მათ ცალკე უბანი აქვთ, საქართველოს სამაგალითო პატრიოტები არიან და ისტორიული სამშობლო სამოთხედ მიაჩნიათ. ისიც შემიძლია გითხრათ, რომ ბევრმა ჩვენებურმა ქართული სახელები დაირქვა და ერთმანეთს ამ სახელებით მიმართავენ. ისინი არც მომავალ თაობებს ივიწყებენ და იმისათვის, ქართველმა ბავშვებმა დედა ენა რომ არ დაივიწყონ, არდადეგების დროსაც კი საზაფხულო სკოლებს ხსნიან. აღარაფერს ვამბობ იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტზე, ქართულ-სპარსული ანბანის შექმნა რომ ჰქვია. ასე რომ, საუკუნეთა განმავლობაში გულდასერილი ქართველები კვლავაც ღირსეულ ქართველებად რჩებიან.

გია პლატონიშვილი.

სურათებზე: ჯაბა მუჯირი და მისი ირანული გუნდი.

ფეხბურთი

მხოლოდ შედეგები

ჩემპიონთა ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი. „ტორსჰავნი"(ფარერები) – „ვიტ ჯორჯია" (საქართველო) 3:0 (0:5).

II რაუნდში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი 28 ივლისსა (შინ) და 12 აგვისტოს პოლონეთის ქალაქ კრაკოვის „ვისლას" შეხვდება.

* * *

„კოპა ამერიკა". ნახევარფინალი. არგენტინა – კოლუმბია 3:0, ბრაზილია – ურუგვაი 1:1 (პენალტებით – 5:4).

* * *

ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი. ნახევარფინალი. ესპანეთი – უკრაინა 1:1 (პენალტებით – 4:1), თურქეთი – შვეიცარია 3:2 (დამატებით დროში, 1:1).

ემზადებიან

ლიკანიდან – ელადაში

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ბოლო საწვრთნელ შეკრებას გადის ლიკანში. საგულისხმოა, რომ ჩვენი გუნდი ოლიმპიურ თამაშებზე ევროპელთაგან რუსების და ფრანგების დარად სრული შემადგენლობით გაემგზავრება. ფედერაციის პრეზიდენტის დილარ ხაბულიანისა და მთავარი მწვრთნელის – შოთა ხაბარელის ხელმძღვანელობით ათენში იასპარეზებენ ნესტორ ხერგიანი, დავით მარგოშვილი, დავით ქევხიშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი, ზურაბ ზვიადაური, ივერი ჯიქურაული და ლაშა გუჯეჯიანი.

– ჩვენს გუნდში ყველაზე უფროსია 29 წლის ნესტორ ხერგიანი, უმცროსი კი – 19 წლის ლაშა გუჯეჯიანი, – მითხრა ლიკანში შეკრებაზე მყოფმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **შოთა ხაბარელმა.** – ათენში მთავარ მეტოქეებად გვეყოლება იაპონიის, კორეის, რუსეთის, საფრანგეთის, ბრაზილიის და კუბის წარმომადგენლები. არ არის გამორიცხული, რომ სხვა ქვეყნების მოჭიდავეებმაც შემოგვთავაზონ სიურპრიზები.

ელადური ბატალიებისთვის კარგად მოვემზადეთ. საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, ოლიმპიურმა ფონდმა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ყოველმხრივი დახმარება გაგვიწიეს და ყველა პრობლემა დროულად მოგვიგვარეს. ათენში თუ კეთილსინდისიერი მსაჯობა იქნა, შინ სამივე სინჯის თითო მედლით დავბრუნდებით...

საქართველოს ძიუდოისტები ოლიმპიურ თამაშებში 14 აგვისტოდან ჩაებმებიან.

ჯემალ კასრაძე.

სურათებზე: ერთი დღე ლიკანში ქართველ ძიუდოისტებთან.

ავტორის ფოტო.

ყოველი მხრიდან

არმსტრონგმა „კლანჭები" გამოაჩინა

ვინც თვალს ადევნებს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სუპერმრავალდღიან ველორბოლას „ტურ დე ფრანსს", დაგვერწმუნება, რომ აქ უკვე ხუთგზის ჩემპიონი, ამერიკელი ლენს არმსტრონგი თითოეულ ეტაპზე „ჩქარობდა აუჩქარებლად". თითქოს მეექვსედ გამარჯვება არ უნდაო, მაინცდამაინც კარგა ხანს სწორედ მეექვსე ადგილზე დამკვიდრდა, თუმცა თავისზე წინ არც მთავარი მეტოქე – იან ულრიხი გაუშვია.

ტეხასელი მთებში რბოლის დიდ სპეციალისტად ითვლება და აი, ახლაც როგორც კი რბოლის ტრასამ 1850-მეტრიან მთაზე ალპ დ'იუშზე გადაინაცვლა, ლენსი თითქოს ახალი სული ჩაბერესო, წინ გაიჭრა და მალე რბოლის ლიდერობაც იგდო ხელთ. ეს ადვილი საქმე როდი იყო, მეთექვსმეტე ეტაპზე აღმართთან, სიცხესთან (+34 გრადუსი), რაც მთავარია, ულრიხთან ბრძოლას თავგანწირვა უნდოდა და არმსტრონგმა ეს შეძლო.

მაყურებლები (ისინი კი მთელ ტრასაზე მრავლად იყვნენ) აღტაცებულნი იყვნენ 15,5 კილომეტრზე არმსტრონგის მძლავრი შეტევით. ეტაპის ფინიშთან გამარჯვებული თითქოს ველოსიპედთან ერთად აცეკვდა – ეს იყო „დიდ მარყუჟზე" ხუთგზის (თუ უკვე ექვსგზის) ჩემპიონის უძლეველობის დიდი დემონსტრაცია.

სურათზე: ლენს არმსტრონგი.

გენერალური რეპეტიცია

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის – ფიფა – განცხადებით, კონფედერაციათა თასის გათამაშება, რომელიც გერმანიაში, მომავალ წელს, 15-29 ივნისს გაიმართება, იქნება 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გენერალური რეპეტიცია.

მატჩები გაიმართება ფრანკფურტის, ჰანოვერის, კიოლნის, ლაიფციგის და ნიურნბერგის სტადიონებზე. ტურნირის რვა მონაწილიდან უკვე ცნობილია ხუთი: გერმანია, მსოფლიო ჩემპიონი – ბრაზილია, ევროპის ჩემპიონი – საბერძნეთი, აფრიკის საუკეთესო გუნდი – ტუნისი, აგრეთვე, მექსიკა.

მათ დაემატებიან აზიისა და ამერიკის თასებზე გამარჯვებულები, აგრეთვე, ოკეანიის წარმომადგენელი.

ტურნირის კენჭისყრა ნავარაუდევია 2004 წლის 1 ნოემბრისთვის.

ტაისონი კლიჩკოს იწვევს?

კრივის მოყვარულებმა იციან, რომ სულ მალე მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მაიკ ტაისონი თითქმის წელიწადნახევრიანი შესვენების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს რინგს და შეხვდეს ბრიტანელ დენი უილიამსს.

როგორც „რკინის მაიკის" მწვრთნელმა ფრედი როუჩმა განაცხადა, ამ და კიდევ ერთი, თითქოსდა, საწვრთნელი ბრძოლის შემდეგ, ის აპირებს ვიტალი კლიჩკოს გამოწვევას.

„კლიჩკო დღეს მსოფლიოს უძლიერეს სუპერუმძიმეს მოკრივედ ითვლება, – აღნიშნა როუჩმა, – ვიდრე მას შევხვდებით, კიდევ ორიოდე ბრძოლა დაგვჭირდება. ამის შემდეგ დავიწყებთ კლიჩკოსთან ორთაბრძოლისთვის მზადებას".

ახლა ტაისონი გულმოდგინედ ემზადება უილიამსთან საბრძოლველად. დღეში 18-რაუნდიან ვარჯიშს ატარებს, დარბის, ახლა იგი ბოლო წლებთან შედარებით საუკეთესო ფორმაშია.

ოლიმპიურ ტალღაზე

ოლიმპიადის ორგანიზატორები, ჯერჯერობით, ვერ ასახელებენ იმ პიროვნებას, რომელიც 13 აგვისტოს ათენის ოლიმპიურ სტადიონზე თამაშების ცეცხლს აანთებს. პრეტენდენტთა შორის არიან საბერძნეთის ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი თეოდოროს ზაგორაკისი, 200 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ჩემპიონი კოსტას კენერისი და მსოფლიოში ცნობილი ბერძენი კომპოზიტორი და დირიჟორი მიკის თეოდორაკისი.



* * *

საბერძნეთის დედაქალაქის ზეცას და ათენელთა უსაფრთხოებას 20 ივლისიდან იცავს სუპერთანამედროვე აეროსტატი, რომელიც მგრძნობიარე აპარატურითა და უმაღლესი სიზუსტის კამერებით არის აღჭურვილი.

სპორტის რედაქცია

დიდი შემცირება ბრიტანეთის არმიის რიგებში

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ჯეფ ჰუნმა განაცხადა, რომ დაგეგმილია განხორციელდეს მნიშვნელოვანი შემცირება ქვეყნის შეიარაღებული ძალების რიგებში და ეს მოხდება ბრიტანეთის არმიის მოდერნიზაციის გეგმის ფარგლებში.

2008 წლისათვის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების რიგებს დატოვებს 7500 კაცი, ფლოტს კი – 1500 მოსამსახურე. გარდა ამისა, სამუშაოს არმიაში დაკარგავს კიდევ 10 ათასი სამოქალაქო პირი. შემცირდება თვითმფრინავების, ვერტმფრენების, ტანკებისა და ხომალდების რაოდენობა.

ჯეფ ჰუნის თქმით, ხელისუფლება მთავარ ყურადღებას გაამახვილებს მოქნილი არმიის შექმნაზე, რომელსაც შეეძლება საბრძოლო ოპერაციების განხორციელება შეერთებული სამეფოს ფარგლებს გარეთ.

თუმცა, ჰუნის მიერ შეთავაზებულ ასეთ გეგმებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ოპოზიციური კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლებმა. კერძოდ, ნიკოლას სოუმსმა, ჩრდილოვანი კაბინეტის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში ბრიტანელი სამხედროები იგრძნობენ თავს დათრგუნულად, საზოგადოებრიობას კი „შეძრავს ასეთი მუხანათური დამოკიდებულება შეიარაღებული ძალებისადმი".

ნიკოლას სოუმსი ეთანხმება არმიის რადიკალური რეფორმის აუცილებლობას, მაგრამ აცხადებს, რომ ჰუნს ბრიტანელებისათვის არმიის შემცირების გარდა, სხვა არაფერი შეუთავაზებია. სოუმსს მიაჩნია, რომ დიდი ბრიტანეთის თავდაცვითი ბიუჯეტი განიცდის „ღრმა კრიზისს".

განცხადებას დაგეგმილი შემცირებების შესახებ უძღოდა მოხსენება – „უშიშროება ცვალებად მსოფლიოში", რომელიც ჰუნმა თემთა პალატას წარუდგინა გასული წლის დეკემბერში.

თავდაცვის სამინისტროს დაგეგმილი აქვს ფართომასშტაბიანი ინვესტიციების დაბანდება მაღალტექნოლოგიურ ციფრულ სისტემებში, რაც ბრიტანეთის არმიას ამერიკის შეერთებულ ძალებთან უფრო მჭიდროდ თანამშრომლობის საშუალებას მისცემს.

სამხედრო მოსამსახურეთა შემცირების პარალელურად, 2007-2008 წლებისათვის დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ბიუჯეტი გაიზრდება 3,7 მილიარდი გირვანქა სტერლინგით და მიაღწევს 33,4 მილიარდს (61,9 მილიარდი ამერიკული დოლარი).

არაფატმა ავტონომიის უშიშროების ყველა სამსახური სამ სააგენტოდ გააერთიანა

პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის ლიდერმა იასირ არაფატმა მოაწერა ხელი ბრძანებულებას პალესტინის უშიშროების სამსახურების ორგანიზაციისა და მათ საფუძველზე სამი სააგენტოს – ეროვნული უშიშროების, საერთო (შინაგანი) უშიშროების და დაზვერვის სააგენტოების შექმნის შესახებ.

როგორც არაფატის თანაშემწემ ჯიბრილ რაჯუბმა განაცხადა, პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის ლიდერმა ოფიციალურად მოიწონა დოკუმენტი და მას ხელი ოთხშაბათს საღამოს მოაწერა, თუმცა რეფორმათა განხორციელების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ გასულ კვირას ილაპარაკეს.



„ამის შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ ყველა დაინტერესებულ მხარეს", – თქვა რაჯუბმა.

უშიშროების სამსახურში რეფორმათა განხორციელება არის ერთადერთი მთავარი ვალდებულება, რომელიც ამ ეტაპზე იკისრა პალესტინის მხარემ საერთაშორისო შუამავალთა ოთხეულის – აშშ, რუსეთი, ევროკავშირი და გაერო – მიერ შემუშავებული გეგმის „საგზაო რუკის" ამჟამინდელ ეტაპზე.

წინა დღით კი პალესტინელმა მოთარეშეებმა გაიტაცეს მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე მდებარე ქალაქ ნაბლუსის მერიის ოფიციალური წარმომადგენელი ფადელ აშული, რომელიც რამდენიმე საათის შემდეგ გაათავისუფლეს.

ისრაელის წყაროები აღნიშნავენ, რომ ავტონომიის ტერიტორიაზე გრძელდება პალესტინის ოფიციალური პირების გატაცებათა სერია, რაც მოწმობს იმას, რომ იქ სულ უფრო იზრდება ქაოსი. როგორც ცნობილია, მანამდე რამალაში დაჭრეს პალესტინელი პარლამენტარი ნაბილ ამრი.

გაერო სუდანს სანქციებით ემუქრება

გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს მიაჩნია, რომ სუდანი არ იღებს ყველა საჭირო ზომას დარფურის პროვინციის მცხოვრებთა დაცვისათვის, სადაც, როგორც მიმომხილველები ვარაუდობენ, სერიოზული დანაშაულობები ხდება.

კოფი ანანის თქმით, მსოფლიო ვერ დარჩება უმოქმედოდ, თუ ხართუმის ხელისუფლება არ შეასრულებს დანაპირებს – არ განაიარაღებს მთავრობის მომხრე ამბოხებულების რაზმებს. სწორედ ამ რაზმების წევრებს ადანაშაულებენ ქვეყანაში რამდენიმე ათასი ადამიანის მკვლელობაში, რომლებიც წარმოშობით არ იყვნენ არაბები.

დარფურის პროვინციაში მშობლიური კერებიდან აიყარა მილიონზე მეტი კაცი. ამჟამად ისინი იმყოფებიან ლტოლვილთა ბანაკებში, სადაც სურსათის უქმარისობის გამო ხალხი შიმშილით იხოცება.

გაეროს უშიშროების საბჭო უკვე განიხილავს სუდანის წინააღმდეგ სანქციათა შემოღების შესახებ რეზოლუციის პროექტს, თუ ქვეყანაში დაუყოვნებლივ არ შეწყდება ძალადობა.

არაბ მოთარეშეებს ადანაშაულებენ პროვინციის სოფლებში ტერორის კამპანიის განხორციელებასა და ქალების მასობრივ გაუპატიურებაში.

კოფი ანანმა უშიშროების საბჭოს წევრებს გააცნო დარფურში შექმნილი ვითარება. როგორც მან თქვა, პროვინციის მცხოვრებლები გამოთქვამენ შეშფოთებას იქ არსებული ძალადობის გამო.

სუდანის მთავრობა დათანხმდა განეიარაღებინა ამბოხებულთა დაჯგუფების „ჯანჯავითის" და სხვა შეიარაღებული ჯგუფების წევრები, აგრეთვე, მიეღო ზომები ლტოლვილების დაცვისათვის, თუმცა, ანანის თქმით, სიტყვებს საქმე არ მოჰყოლია.

სუდანის მთავრობა უარყოფს, რომ მხარს უჭერს ამბოხებულებს, და აცხადებს, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მათი განიარაღება.

რეგიონში კონფლიქტი დაიწყო გასულ წელს, მას შემდეგ, რაც ამბოხებულთა ჯგუფებმა განახორციელეს თავდასხმები სამთავრობო ობიექტებზე. ამბოხებულთა თქმით, მათი აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ ხართუმი არ უთმობდა სათანადო ყურადღებას ამ რეგიონს.

ისრაელი „იარაღის ფაბრიკას" ანადგურებს

ისრაელის საბრძოლო ვერტმფრენებმა დარტყმები მიაყენეს ღაზის სექტორის ლტოლვილთა ბანაკში განლაგებულ ერთ-ერთ შენობას, რომელშიც, როგორც სამხედროები ვარაუდობენ, იარაღს ამზადებდნენ.

ისრაელის არმიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ შენობაში ამზადებდნენ იარაღსა და ასაფეთქებელ მოწყობილობას, რომლებსაც „ჰამასის" გასამხედროებული დაჯგუფების მოთარეშეები იყენებდნენ ისრაელის ტერიტორიაზე. თავდასხმების განხორციელების დროს სამხედროები აღნიშნავენ: „აფეთქებათა სერია მიანიშნებს იმას, რომ შენობაში მართლაც იყო დიდი რაოდენობის ასაფეთქებელი ნივთიერება".

დანგრეულ შენობასთან შეგროვდა ათობით ადამიანი, რომლებიც ცდილობდნენ ხანძრის ჩაქრობასა და დაშავებულების პოვნას.

ოთხშაბათს ისრაელის ტერიტორიას ღაზის სექტორიდან დაუშინეს „ქასამის" ტიპის რაკეტა. იგი მოხვდა ერთ-ერთ სახლს, თუმცა მაშინ არავინ დაშავებულა.

ისრაელის ხელისუფლება აცხადებდა, რომ მოუღებდა ბოლოს ასეთ თავდასხმებს. ებრაელმა სამხედროებმა, როგორც ცნობილია, წინათაც გაანადგურეს არაერთი შენობა, რომლებშიც, სავარაუდოდ, ამზადებდნენ იარაღსა და ასაფეთქებელ მოწყობილობას.

მოკლედ

ქალაქ ბაღდადში მიმდინარე ბრძოლების დროს ამერიკელმა საზღვაო ქვეითებმა მოკლეს 25 მოთარეშე. კიდევ 17 მოთარეშე დაჭრილია და 25 – ტყვედ არის აყვანილი. ბრძოლების შედეგად დაიჭრა ამერიკის შეერთებული შტატების არმიის 14 სამხედრო მოსამსახურე. წინასწარი მონაცემებით, ამ შეტაკებებში ასამდე მოთარეშე მონაწილეობდა.

* * *

ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ პეკინში მცხოვრები კატა მისტერ პიბლზი გინესის რეკორდების წიგნმა ოფიციალურად ცნო მსოფლიოში ყველაზე მცირე ზომის შინაურ კატად. რეკორდსმენი ფისუნია



ეკუთვნის „Good Shepherd" ვეტერინარულ კლინიკას.

* * *

საბერძნეთში ოლიმპიადის მომზადების ბიუროს შენობის წინ დააგდეს ბოთლი ცეცხლგამჩენი ნარევით. მეორე ასეთი ბოთლი კი გაისროლეს საბერძნეთის კულტურის სამინისტროს შენობის მიმართულებით. ცეცხლგამჩენი ნარევით სავსე ბოთლი უკანასკნელად საბერძნეთის დედაქალაქის გარეუბანში აფეთქდა 1 ივლისს, როცა განიხილავდნენ ოლიმპიური ასპარეზობის უშიშროების უზრუნველყოფის ოპერატიულ გეგმას.

* * *

ამერიკაში გააუქმეს საზღვაო და საჰაერო ხომალდების ეკიპაჟებისათვის განკუთვნილი კოლექტიური ვიზები. ასეთი გადაწყვეტილების

მიღება გამოიწვია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ შეერთებული შტატების ნავსადგურებსა და აეროპორტებში უშიშროების რეჟიმის გამკაცრებამ. 2004 წლის 26 ოქტომბრის შემდეგ გაცემული ყველა ვიზა უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთ ბიომეტრიულ მაჩვენებელს მაინც.

* * *

ტოკიოს ქუჩებში ასფალტის საფარის ტემპერატურამ 80 გრადუსს მიაღწია. „გავაგრილოთ ტოკიო" აქციის ორგანიზატორები იაპონიის დედაქალაქის მცხოვრებლებს მოუწოდებენ, რომ ერთდროულად გამოვიდნენ ქუჩებში ნაშუადღევს და ასფალტი მორწყან მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით – ვედროებით, შლანგებით ან, თუნდაც, ჩაიდნებით მაინც.

* * *

ისრაელს სურს ეგვიპტეში შეისყიდოს 14 მილიარდი კუბური მეტრი ნილოსის ჩანადენი წყლები. ისრაელი აპირებს წყალი გაფილტროს



თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით და გამოიყენოს იგი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსარწყავად. გარიგების თანხა 2,24 მილიარდ დოლარს შეადგენს.

* * *

შეერთებულ შტატებში, დაბალ სიმაღლეზე საწვრთნელი ფრენის დროს ერთმანეთს შეეჯახა „ფ-18" ტიპის ორი რეაქტიული ავიაგამანადგურებელი. კატასტროფის შედეგად დაიღუპა ორი მფრინავი, რომელთა გვამები მდინარის ნაპირზე იპოვეს. მესამე მფრინავი სასწაულით გადარჩა. ექიმების მონაცემებით, მას გონება არ დაუკარგავს და შეუძლია ლაპარაკი.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

ზაზა ბეჟანიძემ.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს

„შოთაობა“ – ზეიმი იყალთოში. მარცხნიდან მარჯვნივ: პროფ. კიაზო ფიცხელაური, პროვიზორი სოკრატ სალუქვაძე და პროფესორი ჯუმბერ ოდიშელი. 1995 წელი. იყალთო.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.

⊙ არცოდნა ცოდვად მიცვნია

საყვედურიან მადლობას გწირავ

მირდატ მეფის წერილი გიული ლიპარტიას, მოწერილი V საუკუნიდან

გიული ბატონო თუ ქალბატონო. თუმეთქი, იმიტომ დავწერე, რაკი ეს სახელი ახლა საქართველოში კაცსაც ჰქვია და ქალსაც, თუმცა ჩვენს დროში, ანუ V საუკუნეში, ამ სახელს საერთოდ არ ვიცნობდით.

უწინარესად, დიდ მადლობას გწირავ 21 ივლისს, ჩემი ხსენების დღეს, მანდ, გაზეთში, ზეცაში ტაძრის ამგების სახელი რომ დამანათლე და ქართველთ ერთხელ კიდევ წამოაგონე ჩემი თავი. გარნა აქავე საყვედურიც უნდა მოვაყოლო ზოგ-ზოგი რამის უცოდნელობისა გამო.

იქნებ ეგევე სხვებმაც გითხრან, რამეთუ მანდ, საქართველოში, ბევრი მცოდნე და სწავლულია, ვისაც კარგად მოეხსენება, ვითარმედ **V საუკუნეში,** კერძოდ, 410 წელს, ტყვედ კი ჩამიგდეს გარდაბანთან სპარსელებმა, გარნა **ბაღდადში ხალიფას** ვერ მიმგვრიდნენ ერთი სრულიად უბრალო მიზეზისა გამო: ჯერ ერთი, **ხალიფა,** როგორც უმაღლესი ტიტული მუსლიმანთა ფეოდალური მმართველისა, რომელსაც ეპყრა სასულიერო და საერო ხელისუფლება, **VII საუკუნის 30-იან** წლებში გაჩნდა, მუჰამედის დაცემისა შემდეგ, ხოლო ბაღდადი, არაბთა სახალიფოს თავქალაქი, დასაძირკვლდა **VIII საუკუნის 70-იან** წლებში.

აი, ფრიად პატივცემულო გიული, რარიგ უხერხულობაში აღმოვჩნდით ორივენი.

ანდაზა რომ არის, კაცი კითხვა-კითხვით ბაღდადს ჩავიდაო, ესეც, ბუნებრივია, გვიან ჟამს არის შექმნილი, ჩვენს დროში არ ყოფილა. ჩვენ მხოლოდ ის ვუწყოდით, რაიცა არ ვიცოდით, ვკითხულობდით, სხვას ვეკითხებოდით. მიწყივ ამას შემაგონებდა ბრძენი პაპაჩემი თრდატი.

გულმტკივნეული მადლიერებით
მირდატ მეფე
ძე ვარაზ-ბაკურისა,
410 წელი.

⊙ სოციუმი

ფედი

ირიჟრაჟებს თუ არა, წვრილკაუჭა ჯოხით, ვეებერთელა ჩანთით და ცელოფნის პარკების ფართხუნით პელო მაღლა გორიდან ეშვება, კავსაძის ქუჩას გადაჭრის, საკონდიტროს გვერდს უვლის და ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე № 54-ე სახლის ეზოს შესავალ თაღთან ჩერდება. იქ, სუპერ-მარკეტ „ბინგ-ბენსა“ და „ევროცენტრს“ შორის, კედელთან ჩამწკრივებული ბუნკერები ეგულება. დილაუთენია აქ კატებისა და ძაღლების ხროვა ხვდება, მაგრამ პელო სულაც არ უფრთხის მათ; მიუახლოვდება თუ არა, ერთი მაგრა დაუცაცხანებს და იწყებს ნაგვის ქექვას. მერედა, რა არ ყრია ამ ნაგავსაყრელებში: პურის ნატეხები, ვადაგასული დაკონსერვებული თევზეული, ხორცისა და ბოსტნეულის ნარჩენები, „შემაჭრებული“ პომიდორი... ზოგჯერ ხმარებიდან გამოსული ტანსაცმელი ან ფეხსაცმელიც გამოერევა და პელოს სიხარულს საზღვარი არა აქვს. „გაუმეტებიათ, გაუმეტებიათ“, – ბუტბუტებს იგი, და ნადავლს იქვე იზომავს, მოსაწონს პარკში გადაუძახებს ხოლმე... პელომ პარკებს თავ-თავიანთი მოვალეობა დააკისრა. პურეულს თეთრ ქათქათა სუფთა პარკში დებს, ძეხვს და ხორცეულს – მეორეში, თევზეულს კიდევ – ცალკე პარკში, ბოთლებს – დიდ ჩანთაში. შეავსებს თუ არა პელო ჩანთას, მაშინვე ბაზრისკენ გარბის და ბოთლებს „სპეციალურ პუნქტს“ აბარებს.

ცხოვრება ჭირს, კუჭი კაცსაც აქვს და პირუტყვსაც. შიმშილს ვერავინ გაექცევა და პელოც ასე ამიტომ „გარჯილა“.

იმ დღესაც დილაუთენია ესტუმრა ნაცნობ ნაგავსაყრელს. ბუნკერის თავზე კვლავინდებურად შემოსკუპებულიყვნენ კატები, ძაღლები კი ბუნკერში არჩატეულ „სანოვაგეს“ შეექცეოდნენ. იყო ერთი ღრენა და გნიასი.

კვირა დღე თენდებოდა. სახლის ბინადართ და მაღაზიის მესვეურთ ისე ბლომად „გაემეტებინათ“ ნაგავი, რომ ძირს მოღიავებულ ნარჩენებსა და მუყაოს ყუთებს შორის გავლაც კი ჭირდა. მიუახლოვდა თუ არა ნაცნობ ადგილს პელო, ერთი მაგრა შეიკურთხა, კატებსა და ძაღლებს დაუტატანა, ძირს დაყრილი ნარჩენები და ყუთები გასწი-გამოსწია და საქმეს შეუდგა. მიქექა, მოქექა და ვეღარც პური იპოვა და ვეღარც საჭმელი...

– დახე, დახე იმ მიწადასაყრელ სიმონას არ დაუსწრია? ქა, ამ უთენია როგორ მიმასწრო იმ ამოსაგდებმა იმანა... იმ დღევანდელისა არ იყოს... დამაცადოს, რა საქმე ვუყო? ჩემ აღგილთანა რა ხელი აქვს იმასა, მე რა, ვეკარები მაგის ადგილსა თუ რას მართლება ეგ მუდრეგი ეგა, აი მეხი კი დაგეცეს, შე გაუმაძღარო შენა, ეგრე უნდა კაცის გაქურდვა?! დამაცა, რა გიყო, შე გამოტვინებულო ბუნძგლა, შე ბებერო ღორო, შე საზიზღარო, შე ველურო პირუტყვო, – ილანძღებოდა გაკაპასებული პელო და თან გადარჩენილ ნადავლს პარკებში უძახებდა.

– ეს აბეზარი ბუზებიც რაღას შემომიჩნდნენ, ქა, რა დღეში არიან. რამ გაგამგელათ ამ დილაადრიანა, თქვე ოხრებო თქვენა...

–არა, დღეს ნამდვილად მარცხენა ფეხზე ავდექი, საქმე ხელიდან გამიძვრა, თავის თავს ელაპარაკებოდა პელო და თან ბუნკერის ძირს ჯოხს გამეტებით ურტყამდა. უცებ ბუნკერის კუთხეში მიმალული ვირთხა ამოხტა და პელოს ზედ გულზე ეცა.

– მიშველეთ, მიშველეთ, – აყვირდა პელო და ქუჩისკენ გავარდა.

– რა ამბავია, რა გაღრიალებს, – დაუტატანა გულგახეთქილ პელოს იქვე მდგარმა პოლიციელმა და ჯოხის ქნევით მის მოსაშველებლად გამოეშურა, საქმის ვითარებაში რომ გაერკვა, პოლიციელმა ხელი ჩაიქნია,– რა, პირველად ნახე ვირთხები, მაგის მეტი რა იქნება მანდა... – მიაყვირა პელოს და თავის „პოსტს“ დაუბრუნდა.

– დახე ამასა, ქალს კინაღამ გული გადამიბრუნდა... ვირთხა უძახე შენა... ხომ ვამბობდი, მარცხენა ფეხზე ვარ ამდგარი-მეთქი, ემანდე თუ არა...

გულგახეთქილმა და იმედგაცრუებულმა პელომ ნაგავსაყრელს თავი ანება, იქვე ახლო პატარა სკვერისაკენ შეუხვია, ბუტბუტ-პურტყუნით მერხზე ჩამოჯდა და იმდღევანდელ „ნადავლს“ თვალიერება დაუწყო.

სად იყო და სად არა, წვერებმოშვებული, თმებგაბურძგნული შუახნის მამაკაცი გამოჩნდა, მუცლის ქექვა-ქექვით, სკვერი მიათვალიერ-მოათვალიერა, შენიშნა თუ არა პელო, ყურებამდე გაიღრიჭა, მისკენ გაეშურა, – „ნახე რამეო“, – მიაძახა და გვერდით მიუჯდა.

– მომწყდი თავიდანა, შენ გამქურდე და რაღას ვიპოვიდი?

– იმიტომა რომა, შენზე ადრე ი აყლაყუდა მოდის, მაშა, – იმართლა თავი სიმონამ და უფრო ახლო მიუჩოჩდა.

– ვინა?

– ვინა და ი ყეყეჩი გეორქაი, – მაშა?!

– დახე მაგასა, ხო არ უნდა ცხვირპირი ჩამოულეწო, თავი მანებოს თორემა...

– შენ ეგრე ნუ მიყვირი, დახე რა მაგიტანე! – კიდევ ერთხელ გაიღრიჭა სიმონამ და პელოს ყვავილებით მოჩითული კაბა გულზე მიაფარა. პელომ კაბა ხელიდან გამოსტაცა, აათვალიერ-ჩაათვალიერა და იქვე გადაიცვა.

– გიხდება განა... – შეაქო სიმონამ და გაბურძგნული თავი მოიქექა.

პელომ სიმონას მოტანილი ნადავლის თვალიერება დაიწყო.

მერე მიხეულ-მოხეული პარკი შუაზე გაგლიჯა, იქვე მიწაზე დააფინა, ზედ ხორცისა და პურის ნაჭრები დაიწყო: ბოლოკითა და მწვანილით „მიჰქარგმოჰქარგა „მაგიდა“, არაყიანი ბოთლი საიდანღაც ამოქექა და – „მოდი ჩაცეცხლეო – მიიპატიჟა სტუმარი.

... მალე ეს ორი გაუბედურებული არსება მადიანად იღმურძლებოდა.

ცისანა სიხარულიძე.

გამოსათხოვარი

ჩვენი ტკივილი განსაკუთრებულია



რამდენიმე დღეა, საქართველო ეთხოვება ღირსეულ შვილს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ **გივი ინწკირველს.** მთელი მისი ცხოვრება ნიმუშია ერის სანიმუშო მსახურებისა, რომლის უმთავრესი კრედო ზნეობა და მაღალი მორალია... გუშინ გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყანა სამთავრობო ნეკროლოგი. ყველას უღრმესი მადლობა ამ თანადგომისათვის...

დიახ, საქართველომ დაკარგა გამორჩეული პიროვნება, მისი უკეთესი მომავლისათვის მოღვაწე შვილი...

მაგრამ... იგი, უპირველესად, ოჯახმა და გვარმა დაკარგა.

ჩვენ, ინწკირველები, შეძრული ვართ ამით, ამიტომ ორიოდე სიტყვით უნდა გამოვხატოთ, ვინ იყო გივი ინწკირველი თავისი გვარისათვის.

ყველა გვარს ჰყავს თავისი „მწვერვალი“, სინდისი და ნამუსი.

გივი ინწკირველი თავისი გვარის მწვერვალიც იყო და სინდის-ნამუსიც!

გვახსოვს, სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომმა როგორი თავგამოდებით დაიცვა 1956 წლის სისხლიანი მოვლენების მონაწილე ერთი ჭაბუკი ინწკირველი. ბატონი გივი არც მოსალოდნელ უსიამოვნებებს მოერიდა და არც კარიერის შესაძლო დაკარგვის საფრთხეს. ქვეყანა შეძრა და შეაწრიალა. სიმართლისათვის ხმალშემართულმა მისი ფიზიკური და მორალური გადარჩენისათვის უშრეტად დახარჯა ძალა და ენერგია. რამდენი ასეთი მაგალითის გახსენება შეიძლება!

მაგრამ ეს არ იყო ინწკირველთათვის ბრმა მსახურება. მისთვის კანონი და სამართალი ყველაფერზე მაღლა იდგა. ისიც გვახსოვს, კარი როგორ მიუხურა ერთ უღირს ინწკირველს (თითო მახინჯი ყველა გვარშია!). ვის სამსახურში ხელის წახმარება სჭირდებოდა, ვის, უბრალოდ, მორალური თანადგომა. გივი ინწკირველს ერთიც „ეშოვებოდა“ და მეორეც.

გივი ინწკირველი ჩვენი გვარის „შუბლის ძარღვი“ და სიამაყე იყო! ის, როგორც მანათობელი შუქურა, მუდამ წინ მიგვიძღოდა. ეს იყო სიკეთისათვის დაბადებული კაცი, რომელიც ბედნიერებას და თავისი ცხოვრების მთავარ მიზანს ამ სიკეთისათვის სამსახურში ხედავდა.

ინწკირველებს ბევრი ღირსეული ადამიანი დაგვიკარგავს.

მაგრამ გივი ინწკირველი მაინც უპირველესია, ვინც გულში უდიდესი სითბოს გარდა, ნაღველიც ბევრი დაგვიტოვა.

მაგრამ დაგვიტოვა იმედიც და შუქურასავით ნათელი, შეუბღალავი სახელიც...

ინწკირველები.

ხსოვნა



შუქრი ქირია

ქართველმა მშენებლებმა უდიდესი დანაკლისი განიცადეს. მოულოდნელად გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მშენებელი, თავისი საქმის პროფესიონალი **შუქრი ქირია.**

იგი დაიბადა 1935 წელს. 1958 წელს მან დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, რის შემდეგაც მისი ძირითადი საქმიანობა წარიმართა ენგურჰესის მშენებლობაზე, სადაც გაიარა გზა რიგითი ინჟინრიდან ენგურჰესის დამხმარე საწარმოთა სამმართველოს უფროსამდე.

ბატონი შუქრი იყო ენერგიული, ერთგული, ძალზე ემოციური და თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. კოლექტივში, სადაც მან მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება გაატარა, სარგებლობდა დიდი სიყვარულით და პატივისცემით. იყო შესანიშნავი მეოჯახე, კარგი მამა და მოსიყვარულე ბაბუა.

ბატონი შუქრის ნათელი სახე, შესანიშნავი გარეგნობა მარად მოსაგონარი იქნება მისი ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგებისათვის.

სააქციო საზოგადოება „საქჰიდროენერგომშენი“.

ძმა გია ყანჩელი, რძალი ვალენტინა ჯიქია, ძმისწულები ნატო, სანდრო ოჯახით, დინა ჯიქია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნათელა ალექსანდრეს ასული ყანჩელი.
პანაშვიდი 23, 24 VII, 17 სთ. გამოსვენება 25 VII, 15 სთ. ტოვსტონოგოვის ქუჩა (ყოფილი 25 თებერვლის) №6.

კლიმენტი ჯანჯღავა, იური ჭედია, ანზორ ჭითანავა, ანდრო ზოდელავა, ოთარ ჭითანავა, გურამ გუნავა, ნოდარ ემხვარი, ხონძი შელია, იური გუგუჩია, იური წოწერია, მიხეილ აბზიანიძე, კოტე მარშავა, აკაკი სარალიძე, დოჟიკო გაგოშიძე, სოსო ჩხაიძე, დავით ხუფენია, მირზა ქორქაშვილი, ზაურ ზარნაძე, დოდიკ ქუჩულორია, ალექსანდრე ფარულავა, ადიკო გვალია, ნოდარ შარტავა, რამაზ აბაშიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ჰიდრომშენებელი
შუქრი ქირია
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „საქჰიდროენერგომშენი“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოში ელექტროენერგეტიკული მშენებლობის ვეტერანი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ენგურჰესის მშენებლობის ერთ-ერთი სამმართველოს ყოფილი უფროსი
შუქრი ქირია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

მეუღლე ლერი ღურწკაია, შვილები ლალი, ლევანი, ძმა ნიაზ ხაინდრავა, სიძე გიული დარციმელია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
მზევინარ კლიმენტის ასული ხაინდრავა-ღურწკაია
პანაშვიდი 23, 24 VII, 17 სთ. დაკრძალვა 25 VII, 15 სთ. ვარკეთილი III, II მიკრორაიონი, კორპ. 28, ბინა 53.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი გიორგი პაპუაშვილი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სამართლის თეორიის და კონსტიტუციური სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი
გივი ინწკირველი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ილია დვალიშვილი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სამართლის თეორიის და კონსტიტუციური სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი
გივი ინწკირველი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

წერილი პოლონეთიდან

ყოველდღიურად სულმოუთქმელად ველოდებით

პატივცემულო რედაქცია, უწინარესად გვსურს, თქვენივე გაზეთის მეშვეობით თქვენს თანამშრომელს, ბატონ გურამ გოგიაშვილს, მივულოცოთ 70 წლის იუბილე, ვუსურვოთ ჯანმრთელობა, სიმტკიცე, სულ ასე ახალგაზრდული შემართებით, კეთილი გულით, მოყვასისადმი სიყვარულით ევლოს თბილისის ქუჩებში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ არის აკადემიური, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და პოზიციის გაზეთი, რომელიც თავის ქვეყანას და ხალხს ემსახურება. სტატიები არა ჭორების დონეზე, არამედ შემოწმებული სიმართლით არის დაწერილი, რაც მიანიშნებს, რომ ამ გაზეთს მაღალკვალიფიციური ჟურნალისტები ჰყავანან. ყოველდღიურად სულმოუთქმელად ველოდებით თქვენი გაზეთის გამოჩენას ინტერნეტში.

პატივისცემით პოლონეთში მცხოვრები ქართველები
ნანა ოდილავაძე-ულანსკა (მუსიკოსი),
მანანა ცუცქირიძე-გრონეტ (ინჟინერი),
ნანა იმნაიშვილი (ფსიქოლოგი).

⊙ გიხაროდენ!

გვანცა – ოჯახის ფერია

გია ჩხაიძემ და ნინო ფანცულაიამ რამდენიმე წლის წინათ შექმნეს ტკბილი და ლამაზი ოჯახი, მათ უკვე სამი შვილი ჰყავთ: 3 წლის საბა, წლინახევრის ლუკა და ახლა 29 ივნისს შეძენილი ნანატრი გოგონა გვანცა.

ნინომ სამშობიარო სახლ „ორიონში“ იმშობიარა, გოგონა ჯანმრთელი და ლამაზია. დედა და შვილი უკვე შინ არიან, ხარობენ ბედნიერი მშობლები, პაწია გვანცას ბებიები-ბაბუები და ნათესავები.

მესამე შვილს ვულოცავთ ნინოს და გიას, ღვთისმშობელი იფარავდეს მათ ლამაზ ოჯახს, მშვიდობიან, ბედნიერ საქართველოში დაეზარდოთ შვილები.

მეზობლების სახელით –
თეკლა გოგიჩაშვილი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

⊙ ცოტაც გავიღიმოთ...

– უკვე მეხუთე დღეა, რაც ზედიზედ იგვიანებ სამსახურში, შენი აზრით, რა დასკვნა უნდა გავაკეთო? – ეკითხება გაბრაზებული შეფი მიხოს.

– რომ დღეს პარასკევია!

* * *

ქალის სურვილი კანონია მანამ, სანამ კაცის სურვილი არის ქალი.

* * *

– ექიმო, მეხსიერება მღალატობს – ხუთი წუთის შემდეგ ყველაფერი მავიწყდება, – ეუბნება ქერა ლამაზმანი ახალგაზრდა ფსიქიატრს.

– გასაგებია, დრო საკმარისია, აბა, ერთი იმ ოთახში გაიხადეთ და წამოწექით.

* * *

– განა რამე სჯობს გაშლილ ბუნებაში სუფთა ჰაერით სუნთქვას? – მეოცნებედ ამბობს ექიმი.

– თუნდაც გაზოლილ ოთახში არყის სმა, – დაუხანებლად უპასუხებს პეტია.

* * *

მესანგრე ცხოვრებაში ორჯერ ცდება: ერთხელ – პროფესიის არჩევისას, მეორედ – დაქორწინებისას.

* * *

– მიხო, რა მოხდა, რა ბედნიერი სახე გაქვს?

– გუშინ წყალდიდობამ ლამის წაგვლეკა!

– მერე, რა გიხარია, შე სულელო?

– სკოლის პირველი სართული მოარყია და თანაც ჩემი დღიური წაიღო!

⊙ ამინდი დღეს

თბილისი	–	+8,	+18
ბათუმი	–	+11,	+19
სოხუმი	–	+21,	+24
ფოთი	–	+17	+23
ქუთაისი	–	+14,	+22
გორი	–	+10,	+20
თელავი	–	+9,	+19

საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ
გივი ინწკირველის
გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

სანდრო და რუზა ჯორბენაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი
გივი ინწკირველი
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ხელბურთის ვეტერანთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ხელბურთის ვეტერანი ძმაკაცი და მეგობარი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გივი ინწკირველი
და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

ვეტერანი ხელბურთელების სახელით ასოციაციის პრეზიდენტი თენგიზ გაზდელიანი, ვიცე-პრეზიდენტი ჯემალ ცერცვაძე.

ვახტანგ თორდია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის გამგე, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე
გივი ზაქარიას ძე ინწკირველი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დავით წაბრია ოჯახთან ერთად ღრმა მწუხარებით იუწყება ჩვენი ოჯახის ძვირფასი ახლობლის, სტუდენტობის მეგობრის, დიდი ქართველი ადამიანის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის
გივი ინწკირველის
გარდაცვალებას. თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს გენერალური პროკურატურა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გივი ზაქარიას ძე ინწკირველი.

სს „თბილავიამშენის“ იურიდიული განყოფილების უფროსი შალვა მანძულაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გივი ინწკირველი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სამართლის თეორიის და კონსტიტუციური სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი
გივი ინწკირველი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი **გურამ გოგიაშვილი.**

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**